ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

იურიდიული ფაკულტეტი

დავითი დარბაიძე

სამაგისტრო ნაშრომი

„არასრულწლოვან მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია“

წარდგენილია სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მორის შალიკაშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული
პროფესორი. სამართლის დოქტორი.

თბილისი
2019

სარჩევი

გამოყენებულ აბრევიატურათა ნუსხა: 4
შ ე ს ა ვ ა ლ ი 5
თავი პირველი 8
არასრულწლოვან მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია როგორც სასჯელის უმთავრესი მიზანი 8
1. არასრულწლოვანთა სასჯელის ცნება და მიზნები 8
2. არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობა და ინდივიდუალური მიდგომის მნიშვნელობა 12
3. რესოციალიზაციის განხილვა სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის დანიშვნისას 15
4. სასჯელის მოხდისგან პირობით ვადამდე გათავისუფლების მნიშვნელობა მსჯავრდებულის რესოციალიზაციისათვის 21
თავი მეორე 24
ალტერნატიული სასჯელები არასრულწლოვანთა რესოციალიზაციის პროცესში 24
1. არასრულწლოვანთა მიმართ არასაპატიმრო სასჯელების 24
გამოყენების მნიშვნელობა 24
2. ჯარიმის დანიშვნის მიზანი 26
3. საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის როლი რესოციალიზაციის პროცესში 28
4. შინაპატიმრობა და არასრულწლოვნის რესოციალიზაცია 31
5. გამოყენებულ სასჯელთა სტატისტიკა. 35
თავი მესამე 37
თავისუფლება აღკვეთილ არასრულწლოვანთა რესოციალიზაცია და რეაბილიტაცია პენიტენციურ სისტემაში 37
1. რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის პროცესი 37
სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში და ხელშემწყობი ფაქტორები 37
1.1. ინდივიდუალური სამოქმედო გეგმა 40
1.2. განათლების ფაქტორი 42
1.3. შრომის, ჯანმრთელობისა და სპორტულ აქტივობათა მნიშვნელობა 44
1.4. სარეაბილიტაციო დაწესებულებაში მყოფი პერსონალის მნიშვნელობა 46
2. სარეაბილიტაციო პროგრამები და მათი მნიშვნელობა N11 სარეაბილიტაციო დაწესებულებაში 47
2.1. სხვადასხვა სარეაბილიტაციო ღონისძიებათა დახასიათება 47
2.2. არსებული პროგრამები N11 სარეაბილიტაციო დაწესებულებაში 50
თავი მეოთხე 53
განგრძობადი რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესის მნიშვნელობა არასრულწლოვანთა სასჯელის მიზნის მიღწევაში 53
1. სასჯელის მოხდის შემდგომი ზრუნვა 53

2. საზოგადოების როლი რესოციალიზაცია-რეაბილიტაციასა და რეციდივის თავიდან აცილებაში 56
დასკვნა..... 59
ბიბლიოგრაფია..... 62

გამოყენებულ აბრევიატურათა ნუსხა:

1. ა.შ. - ასე შემდეგ;
2. გვ. - გვერდი;
3. მაგ. - მაგალითად;
4. თბ. - თბილისი;
5. რედ. - რედაქტორი;
6. პროფ. - პროფესორი;
7. ე.ი. - ესე იგი;
8. იხ. - იხილეთ;
9. პ. - პუნქტი;
10. სხვ. - სხვა;
11. სსსკ. -საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი;
12. ამკ. - არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი;
13. P. – Page;
14. ED. – Edition;
15. С. – страница;

შ ე ს ა ვ ა ლ ი

2015 წელს, რესოციალიზაციის კუთხით, ევროკავშირმა საქართველოში მართლმსაჯულების რეფორმების მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, მუშაობა სხვადასხვა ფრონტზე გამართა. ამ პროცესში ერთ-ერთ პრიორიტეტად სწორედ რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის პროგრამების დანერგვამ გაიჟღერა.

განვითარებული სახელმწიფოების პრაქტიკისა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, საქართველოში განხორციელებული და მიმდინარე სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის მნიშვნელოვანი ნაწილია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიღება. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება უნდა ეფუძნებოდეს ჰუმანიზმის, ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვის, რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პრინციპებს. მკაფიოდ განსაზღვრა, რომ არასრულწლოვნისთვის დანიშნული სასჯელის მიზანი არასრულწლოვნის რესოციალიზაცია – რეაბილიტაცია და ახალი დანაშაულის თავიდან აცილებაა. აღნიშნული საკანონმდებლო ჩანაწერი ხაზს უსვამს, რომ არასრულწლოვანი მსჯავრდებულების მიმართ პრიორიტეტს წარმოადგენს არა მართლმსაჯულების ინტერესი (სამართლიანობის აღდგენა), არამედ ბავშვის საუკეთესო ინტერესები. სასჯელი უნდა შეირჩეს დამნაშავის სოციალური რეაბილიტაციის გათვალისწინებით.

ხშირ შემთხვევაში არასრულწლოვანთა დანაშაული არა მათი თავისუფალი ნების, არამედ იმ შეზღუდული შესაძლებლობების შედეგია რომელიც მათი განვითარებისთვის არსებობს საზოგადოებაში, ეს შესაძლებლობები კი უფრო მეტად იზღუდება როდესაც მათ სისხლის სამართლის სისტემასთან უხდებათ შეხება. ასეთ ბავშვებს განსაკუთრებით ჭირდებათ მხარდაჭერა საზოგადოებაში რეინტეგრაციისთვის.

„არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის“ მიზანია, მისცეს მოზარდებს სპეციალური, ბავშვებზე ორიენტირებული მართლმსაჯულება. ბავშვის საუკეთესო ინტერესებზე ორიენტირებული არასრულწლოვანთა ამგვარი სპეციალური კოდექსი საქართველოს კანონმდებლობისთვის სრულიად ახალი ინსტიტუტია და თანამედროვე ქართული მართლმსაჯულებისთვის არამარტო ინოვაციურ, არამედ რევოლუციურ პროექტს წარმოადგენს.

იურიდიული დოქტრინის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია არასრულწლოვანთა სასჯელის მიზნების, რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის ქმედითობის დადგენა. იმ ფონზე, როდესაც ეს საკითხი კონკრეტული კვლევის ობიექტი აქამდე არ გამხდარა. შესაბამისად, ეს ნათლად წარმოაჩენს კვლევის მეცნიერულ სიახლეს. სისხლის სამართლის პოლიტიკის ლიბერალიზაციის კვალდაკვალ სასჯელის მიზნებზე მსჯელობა, განსაკუთრებით, კი მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია აქტუალურია ქართულ რეალობაში.

კვლევის საგანია არასრულწლოვანთა სასჯელის მიზნის, დამნაშავის რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის ქმედითობის დადგენა. კვლევის ძირითად ობიექტს წარმოადგენს სასჯელის უმთავრესი მიზანი, მსჯავრდებულთა საზოგადოებაში დაბრუნება. არასრულწლოვან მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია

ძალიან აქტუალური და მნიშვნელოვანი საკითხია ქართულ სისხლის სამართალში. ვფიქრობ, ნაშრომში წარმოდგენილი მსჯელობა და მოყვანილი მოსაზრებები, საინტერესო იქნება, როგორც სისხლის სამართლის თეორიით დაინტერესებულ პირთათვის, ასევე პრაქტიკოსი იურისტებისთვისაც. ვინაიდან, სასჯელის უმთავრესი მიზანია, რესოციალიაცია განიხილებოდეს თეორიული და პრაქტიკული თვალსაზრისით.

ნაშრომის **პირველი თავი** ეთმობა რესოციალიზაციის ცნების ზუსტ გააზრებასა და მისი მნიშვნელობას სასჯელის მიზნების მიღწევისთვის. განვიხილავთ, თუ რამდენადაა დაკავშირებული პატიმართა სრულყოფილი რესოციალიზაცია საზოგადოების უსაფრთხოებასთან. სოციალური სახელმწიფოს პრინციპის მნიშვნელობა მსჯავრდებულთა რესოციალიზიაციასთან მიმართებით. არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებისა და სახელმწიფოს მიერ ჩამოთავაზებული პროგრამების თანხვედრის სწორი ანალიზი მოგვცემს შესაძლობლობას, ვიპოვოთ პრობლემები ამ მიმართულებით და დავსახოთ მათი აღმოფხვრის გზები. თავისუფლების აღკვეთის გავლენას რესოციალიზაცია-რეაბილიტაციაზე და პირობითი მსჯავრის მნიშვნელობას. ნაშრომის **მეორე თავი** ეთმობა საპატიმრო სასჯელების ალტერნატივის მნიშვნელობას, ალტერნატიული სასჯელების დანიშვნისა და აღსრულების თავისებურებებს. ნაშრომის **მესამე თავსი** მიმოხილულია თუ როგორ ხდება პატიმარტა რეაბილიტაციისთვის მზადება. პროფესიულ ან ზოგადსაგანმანათლებლო სწავლებაში მსჯავრდებულის ხელის შეწყობა. კრიზისული სიტუაციების მართვის სწავლა, ან თანხლება. სოციალური კონტაქტების აღდგენაში ან ახალი კონტაქტების დამყარებაში დახმარება. რეაბილიტიაციისთვის მზადებას. წარმოდგენილი ნაშრომის **მეოთხე თავი** კი ყოფილ მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციას ეთმობა, რა დროსაც მნიშვნელოვანია, როგორც სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერა, ისე საზოგადოების თითოეული წევრის გვერდში დგომა.

ნაშრომში გამოყენებული იქნება როგორც სამეცნიერო ლიტერატურა, ასევე სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილებები და ელექტრონული რესურსი მსჯავრდებულთა რესოციალიზაციასთან დაკავშირებით. კვლევის ობიექტზე მსჯელობისას პრიორიტეტულად განიხილება საქართველოში არსებული მდგომარეობა პრობლემის ირგვლივ სამართლის მეცნიერთა ნაშრომებზე დაყრდნობით, რომლებიც იურიდიულ სამყაროში აქტიურად მოღვაწეობენ და უშუალოდ საუბრობენ იმ პრობლემებსა და გამოწვევებზე, რაც რესოცილიზაციის ქართულ მოდელს გააჩნია. ამრიგად, ნაშრომის თეორიული ბაზა შედგება როგორც ქართული, ისე უცხოური იურიდიული მეცნიერების ლიტერატურისგან.

თემის აქტუალურობიდან გამომდინარე, იურიდიულ სამყაროში არსებობს ქართველი სამართლის მეცნიერების ნაშრომები სასჯელის მიზნების ირგვლივ, თუმცა კონკრეტულად რესოციალიზაციის, როგორც ცალკე კვლევის ობიექტად გამოყოფის შემთხვევა, არ გვხვდება. შესაბამისად, არსებობს ბაზა, რომელიც შეეხება კვლევის საგნის სხვადასხვა პრობლემას, თუმცა მჭიდროდაა დაკავშირებული კვლევის ობიექტთან. ეს თემებია: პენიტენციალური სისტემის მუშაობის პრინციპები. როგორია სახელმწიფო პოლიტიკა ამ მიმართულებით თუ სხვა.

ნაშრომში გამოყენებული იქნება ისტორიული, შედარებით ისტორიული, დოგმატური, სისტემური, ლოგიკური და შედარებით სამართლებრივი მეთოდები. ისტორიული მეთოდის გამოყენება აუცილებელია კვლევაზე სრულყოფილი მუშაობისთვის. დოგმატიკის ანალიზის გარეშე საკითხის სიღრმისეული კვლევა შეუძლებელია. სამართლებრივი ინსტიტუტების შედარებით სხვადასხვა ქვეყნის სამართალთან დაგვეხმარება, დავინახოთ უკეთესი პოლიტიკის გატარების მიდგომები და მოვარგოთ ქართულ რეალობას, რაც შედარებით სამართლებრივი მეთოდის გამოყენებით მიიღწევა.

თავი პირველი

არასრულწლოვან მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია როგორც სასჯელის უმთავრესი მიზანი

1. არასრულწლოვანთა სასჯელის ცნება და მიზნები

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის პირველი ნაწილით სასჯელის მიზანს წარმოადგენს, სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავის რესოციალიზაცია. აღნიშნული მიზნები ეხებოდა, როგორც სრულწლოვნებს, ასევე არასრულწლოვნებს. 2016 წლის 1 იანვრიდან ამოქმედებულმა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსმა ახლებურად ჩამოაყალიბა სასჯელის მიზნები, კერძოდ კოდექსის 65-ე მუხლის თანახმად, სასჯელის მიზანია არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია და ახალი დანაშაულის თავიდან აცილება. რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის ცნებას იძლევა ამკ-ს მე-3 მუხლის მე-18 ნაწილი, რომლის მიხედვითაც, რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია არის არასრულწლოვანში პასუხისმგებლობის გრძნობის, სხვა ადამიანთა უფლებების პატივისცემის გრძნობის ჩამოყალიბება და განვითარება, არასრულწლოვნის ფიზიკური, გონებრივი, სულიერი, ზნეობრივი და სოციალური განვითარების ხელშეწყობა და მისი მომზადება საზოგადოებაში ადგილის დასამკვიდრებლად. ტერმინი „რესოციალიზაცია სისხლის სამართლის კანონმდებლობისათვის ნოვაციაა, მისი, როგორც სასჯელის ერთ-ერთი მიზნის განმარტებას ასევე ვხვდებით პატიმრობის კოდექსის 116-ე მუხლშიც.

რესოციალიზაცია - პრინციპი, რომლის თანახმადაც პიროვნების განვითარება მთელი სიცოცხლის მანძილზე აღმავალი ხაზით მიემართება და იგება გავლილის დამაგრებისა და განმტკიცების საფუძველზე, არ არის გადაულახავი. პიროვნების ადრე ჩამოყალიბებული თვისებები, არ არის გამარადისებული ქვაში. რესოციალიზაცია ეწოდება ახალი ღირებულებების, როლების, უნარ-ჩვევების ათვისებას ძველი, ადრინდელი, არასაკმარისად ათვისებული ან უკვე მოძველებული როლების ნაცვლად. ფსიქოთერაპიაც ასევე რესოციალიზაციის ერთერთი ფორმაა. მისი ზემოქმედების ქვეშ ადამიანები ცდილობენ გაერკვნენ თავიანთ კონფლიქტებში და ამ გაგების საფუძველზე თავიანთი საქციელი და ქცევა შეცვალონ.[1]

როდესაც არასრულწლოვანი მსჯავრდებულის რესოციალიზაციაზე ვსაუბრობთ აუცილებელია, რომ აღვნიშნოთ ის მთავარი ფაქტორები, ღირებულებები, რომლებიც ხელს უწყობს არასრულწლოვნის რესოციალიზაციას, მისი სტატუსის აღდგენას ან თავიდან დამკვიდრებას საზოგადოებაში. ამისთვის კი პირველ რიგში უნდა განვსაზღვროთ სასჯელის ცნება და მიზნები. სასჯელის არის სახელმწიფოს იძულების განსაკუთრებული ღონისძიება, რომელიც საქართველოს სახელით

[1] https://ka.seamonkeyworship.com/1140-resocialization.html (25.04.2019)

მხოლოდ სასამართლოს გამატყუნებელი განაჩენით შეიძლება შეეფარდოს დანაშაულის ჩამდენს.[2]

სასჯელი ემსგავსება რომის პანთეონის ღმერთს - ორპიროვან იანუსს, რომელიც ერთი სახით მიმართულია წარსულისაკენ - უკვე ჩადენილი დანაშაულისა და მისი სუბიექტისაკენ, მეორე მხრივ კი მომავლისაკენ - მსჯავრდებულის გამოსწორებისაკენ, რათა მან სასჯელის მოხდის შემდეგ კვლავს არ ჩაიდინოს დანაშაული.[3] ამრიგად, პოზიტიური სპეციალური პრევენცია მიზნად ისახავს დამნაშავის საზოგადოებაში დაბრუნებას.

გამომდინარე თემის სპეციფიკურობისა, საინტერესოა სასჯელის პრევენციული თეორია, რომელიც უკავშირდება ფრანც ფონ ლისტის სახელს. იგი სასჯელის გამოყენებას ასაბუთებს გამოსწორებისა და დამნაშავის მხრიდან ახალი დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილების პოზიციიდან. ჩვენთვის მნიშვნელოვანია პოზიტიური სპეციალური პრევენცია, რომელიც მიზნად ისახავს რესოციალიზაციის გზით დამნაშავის ისევ საზოგადოებაში დაბრუნებას.[4]

სასჯელის მიზნის ცნება შეიძლება შემდეგნაირად განვმარტოთ: „სასჯელის მიზანი არის ის საბოლოო შედეგი, რომლის მიღწევისაკენ მიისწრაფვის სახელმწიფო თავის მიერ დადგენილი იძულებით ღონისძიებათა გამოყენების მეშვეობით“.[5]

სასჯელის მიზნად სამაგიეროს მიზღვას არ მიიჩნევდა სამართლის სოციოლოგიური სკოლა, დამნაშავის პიროვნების თავისებურებას უკვაშირებდნენ სასჯელის მიზანს და დიდ ყურადღებას უთმობდნენ დამნაშავეობასთან ბრძოლის ისეთ გამასწორებელ მეთოდებს, როგორიც იყო პირობითი მსჯავრი, პირობით ვადამდე გათავისუფლებისა და არასრულწლოვანთა მიმართ სხვა ლიბერალურ ღონისძიებათა გამოყენებას. სასჯელის მიზნად დასჯის აღიარება გამორიცხულია არასრულწლოვანთა მიერ დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში. მათ მიმართ სასჯელის გამოყენების ძირითადი მიზანია რესოციალიზაცია და გამოსწორებული სახით საზოგადოებაში დაბრუნება. საქართველოს კანონმდებლობით არასრულწლოვანთა მიმართ სასჯელის მიზანი სწორედ რომ გულისხმობს ყველა სათანადო ღონისძიების გამოყენებით ამ ძირითადი მიზნის მიღწევას. რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის მიღწევის გარეშე სისხლის სამართლის სასჯელს არასრულწლოვანთა მიმართებით აზრი ეკარგება და იგი სამაგიეროს მიზღვის სახესხვაობად გადაიქცევა. პროფესორი მზია ლეკვეიშვილი მიუთითებს, რომ „საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული რესოციალიზაციის ცნება სრულად და დამაჯერებლად ვერ ასახავს საჯელის ამ მიზანს. ფაქტობრივად არა არის განმარტებული რესოციალიზაციის არსი. ცხადია, რომ რესოციალიზაციის მიზანია ჩვენს ქვეყანაში საზოგადოების წევრთა შორის თანაცხოვრების დამკვიდრებული წესებისადმი პატივისცემისა და პასუხისმგებლობის გრძნობის ჩამოყალიბებაა, თუმცა ეს საბოლოო შედეგია. უპირველეს ყოვლისა, ამ შედეგის

---

[2] ტურავა მ., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მ-9 გამოცემა, თბ., 2013, გვ. 353.

[3] Таганцев И.С., Русское уголовное право, Лекции, часть общая, Т. I, М., 1994, с. 17

[4] ტურავა მ., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მ-9 გამოცემა, თბ., 2013, გვ. 355.

[5] ლეკვეიშვილი მ., "სასჯელის მიზნები და არასრულწლოვანთა სასჯელის დანიშვნის სპეციფიკა", სტატიათა კრებული, გამომცემლობა „მერიდიანი". თბილისი, 2011, გვ. 23.

მისაღწევად სავალდებულოა მსჯავრდებულის გამოსწორება სხვადასხვა სარეაბილიტაციო პროგრამის განხორციელებით.“[6]

ზოგადად მსჯავრდებულის რესოციალიზაცია ხანგრძლივი პროცესია. იგი იწყება სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისთანავე და გრძელდება სასჯელის მოდის შემდეგაც. ტერმინი რესოციალიზაცია ორი სიტყვის „რე“-ს და „სოციალიზაციის“ შერწყმის შედეგადაა მიღებული. „რე“ არის თავსართი, ხოლო „სოციალიზაცია“ კი ლათინური წარმოშობის სიტყვაა და ნიშნავს - ა) ადამიანისი საზოგადოების ნაწილად ქცევას, რომელსაც შეისწავლის რიგი მეცნიერებები, როგორებიცაა ფსიქოლოგია, პედაგოგიკა და ა.შ. ბ) ადამიანის ინდივიდის მიერ გარკვეული ცოდნის, ნორმების ფასეულობების სისტემის შეთვისების პროცესს, რაც საშუალებას აძლევს საზოგადოების სრულფასოვან წევრად ჩამოყალიბებას, ყოველივე კი მოიცავს, როგორც პიროვნებაზე მიზანმიმართულ ზემოქმედებას, აღზრდას, ასევე სპონტანურ პროცესებს, რომლებიც გავლენას ახდენენ მოზარდის ფორმირებაზე.[7]

როგორც ვთქვით, სასჯელის აღნიშნული მიზანი ყველაზე მნიშვნელოვანია სასჯელის სხვა მიზნებთან შედარებით, განსაკუთრებით არასრულწლოვნებთან მიმართებაში. არასრულწლოვნისათვის დანიშნული სასჯელი ორიენტირებული უნდა იყოს მის რესოციალიზაციაზე. თუ იქნება მიღწეული ეს მიზანი, არასრულწლოვნის მხრიდან ახალი დანაშაულის ჩადენაც გამოირიცხება, ამრიგად, რესოციალიზაცია უნდა ჩავთვალოთ უმთავრეს მიზნად. გერმანიის სასამართლომ პირდაპირ მიუთითა არასრულწლოვანთა სისხლის სამართალში აღზრდის უპირატესობაზე. გერმანულ სისხლის სამართალში საუბარია არასრულწლოვნის აღზრდაზე, ხოლო ზრდასრულების დასჯაზე.[8]

რესოციალიზაციის ზუსტი დეფინიციისათვის საჭიროა განვიხილოთ თუ რა არის სოციალიზაცია. არასრულწლოვნების მიმართ, მათი ბიო-ფსიქოლოგიური მდგომარეობიდან გამომდინარე, სასჯელის მიზნები გულისხმობს მათ ხელახალ სოციალიზაციას, აღზრდას. სოციალიზაცია არის ცხოვრების მანძილზე მიმდინარე რთული პროცესი, რომლის საშუალებითაც ინდივიდს უყალიბდება მისი კულტურისთვის დამახასაიათებელი ქცევები, სტანდარტები ღირებულებები. სოციალიზაციას ე.ი. გზებსა და საშუალებებს, რომელთა მეშვეობითაც ადამიანები იძენენ გამოცდილებას და ითვისებენ მათი სოციალური როლების შესაბამის განწყობებს, ნორმებს და ღირებულებებს, ორი მიზანი აქვს: ხელი შეუწყოს სოციალური როლების საფუძველზე ჩვენს ურთიერთობებს, და ამ საზოგადოების სხვა წევრთა მიერ მასში არსებული ქცევისა და მოქმედების წესებისა და ნიმუშების ათვისების წყალობით საზოგადოების არსებობა უზრუნველყოს. ადამიანებს თითქმის არ აქვთ ქცევის თანშობილი მოდელები, მაგრამ მათ რთული ჩვევების ათვისების უნარი ყველა ცოცხალ არსებაზე მეტად ახასიათებთ. კულტურული

---

[6] ლეკვეიშვილი მ., „სასჯელის ინდივიდუალიზაცია, როგორც სასჯელის შეფარდების მნიშვნელოვანი პრინციპი“, სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, თბ., 2016, გვ. 161-180.

[7] ვარძელაშვილი ი., „სასჯელის მიზნები“, სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 2016, გვ. 85.

[8] იქვე, გვერდი 192-193

ღირებულებები – დაწყებული კანონებიდან კარგი ტონის დაუწერელი წესებით დამთავრებული – ადამიანთა ქცევებსა და მისწრაფებებს არეგულირებენ.[9]

მსჯავრდებულის რესოციალიზაციას სოციალიზაციის შემადგენელ ნაწილად მიიჩნევს რუსი კრიმინალისტი მ. რიბაკიც, იგი მიუთითებს, რომ მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია ძირითადად მათი გამოსწორების გზით ხორციელდება.[10]

რესოციალიზაცია ემსახურება დამნაშავის სოციალურ ინტეგრაციას და ამასთან რეციდივის თავიდან აცილებას. გაბატონებული მოსაზრებით, ლიტერატურაში მითითებულია, რომ რესოციალიზაცია არის მსჯავრდებულის შესაძლებლობა მომავალში თავისი ცხოვრება წარმართოს დანაშაულის გარეშე.აქვს დასჯილ არასრულწლოვანს სოციალიზაციის პროცესი გავლილი? ბევრ მოზარდ დამნაშავეს ეს პროცესი ჯერ არ აქვს ან მხოლოდ მიზერულად აქვს გავლილი. გერმანულ სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში მითითებულია, რომ სოციალიზაცია არის ბავშვის ან მოზარდის პიროვნების განვითარების პროცესი. ამ შემთხვევაში რესოციალიზაცია იქნება არა საზოგადოებაში ინტეგრაცია, არამედ ახალი ინტეგრაცია.[11]

რესოციალიზაცია არასრულწლოვანი მსჯავრდებულის უფლებაა, რომელიც კავშირშია სოციალური სამყაროს პრინციპთან.[12] გერმანია სოციალური სახელმწიფოს პრინციპის მიმდევარი და პრაქტიკაში განმახორციელებელია. შესაბამისად, მსჯავრდებულის რესოციალიზაცია სახელმწიფო უმაღლეს საკანონმდებლო და პრაქტიკულ დონეზეა აყვანილი. სოციალური სახელმწიფოს პირობებში პრობაციონერისთვის დახმარების გაწევა სახელმწიფოს ვალდებულებად არის მიჩნეული. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების მიხედვით, მსჯავრდებულის პირის რესოციალიზაცია ციხის პირობებში ეფუძნება ადამიანის ღირსებას და სოციალური სახელმწიფოს პრინციპს. მსჯავრდებულს როგორც ადამიანური ღირსების მატარებელ პირს შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს ღირსეულად გამოსწორებული დაუბრუნდეს საზოგადოებას, სოციალური სახელმწიფოს პრინციპი აკისრებს ვალდებულებას იზრუნოს იმ პირებზე, რომელთაც სოციალურ განვითარებაში ხელი ეშლებათ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სისხლის სამართალში მსჯავრდებულის რესოციალიზაცია გულისხმობს მსჯავრდებულის გამოსწორებას, მის გარდაქმნას კანონმორჩილ მოქალაქედ და მის საზოგადოებაში ინტეგრაციას. არასრულწლოვან მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია, როგორც სასჯელის უმთავრესი მიზანი არ უნდა დარჩეს მხოლოდ კანონმდებლობაში არსებულ დისპოზიციად. ნორმის ეს ჩანაწერი სახელმწიფოს ვალდებულებას გულისხმობს, უზრუნველყოს მსჯავრდებულთა საზოგადოებაში დაბრუნება.

---

[9] Society For a Better Society, საუნივერსიტეტო სწავლების კურსი, გვ. 28. (ხელმისაწვდომია - http://socium.ge/downloads/socshesavali/socializacia.pdf) (28.04.2019)

[10] М. Рыбак, Ресоциализация осужденных к лишению свободы, Саратов, 2002, с. 17-18.

[11] ვარძელაშვილი ი., „სასჯელის მიზნები“, სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 2016, გვ.88.

[12] შვაბე ი., გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, თბ., 2011, გვ. 215.

2. არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობა და ინდივიდუალური მიდგომის მნიშვნელობა

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის ერთ-ერთი მთავარი პრინციპია არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინება. არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები განიმარტება, როგორც არასრულწლოვნის უსაფრთხოების, კეთილდღეობის, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, განვითარების, რესოციალიზაცია-რეაბილიტაციისა და სხვა ინტერესები, რომელთა განსაზღვრა უნდა მოხდეს საერთაშორისო სტანდარტებისა და არასრულწლოვნის ინდივიდუალური მახასიათებლების შესაბამისად, აგრეთვე მისი აზრის გათვალისწინებით. საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ადმინისტრირებისას ყველა გადაწყვეტილების მიღებაში უპირატესობა უნდა ენიჭებოდეს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებს. არასრულწლოვნები სრულწლოვანებისგან განსხვავდებიან თავიანთი ფიზიკური და გონებრივი განვითარების დონით, ემოციური მდგომარეობითა და განათლების საჭიროებებით.[13] სწორედ ეს განსხვავებები წარმოადგენენ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განსხვავებული სისტემის შექმნის საფუძველს და მოითხოვენ არასრულწლოვანთა მიმართ განსხვავებულ დამოკიდებულებას.

გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის განმარტებით არასრულწლოვნის განსაკუთრებული ფსიქოლოგიური და ფიზიკური მდგომარეობა, ემოციური და საგანმანათლებლო საჭიროებები per se ადასტურებს მისი ბრალეულობის ნაკლებ ხარისხს და მოითხოვს სრულწლოვანებისგან განსხვავებულ მიდგომას. ეს ნიშნავს, რომ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ისეთი ტრადიციული მიზნები, როგორიცაა, მაგალითად, სამართლიანობის აღდგენა, უნდა ჩაანაცვლოს რეაბილიტაციისა და აღდგენითი მართლმსაჯულების მიზნებმა, რაც საბოლოო ჯამში სწორედ საზოგადოების უსაფრთხოების მიზანს ემსახურება.[14]

ძირითადი არსი მდგომარეობს გადაწყვეტილების მიღებისას არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებისა და ინდივიდუალური მიდგომის უპირველეს გათვალისწინებაში. ამ მიდგომის ერთ-ერთი მიზეზი ასევე არის არასრულწლოვნის შემდგომი რესოციალიზაციის სიმარტივე. სანქციების გამოყენება არასრულწლოვნების მიმართ უნდა ეფუძნებოდეს მათ საუკეთესო ინტერესებს, შემოფარგლული იყოს დანაშაულის სიმძიმით და მხედველობაში იქნას მიღებული არასრულწლოვნის ასაკი, ფიზიკური და გონებრივი განვითარება, შესაძლებლობები და პიროვნული მახასიათებლები. არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესის განსაზ-ღვრა უნდა მოხდეს ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში და იგი მოითხოვს დამსჯელობითის ნაცვლად, ისეთი ღონისძიებების პრიორიტეტულობას, რომელიც ხელს უწყობს დანაშაულის ჩამდენი ბავშვის რეინტეგრაციას. ამის გამოხატულებას

---

[13] ივანიძე მ., „არასრულწლოვანი და მისი საუკეთესო ინტერესები“, არასრულწლოვანთა კანონმდებლობის ანალიზი და სასამართლო პრაქტიკა, თბ., 2017, გვ. 11-12.

[14] განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის „არასრულწლოვანთა მართლმსჯულების კოდექსი“ პროექტზე გვ.59-60.

წარმოადგენს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 65-ე მუხლი, რომელიც სასჯელის მიზნებიდან აქცენტს არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციაზე და ახალი დანაშაულის თავიდან აცილებაზე აკეთებს.

ბავშვთა საუკეთესო ინტერესებთან მიმართებით იურიდიულ ლიტერატურაში მითითებულია - „საუკეთესო ინტერესების“ ტესტი მოითხოვს, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემამ არ უნდა გამოიყენოს დამსჯელობითი ღონისძიებები და ამის ნაცვლად ხელი შეუწყოს დანაშაულის ჩამდენი ბავშვების რეინტეგრაციას“.[15]

„საუკეთესო ინტერესის ტესტი“ ასევე გულისხმობს მოსამართლის მხრიდან იმის გათვალისწინებას, თუ რა შედეგი შეიძლება მოახდინოს სასჯელმა არასრულწლოვანზე და შესაბამისად, შეუფარდოს პროპორციული, არასრულწლოვანის კეთილდღეობასა და განვითარებაზე ნაკლები გავლენის მქონე სასჯელი. არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესის განსაზღვრა უნდა მოხდეს ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში და წარმოადგენდეს მნიშვნელოვან პროცესს.

ამრიგად, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესის განსაზღვრისას გადაწყვეტილების მიმღებებმა უნდა გაითვალისწინონ მისი პიროვნება, სურვილები, ვითარება, ოჯახური მდგომარეობა, სავარაუდო შედეგი, რომელსაც განაჩენი მოახდენს მოზარდის განვითარებასა და კეთილდღეობაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო ვალდებულია არასრულწლოვნის მიმართ სასჯელის დანიშვნისას ხაზი გაუსვას მოზარდის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობას.[16]

არასრულწლოვნისადმი ინდივიდუალური მიდგომის პრინციპი გათვალისწინებული უნდა იყოს ისეთ შემთხვევებში, როგორებიცაა - არასრულწლოვნის მიმართ გადაწყვეტილების მიღებისას და არასრულწლოვნისადმი მოპრყრობისას. ინდივიდუალურ მიდგომის პრინციპის განმტკიცებას ხელს უწყობს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, რომელიც საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით მოითხოვს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში უპირველეს ყოვლისა არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების მხედველობაში მიღებასა და არასრულწლოვანთა სამართალწარმოების დროს მასთან დაკავშირებით ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას არასრულწლოვნის ინდივიდუალური მახასიათებლების გათვალისწინებას.

სასამართლო პრაქტიკიდან შეიძლება მოვიყვანოთ მაგალითი, როდესაც თბილისის სააპელაციო სასამართლო არასრულწლოვნის მიმართ გამოტანილ განაჩენში უთითებს შემდეგს - „სასჯელის დანიშვნისას პალატამ გაითვალისწინა არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესი და ინდივიდუალური შეფასების ანგარიში. კერძოდ, დანაშაულის ჩადენისას ზ.ყ. იყო არასრულწლოვანი - 16 წლის, რომელიც

---

[15] ჰამილტონი ქ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკანონმდებლო რეფორმის სახელმძღვანელო მითითებები, 2011, გვ. 34.

[16] ვარძელაშვილი ი., არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის, როგორც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის უმნიშვნელოვანესი პრინციპის მნიშვნელობა სასამართლო პრაქტიკაში, ჟ. სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები N1, თბ., 2017, გვ. 73.

ნაქირავებ ბინაში დედასთან ერთად ცხოვრობს. გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ზ. ყ. მოტივირებული ახალგაზრდაა, ასევე მისი ოჯახის ქონებრივი მდგომარეობა, მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ მას სურს უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გაგრძელება და ემზადება ინგლისურში.[17]

როგორც ვხედავთ, ინდივიდუალური მიდგომა მჭიდრო კავშირშია არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებასთან და გულისხმობს, რომ არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესი უნდა განისაზღვროს ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში მისი სპეციფიკური მახასიათებლების, საჭიროებების, გამოცდილების, ოჯახური მდგომარეობის გათვალისწინებით. ასევე მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული არასრულწლოვანის პირადი შეხედულებები მისი საუკეთესო ინტერესის განსაზღვრისას. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიხედვით აღნიშნული პრინციპი პროცესის მწარმოებელი პირისგან მოითხოვს, რომ მართლმსაჯულების პროცესის ნებისმიერ სტადიაზე არასრულწლოვანის მიმართ ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას არასრულწლოვნის მიმართ გამოიჩინოს განსაკუთრებული ყურადღება და მხედველობაში მიიღოს არასრულწლოვნის შემდეგი ინდივიდუალური მახასიათებლები: ასაკი, განვითარების დონე, ცხოვრების, აღზრდის და განვითარების პირობები, განათლება, ჯანმრთელობის მდგომარეობა, ოჯახური ვითარება და სხვა გარემოებები, რაც არასრულწლოვნის ხასიათისა და ქცევის თავისებურებების შეფასებისა და მისი საჭიროებების განსაზღვრის შესაძლებლობას იძლევა.

ინდივიდუალური მიდგომის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოხატულება კი ინდივიდუალური შეფასების ანგარიშია. ეს უკანასკნელი კი მიზნად ისახავს მოზარდის სოციალური გარემოს, მისი უნარების, ინდივიდუალური საჭიროებებისა და სხვა გარემოებათა შესწავლას, რაც ხელს უწყობს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღებას, საუკეთესო ინტერესები კი, როგორც აღვნიშვნეთ, უმნიშვნელოვანესია იუვენალურ იუსტიციაში.[18]

ბათუმის საქალაქო სასამართლომ ერთ-ერთ საქმეში განაჩენში მიუთითა, რომ არასრულწლოვან გ. დ.-ს ინდივიდუალური შეფასების ანგარიშით, მას არ აქვს ინტერესი სწავლის, დასაქმების მიმართ, არ არის დაკავებული სპორტით, თავისუფალ დროს ატარებს არაორგანიზებულად და ძირითადად ქუჩაში ასაკით უფროს, საეჭვო ქცევისა და მენტალიტეტის მქონე პირბეთან, აქვს ინტერესი კრიმინალური სუბკულტურის წევრობის, ოჯახის წევრების უხეშად ექცეოდა და სხვ.[19] როგორც ვხედავთ მოსამართლე განაჩენში დადებითთან ერთად უარყოფით გარემოებებსაც ითვალისწინებს, სწორედ ამიტომ მნიშვნელოვანია მას სრული წარმოდგენა ჰქონდეს მოზარდზე.

მანამდე არსებულ სასამართლო პრაქტიკაში პიროვნების დახასიათება ხშირად ამოიწურებოდა მისი სამსახურიდან, მეზობლებიდან მიღებული მოკლე

---

[17] თბილისის სააპელაციო სასამართლოს, სისხლის სამრთლის საქმეთა პალატის განაჩენი, საქმე N1/ბ-165-16, (26.03.16)

[18] მახარობლიძე თ., „ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მნიშვნელობა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში“, ჟ. სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები N1, თბ., 2017, გვ. 85.

[19] ბათუმის საქალაქო სასამართლოს განაჩენი, საქმე N1/209-16, 2016 წლის 17 მაისი.

დახასიათებით, რაც ხშირ შემთხვევაში ფორმალურ ხასიათს ატარებდა და არ ხდებოდა მოზარდის სრული პიროვნული შეფასება. სასჯელის ინდივიდუალიზაციის არსს წარმოადგენს დასანიშნი სასჯელის პიროვნებაზე ზუსტი მორგება, როგორც მისი მომავლის საფუძველი, მისი რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის მიღწევის შესაძლებლობის აღიარება. ამდენად, სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის განხორციელება სასჯელის შერჩევისას დამნაშავე პირის ყოველმხრივ შესწავლას ეფუძნება, სასჯელის ინდივიდუალიზაციის განსასაზღვრად კი მოსამართლე უნდა ფლობდეს მოზარდის უამრავ მახასიათებლებს, როგორც დადებითს, ისე უარყოფითს.[20]

საბოლოოდ უნდა ითქვას, რომ არასრულწლოვან სამართალდამრღვევთა მიმართ გამოყენებული სასჯელები და ზომები ყოველთვის ინდივიდუალიზებული და კონსტრუქციული უნდა იყოს, რა დროსაც გათვალისწინებული უნდა იყოს თანაზომიერების პრინციპი, მოზარდის ასაკი, მისი ფიზიკური და ფსიქიკური მდგომარეობა, განვითარების დონე და ზოგადად საქმის კონკრეტული გარემოებებიც. არასრულწლოვნისთვის გარანტირებული უნდა იყოს განათლების, დასაქმების, რეაბილიტაციისა და რეინტეგრაციის უფლებები. სწორედ ამიტომ არის მნიშვნელოვანი ინდივიდუალური შეფასების ანგარიშების გზით, არასრულწლოვნის მიმართ გამოსაყენებელი ღონისძიებებისა და სასჯელის ინდივიდუალიზაციის ფართო შესაძლებლობის პრაქტიკაში იმპლემენტაცია.

3. რესოციალიზაციის განხილვა სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის დანიშვნისას

თავისუფლების აღკვეთა, როგორც სასჯელის სახე, ერთ-ერთი უძველესი და ხშირად გამოყენებადი სასჯელია მთელს მსოფლიოში და თავისი ბუნებით წარმოადგენს ყველაზე მძიმე სასჯელს იმ სასჯელთა სისტემაში, რაც დღეს საქართველოში მოქმედებს. დასახელებული სასჯელი დღეისთვისაც რესოციალიზაციის კუთხით ყველაზე უფრო არამომგებიანი სასჯელია, განსაკუთრებით კი არასრულწლოვანთა სისხლის სამართალში, პატიმრობა ისეთი შემაძრწუნებელი და თავზარდამცემია, რომ მუდამ უარყოფითად მოქმედებს არასრულწლოვნის სულიერ მდგომარეობაზე. რადგან მოზარდები ამ დროს ნაცნობი და სანდო სოციალური გარემოსაგან არიან მოწყვეტილნი, ამას მძიმედ განიცდიან და დეპრესიაც უვითარდებათ, ეს კი საბოლოოდ ხელს უშლის მათ ფსიქიკურ განვითარებას.[21] ძალიან რთულია, განახორციელო და დაიცვა ბავშვის ყველა უფლება მაშინ, როდესაც იგი თავისუფლებააღკვეთილია და მოთავსებულია დაკავების ცენტრში (იზოლატორში) ან ციხეში. გარდა ამისა, უკვე გარკვეული ხანია აღიარებულია, რომ ბავშვის დაკავების ცენტრში, ციხეში ან სხვა დახურულ

[20] ლეკვეიშვილი მ., „სასჯელის ინდივიდუალიზაცია, როგორც სასჯელის შეფარდების მნიშვნელოვანი პრინციპი“, სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, თბ., 2016, გვ. 196-197.

[21] შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., ხასია მ., სასჯელაღსრულების სამართალი, თბ., 2014, გვ. 473.

დაწესებულებაში მოთავსებამ შეიძლება ისეთი უარყოფითი გავლენა იქონიოს ბავშვზე, რომელიც ვერ დაბალანსდება შესაბამისი მოპყრობის მცდელობებით.[22]

ზოგადად ციხეები გამოიყენება საზოგადოებისათვის განსაკუთრებით საშიში პირების დასაკავებლად. ძალიან ცოტა არასრულწლოვანი თუ მოხვდება ამგვარი საფრთხის მომტანი ადამიანების სიაში. ისინი ციხეში უნდა ჩასხდნენ მხოლოდ გამოუვალი მდგომარეობისას, როდესაც არ არსებობს სხვა ალტერნატივა. მთელი რიგი ქვეყნების პრაქტიკაზე დაყრდნობით, დასტურდება, რომ, რაც უფრო ადრე განთავსდება არასრულწლოვანი ციხეში, მით მეტია შანსი, ციხიდან გამოსვლის შემდეგ იგი სისხლისსამართლებრივად დასჯად ქმედებებში ჩაერთოს.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი დაუშვებლად აცხადებს საპატიმრო ღონისძიებების გამოყენებას არასრულწლოვნის მიმართ ისეთ შემთხვევაში, როცა კანონით განსაზღვრული მიზნის მიღწევა შესაძლებელია უფრო მსუბუქი ზომის გამოყენებით. ამგვარად, „უფრო მნიშვნელოვანია იმის უზრუნველყოფა, რომ ბავშვების რაც შეიძლება მინიმალური რაოდენობა განთავსდეს ციხეში“.[23]

ის, რომ ციხე უნდა იყოს სასჯელის უკიდურესი ფორმა, მსოფლიო პრაქტიკაში მიღებულია, არასრულწლოვნების შემთხვევაში კი ეს მოთხოვნა უფრო მკაცრად არის დაყენებული. როდესაც სასამართლოში განიხილება არასრულწლოვნის საქმე, თუ არ არის განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ფაქტები, სასამართლო მაქსიმალურად უნდა შეეცადოს, სასჯელაღსრულების დაწესებულება სასჯელის მოხდის ფორმად არ გამოიყენოს.[24] როგორც ვხედავთ კანონმდებლის ნებაა, რომ თავისუფლების აღკვეთის დანიშვნამდე სასამართლომ უნდა იფიქროს ჯერ მსუბუქ სასჯელთა დანიშვნაზე, ხოლო თავისუფლების აღკვეთა კი გამოყენებული უნდა იყოს აბსოლუტური აუცილებლობის შემთხვევაში საჯარო წესრიგის დასაცავად, როდესაც ფაქტების სიმძიმიდან გამომდინარე მოსამართლეს ალტერნატივა არ აქვს.[25] უცხო ქვეყნის პრაქტიკამ აჩვენა რომ ნაკლებ სადამსჯელო ღონისძიებების გატარება მეტად ეფექტურს ხდის არასრულწლოვნებში რესოციალიზაციის საკითხს, ეს ყოველივე კი სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის ლიბერალიზაციით არის განპირობებული.

სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის სწორად განსახორციელებლად, საჭიროა, რომ სასჯელის ისეთი სახე, როგორიცაა თავისუფლების აღკვეთა სწორად იქნას შერჩეული და გამოყენებული, ამისთვის ეს სასჯელი ჯეროვნად უნდა დასაბუთდეს, თუ რამ განაპირობა მისი გამოყენება კონკრეტული არასრულწლოვნის მიმართ, რა არის ამის მოტივაცია და საფუძველი, ხოლო ამის შემდეგ კი

---

[22] ჰამილტონი ქ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკანონმდებლო რეფორმის სახელმძღვანელო მითითებები, 2011, გვ. 114.

[23] ფაფიაშვილი ლ., „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ზოგიერთი საკითხი“ „საერთაშორისო სამა-რთლის ჟურნალი“ N 1, თბ., 2008, გვ. 153.

[24] კავთუაშვილი ე., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი - დასჯის თუ აღზრდის სამართალი?, ევროპის უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სამეცნიერო რეფერირებადი ჟურნალი, სამართალი და მსოფლიო N4, თბ, 2016, გვ. 204.

[25] პრადელი ჟ., შედარებითი სისხლის სამართალი, თბ., 1999, გვ. 443.

დამამძიმებელი და შემამსუბუქებელ გარემოებათა ზუსტი ანალიზით, განისაზღვროს ადეკვატური სასჯელის ზომაც.

არასრულწლოვან მსჯავრდებულებს შედარებით მსუბუქი და ხანმოკლე სასჯელები უნდა დაენიშნოთ ვიდრე სრულწლოვნებს, რადგან მოზარდთა რესოციალიზაცია შესაძლებელია დროის ხანმოკლე პერიოდში. ხანგრძლივმა სასჯელმა ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელ არასრულწლოვანზე შეიძლება უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს.[26]

პირველ რიგში, არასრულწლოვანთა საქმეების განმხილველმა მოსამართლემ უნდა შეაფასოს, არის თუ არა სასჯელის შეფარდების საჭიროება, შემდგომ კი შესაძლებელია თუ არა ალტერნატიული სანქციების გამოყენება. მაგალითად, სასჯელის დანიშვნის თაობაზე გაერთიანებულ სამეფოში არსებობს სახელმძღვანელო მითითებები, რომლის მიხედვითაც სასჯელის განსაზღვრამდე მოსამართლემ უნდა გაითვალისწინოს დანაშაული, მისი სიმძიმე და ნებისმიერი შემამსუბუქებელი ფაქტორი, რომელიც ასოცირდება დანაშაულთან და უშუალოდ ახალგაზრდასთან.[27] ამრიგად, სადავო არ არის, რომ სასჯელი უნდა შეესატყვისებოდეს დანაშაულს. თუმცა, „ადეკვატურობა არ არის უბრალოდ შესაბამისობა, ადეკვატურობა თავის თავში ატარებს „შესატყვისობის სისწორის" იდეას, სასჯელთა ადეკვატურობა დანაშაულთან მიმართებაში არის სასჯელის სწორედ ისეთი შესატყვისობა დანაშაულთან, რომლის დროსაც შესატყვისობის კრიტერიუმი პასუხობს თანაზომადობისა და თანაზომიერების მოთხოვნებს".[28] ამ საკითხზე განსაკუთრებით საყურადღებოა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიდგომა, სასჯელთა ადეკვატურობასა და პროპორციულობასთან დაკავშირებით საქმეზე KAFKARIS v. CYPRUS მყარადაა დადგენილი, რომ სახელმწიფოებს გააჩნიათ თავისუფლება, რათა იმგვარად მოაწყონ მართლმსაჯულების სისტემები, რომ ეხმიანებოდეს სახელმწიფოში არსებულ საჭიროებებს.[29] აშკარად არაპროპორციული სასჯელი შეიძლება გახდეს ევროპული სასამართლოს განხილვის საგანი.

სწორედ სასამართლომ უნდა შეაფასოს რამდენად სწორად არის გამოყენებული პირის უფლების შემზღუდველი ღონისძიება და ხომ არ იქნებოდა შესაძლებელი ალტერნატიული ღონისძიების გამოყენებით ლეგიტიმური მიზნის მიღწევა, დაუშვებელია ლეგიტიმური მიზნის მიღწევა განხორციელდეს ადამიანის უფლების მომეტებული შეზღუდვის ხარჯზე.[30]

გრძელვადიანი თავისუფლების აღკვეთის პრობლემა - მართალია, არასრულწლოვანთა დამნაშავეობის ზრდის გამო საზოგადოება ხშირად სასჯელის

---

[26] Карпец И.И., индивидуализациянаказания, Москва, 1961. С. 133.

[27] „სახელმძღვანელო წინადადებები სისხლის სამართლის საქმეზე განაჩენის ფორმის, მისი დასაბუთებულობისა და ტექსტის სტილისტიკური გამართულობის თაობაზე", (განკუთვნილი საერთო სასამართლო-ების მოსამართლეებისათვის) 2015. თბილისი, გვ. 229.

[28] თუმანიშვილი გ., სასჯელთა ადეკვატურობის საკითხი დანაშაულთან მიმართებაში, ჟ. „სამართალი" N 1-2, თბ., 2003, გვ. 127.

[29] KAFKARIS v. CYPRUS, ECHR, (Application no. 21906/04), 12 February 2008.

[30] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის N3/1/512 გადაწყვეტილება საქმეზე „დანიის მოქალაქე ჰეიკე ქრონქვისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".

გამკაცრებას ითხოვს, თუმცა სპეციალისტები ამბობენ, რომ თავისუფლების ხშირი და გრძელვადიანი აღკვეთით მხოლოდ უარყოფით შედეგებს მივიღებთ. კვლევებმა აჩვენა, რომ ისინი, ვინც დაპატიმრებულნი არიან არასრულწლოვნების პერიოდში, დიდი შანსია, რომ დაკავებულნი იქნებიან მოზარდობის პერიოდშიც.[31] ჯერ კიდევ 1998 წლის რეზოლუციაში, რომელსაც არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის ორმოცდათხუთმეტმა პროფესორმა და კრიმინოლოგმა მოაწერა ხელი, ნათქვამია: „სიმკაცრე, როგორც პასუხი, სავარაუდოდ, უშედეგოა!“.[32]

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 73-ე მუხლის ნოვაციას წარმოადგენს ის, რომ არასრულწოვნისთვის თავისუფლების აღკვეთის შეფარდება აღარ შეიძლება თუ იგი პირველად ჩაიდენს ნაკლებად მძიმე დანაშაულს, ყოველივე მიმართულია ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩამდენ არასრულწლოვანთა ჭეშმარიტი ინტერესების გათვალისწინებაზე და ამით ფასობს ეს ნოვაციაც. როგორც ჩანს კანონმდებლობა მივიდა იმ აზრზე, რომ მცირე დანაშაულობები ხშირ შემთხვევაში ასაკობრივ მოვლენას წარმოადგენს.[33]

ვფიქრობ, საქართველოში მკაცრია სისხლის სამართლის საჯელები თავისუფლების აღკვეთასთან მიმართებით და მიმაჩნია, რომ აღნიშნული თავისუფლების აღკვეთის ზედა ზღვარი საკმაოდ მაღალია არასრულწლოვანი მსჯავრდებულებისთვის. ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გარემოება, რომელზეც დამყარებულია საკანონმდებლო ხელისუფლების სისტემის ფუნდამენტი, ეს არის ადამიანის რწმენა კანონის სამართლიანობისა. დანაშაულთან შეუსაბამო სასჯელის ზომა კი არასრულწლოვანში გამოიწვევს უსამართლობის განცდას, რადგან როდესაც ის სჩადის დანაშაულს მას წარმოდგენილი აქვს რომ მას მიუსჯიან ადეკვატურ სასჯელს, ხოლო თუ თავისუფლების აღკვეთის ზღვარი არის ძალიან მაღალი, ის იფიქრებს რომ დაიჩაგრა და ამ შემთხვევაში არასრულწლოვანს იმ სისტემისადმი ანტაგონისტური დამოკიდებულება ექმნება, რომელმაც მიუსაჯა ეს სასჯელი, ასეთ დროს კი რთულია მათი შემობრუნება. სწორედ ამიტომ მკვლევარები კვლავაც ამტკიცებენ, რომ არასრულწლოვან დამნაშავეთა საპატიმროში ჩასმა საგრძნობ გავლენას ვერ ახდენს არასრულწლოვანთა სისხლისსამართლის დანაშაულობათა დონეზე.[34]

არასრულწლოვანი პატიმარი რომლის ასაკიც 14-15 წელია მისი ფსიქოლოგიური, ბიოლოგიური და ფიზიკური განვითარებიდან გამომდინარე ადვილად შეიძლება მოექცეს 17-18 წლის მოზარდი პატიმრის ზეგავლენის ქვეშ. ხშირ შემთხვევაში უფროსი მოზარდის ზეგავლენას მხოლოდ უარყოფითი შედეგი შეიძლება მოჰყვეს უმცროსის შეხედულებებზე, ამ დროს უფროსი პატიმრის კრიმინალური

---

[31] Huizinga, D., Who goes to prison? Paper presented at the Annual Conference on Criminal Justice Research and Evaluation, Washington, DC. 2000.

[32] კავთუაშვილი ე., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი - დასჯის თუ აღზრდის სამართალი?, ევროპის უნივერსიტეტის სამეცნიერო- კვლევითი ინსტიტუტის სამეცნიერო რეფერირებადი ჟურნალი, სამართალი და მსოფლიო N4, თბ, 2016, გვ. 208.

[33] კაკაჩია მ., კლდიაშვილი ლ., „არასრულწლოვან დამნაშავეთა რეაბილიტაცია საქართველოში“.თბ., 2004, გვ.10.

[34] Denice C. Gottfredson and William H.Barton, “Deinstitutionalization of Juvenile Offenders”, Criminology, 31 (1993), P. 591-611.

თავგადასავალი აღაფრთოვანებს უმცროსს და მისთვის მისაბაძი ფიგურაც კი ხდება. ასეთ დროს კანონმდებელი ითვალისწინებს რა დამნაშავის რესოციალიზაციის მიზანს, მიაჩნია, რომ 14-15 წლის მოზარდისთვის სასჯელის დანიშვნისას მოსამართლემ მხედველობაში უნდა მიიღოს ასაკით უფროსი პირების ზეგავლენა, მათთან ურთიერთობიდან გამომდინარე კი უმცროსი პატიმრების გაკრიმინალება. მოსამართლე, რომელსაც გავლილი აქვს სპეციალური კურსი ბავშვთა ფსიქოლოგიასა და პედაგოგიკაში, ვალდებულია გაითვალისწინოს ის გარემოება, რომ სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის მისჯა უნდა ემსახურებოდეს მოზარდის გამოსწორებას, სასჯელის ძირითადი დანიშნულებაც არასრულწლოვნებთან მიმართებაშიც ხომ მათი რესოციალიზაცია-რეაბილიტაციაა, ანუ აღზრდა. ამ დროს კი იბადება კითხვა, რამდენად შეესაბამება 10 და 12 წლით თავისუფლების აღკვეთა აღზრდის მიზანს? მაგალითად, გერმანულ ლიტერატურაში მიჩნეულია, რომ მოზარდის მიმართ 5 წლით და უფრო მაღალი ზომით თავისუფლების აღკვეთის მისჯა მის აღზრდას არ გამოიწვევს.[35]

როგორც აღვნიშნეთ მსჯავრდებულის რესოციალიზაცია და კანონმორჩილ საზოგადოებაში რეინტეგრაცია არ ხდება. ამის ერთ-ერთი მიზეზი, ხანგრძლივი დროით ადამიანის ჯანსაღი სოციალური ჯგუფიდან განდევნაა. ე. საზერლენდის დიფერენცირებული ასოციაციის თეორიის თანახმად, „დამნაშავეები ერთმანეთისგან სწავლობენ დანაშაულებრივი ქმედებების ჩადენის წესს, ღირებულებებს, მოტივებსა და ზოგადად დამოკიდებულებას. ვინაიდან მსჯავრდებულს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოხვედრისას აქვს კონტაქტი სხვა დამნაშავეებთან, ლოგიკურია, რომ ის ჯანსაღი საზოგადოების რეინტეგრაციის გზაზე კი არ დადგება, არამედ გახდება დანაშაულებრივი საზოგადოების სრულფასოვანი წევრი, ეცდება ამ საზოგადოებაში სოციალური სტატუსის დამკვიდრებას და შეისწავლის დანაშაულებრივ საქმიანობას მისი იმიტაციით. რაც უფრო ხანგრძლივია პატიმრობის ვადა, მით უფრო ხშირია კონტაქტი პრო-კრიმინალურად მოაზროვნე ჯგუფებთან და მით უფრო მაღალია დიფერენცირებული ასოციაციის ინტენსივობა. ასეთ ატმოსფეროში, მსჯავრდებულის რესოციალიზაციის შანსები საგრძნობლად იწევს ქვემოთ. ასეთი ზეგავლენა გაცილებით სავალალოა არასრულწლოვანი მსჯავრდებულისთვის, ვინაიდან მათი ფსიქიკა ამ დროს არის აქტიური შესწავლისა და განვითარების ფაზაში, ხოლო სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ისინი მეტწილად შეისწავლიან დანაშაულებრივ საქმიანობას“.[36]

ამრიგად, მაღალი ზომის თავისუფლების აღკვეთის პირობებში არსებობს საშიშროება, რომ ციხის კრიმინალურმა ცხოვრების წესებმა მოზარდ მსჯავრდებულზე ნეგატიური გავლენა იქონიოს და იგი ამ წესებით ისე მოიხიბლოს, რომ გათავისუფლების შემთხვევაში კრიმინალური ცხოვრების მიმდევრად დარჩეს და კრიმინალურ წესებს იცავდეს. მოკლევადიანი თავისუფლების აღკვეთის

---

[35] შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, მეორე გამოცემა, თბილისი, ფრაიბურგი, სტრასბურგი, 2016, გვ.160.

[36] ღლონტი ა., ალავიძე გ., ვადიანი თავისუფლების აღკვეთის კრიტიკული ანალიზი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, აკადემიური მაცნე, ჟ., სამართალი N4, თბ., 2015, გვ. 260.

პირობებში კი მოზარდ მსჯავრდებულზე ჯერ კიდევ არა აქვს ან შედარებით ნაკლები ზეგავლენა აქვს.

არასრულწლოვანი მსჯავრდებულისთვის გრძელვადიანი სასჯელის, კერძოდ, 5 წლითა და მეტი ვადით, დანიშვნის უარყოფითი თვისება, პედაგოგიური თვალსაზრისით, არის ისიც, რომ პირველი ორი-სამი წლის მანძილზე გატარებული სარეაბილიტაციო ღონისძიებების ცხოვრებაში გამოყენებას მოზარდი ვეღარ ახერხებს დიდი ზომის სასჯელის გამო და გამოსვლისას ის კრიმინალისკენ უფრო მეტად ისწრაფვის, ვიდრე რესოციალიზაციისაკენ. გარდა ამისა, მაღალი ზომის სასჯელს შეუძლია გამოიწვიოს მოზარდში ფრუსტრაცია, ასევე იწყება უკულტურობის პროცესიც, სოციალური კონტაქტების დაკარგვა.[37] პატიმრის ასეთი მდგომარეობა ნეგატიურად აისახება მის ოჯახზეც, რადგან ოჯახის წევრები განიცდიან ემოციურ, მატერიალურ, ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ დანაკარგს. ის ფაქტი, რომ არასრულწლოვნების მოწყვეტა მათი ოჯახებისგან და საზოგადოებისგან სერიოზულ საფრთხეს უქმნის მათ ფიზიკურ, მენტალურ თუ სოციალურ განვითარებას არავისთვის საიდუმლოს არ წარმოადგენს.

ამ საკითხთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ერთ-ერთ საქმესთან დაკავშირებით აღნიშნა სასჯელის განსაკუთრებული სიმკაცრე, როდესაც 15 წლის მოზარდს სასჯელის სახით დაენიშნა 7 ქლითა და 8 თვით თავისუფლების აღკვეთა, სასამართლომ მიუთითა, რომ მცირე ასაკის გამო დაკისრებული სასჯელი არაპროპორციული იყო დანაშაულის თავიდან აცილების, უწესრიგობის, სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის მიზნებიდან გამომდინარე.[38]

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ არასრულწლოვანს საპატიმრო სასჯელი მხოლოდ მაშინ უნდა მიესაჯოს, როდესაც სხვა უფრო მსუბუქი სახე სასჯელის მიზნებს ვერ შეასულებს. იურიდიულ ლიტერატურაში აღიარებულია, რომ ხშირად მოზარდის დასჯა არ მოქმედებს და პირიქით, უფრო ამაღლებულია ახალი დანაშაულის ჩადენის ალბათობა. საქართველოში სამწუხაროდ არ არსებობს რაიმე სახის სტატისტიკა იმისა, თუ როგორ მოქმედებს ციხე არასრულწლოვნის რესოციალიზაციაზე. დასავლეთ ევროპისა და ამერიკის შეერთებული შტატების სტატისტიკას თუ გავიზიარებთ, უფრო მეტად მაღალია იმ არასრულწლოვან მსჯავრდებულთა დანაშაულის ხელახლა ჩადენა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში დაბრუნება, რომელთაც საპატიმრო სასჯელი შეეფარდათ, ვიდრე იმ მოზარდებისა, რომელთაც სხვა უფრო მსუბუქი სანქცია დაეკისრათ.[39] იურიდიულ ლიტერატურაში კი სამართლიანადაა აღნიშნული, რომ „კრიმინალურმა და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ისტორიამ, აგრეთვე ციხეებიდან გამოსული ახალგაზრდებისთვის სასჯელის ხელმეორედ მისჯის მაღალმა დონემ

---

[37] შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, მეორე გამოცემა, თბილისი, ფრაიბურგი, სტრასბურგი, 2016, გვ.161.

[38] Gulcu v. Turkey, განაცხადი N17526/10. 2016 წლის 19 იანვარი.

[39] კავთუაშვილი ე., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი - დასჯის თუ აღზრდის სამართალი?, ევროპის უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სამეცნიერო რეფერირებადი ჟურნალი, სამართალი და მსოფლიო N4, თბ, 2016, გვ. გვ. 207.

აჩვენა დასჯაზე დაფუძნებული სისხლისსსამართლებრივი კონტროლის ტრადიციული მიდგომის მარცხი“.[40]

საბოლოოდ უნდა აღინიშნოს, რომ მოზარდის მიმართ სასჯელის თავისუფლების აღკვეთის სახით გამოყენება მის მარგინალიზაციასა და სტიგმატიზაციასაც იწვევს, რადგან საპატიმრო სასჯელი მოზარდის მიერ მძიმე დანაშაულის ჩადენის ალბათობაზე მიუთითებს, ამ დროს კი მისი ლეგალურ სექტორში დასაქმების შესაძლებლობაც ძნელდება და ნაციხარის სტიგმა კი მის ეკონომიკურ და სოციალურ მდგომარეობას აუარესებს. გარდა ამისა, როგორც აღვნიშნეთ საპატიმრო სასჯელი არა რესოციალიზაციის მიღწევის, არამედ დამნაშავედ ჩამოყალიბების საშუალებაა, რადგან ციხის ცხოვრების ტოტალური ჰეტერონომიული განსაზღვრის გამო ყალიბდება ციხის სუბკულტურა, მოზარდი ამ დროს ითვისებს ანტისაზოგადოებრივ ღირებულებებსა და დევიანტურ ქცევებს. მსოფლიო სისხლის სამართლის პოლიტიკის გამოცდილებით დადგენილია, რომ ნაკლებად პუნიტიური არასაპატიმრო სასჯელები შედეგიანი შეიძლება იყოს და უფრო ეფექტურიც რეციდივის რისკის გასანეიტრალებლად.[41]

4. სასჯელის მოხდისგან პირობით ვადამდე გათავისუფლების მნიშვნელობა მსჯავრდებულის რესოციალიზაციისათვის

პირობით ვადამდე გათავისუფლების უფლება წარმოადგენს ყოველი თავისუფლება აღკვეთილი პირის უფლებას, მათ შორის არასრულწლოვანი მსჯავრდებულების უფლებასაც, ურომლისოდაც ფაქტობრივად შეუძლებელია რესოციალიზაციაზე საუბარი. მისი მიზანი უნდა იყოს დაეხმაროს მსჯავრდებულ მოზარდს, რათა მან შეძლოს ციხისთვის თავის არიდება და, ასევე, სხვა შემთხვევაში თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში გატარებული დროის შემდეგ შეძლოს საზოგადოებაში კანონმორჩილი ცხოვრება, რათქმაუნდა გათავისუფლების შემდგომი პირობების შექმნითა და ზედამხედველობით. ამან კი ხელი უნდა შეუწყოს სასჯელის მიზნის მიღწევას და წვლილი შეიტანოს საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფასა და დანაშაულის შემცირებაში.[42]

გერმანიაში ჯარიმა თავისუფლების აღკვეთის პრაქტიკული ალტერნატივაა, თუმცა პირობით მსჯავრს გაცილებით უფრო დიდი როლი ენიჭება სანქციების კვლევისას. ჯერ კიდევ ფრანც ფონ ლისტი მიუთითებდა „პირობითი მსჯავრის, როგორც თავისუფლების აღკვეთის სუროგატის მნიშვნელობასა და პრობაციის ოფიცრის, როგორც დამრღვევის საზოგადოებასთან დამაკავშირებელი ჯაჭვის მნიშვნელობაზე, პირობითი მსჯავრისას სასჯელის აღსრულება პირობით

[40] ფაფიაშვილი ლ., „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ზოგიერთი საკითხი“, „საერთაშორისო სამა-რთლის ჟურნალი“. თბილისი, N 1, 2008, გვ. 155.

[41] მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ., საპატიმრო სასჯელების ალტერნატივა საზღვარგარეთის ქვეყნებში, სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, თბ., 2016, გვ. 665.

[42] ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2003) 22 პირობით ვადამდე გათავისუფლების შესახებ. პრეამბულა.

გადავადდება და პირს სამართალმორჩილების დამტკიცების საშუალება ეძლევა“, დღეისთვის პირობითი მსჯავრი გერმანიაში ხშირად გამოიყენება, კერძოდ, 2013 წლის მონაცემებით თავისუფლების აღკვეთა გერმანიაში ყოველ მეხუთე საქმეზე დაინიშნა და ამათგან 70% იყო პირობითი.[43]

საერთაშორისო სტანდარტები ხაზგასმით მიუთითებენ პირობით ვადამდე გათავისუფლების ეფექტიანი და გამართული სისტემის დანერგვაზე, პირობით ვადამდე გათავისუფლება აღიარებულია სასჯელის მიზნის მიღწევის ყველაზე მიზანშეწონილ სისტემად და ხელშემწყობ ფაქტორად არასრულწლოვანი მსჯავრდებულის რესოციალიზაციისათვის. კვლევებით დადასტურებულია, რომ თავისუფლების აღკვეთისას ვადაზე ადრე გათავისუფლების შემთხვევაში, პრევენცია და რესოციალიზაცია უფრო მიიღწევა, ვიდრე სასჯელის მოხდისას.[44]

ევროპის საბჭო წარმოადგენს იმ საერთაშორისო ორგანიზაციას, რომლის საქმიანობის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებათა განტვირთვა და მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის ხელშეწყობა წარმოადგენს, რის მიღწევაშიც მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა ეფექტური ვადამდე გათავისუფლების სისტემის ფუნქციონირებას.[45] ამგვარი პოლიტიკა კი უმნიშვნელოვანესია თავისუფლების აღკვეთის დაკისრებისა და აღსრულებისათვის, რადგან „ისინი ცხადყოფენ იმ რეალობას, რომლითაც დგინდება თუ რამდენად ხორციელდება კონსტიტუციური წყობილების ქვეყანაში დასჯის ძალაუფლების შეზღუდვა უფრო ზოგადი პრინციპებით, რომლებიც სასჯელის მიზანს ემსახურება.[46]

საქართველოს რეალობაში აღნიშნულ სისტემას სასამართლო პრაქტიკით აქვს გარკვეული ხარვეზებიც, მაგალითად, 250 ლარის ნივთების ქურდობისთვის არასრულწლოვანს თუ მიესაჯა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც ჩაეთვალა პირობითად 4 წლის გამოსაცდელი ვადით. ამ ვადაში კი თუ მან კიდევ მოიპარა 100 ლარის ნივთები, მოსამართლე იძულებული გახდება მისთვის 4 ან 6 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯოს, რელურად კი არასრულწლოვნის მიერ 2 მსუბუქი ხასიათის დანაშაულია ჩადენილი. თამამად შეიძლება ითქვას, რომ 4 წლით პირობითი მსჯავრი არ არის გონივრული ვადა, რომელმაც არასრულწლოვნის რესოციალიზაცია უნდა გამოიწვიოს. ერთიდან ოთხი წლის ჩათვლით მოზარდისათვის გამოსაცდელი ვადა არის საკმაოდ ხანგრძლივი, ამ დროს კი არსებობს მაღალი ალბათობა იმისა, რომ მოზარდი კვლავ ჩაიდენს დანაშაულს, ასევე, პრობაციონერ არასრულწლოვან მსჯავრდებულზე არასათანადო კონტროლიც იწვევს გამოსაცდელი ვადის პერიოდში დანაშაულის ჩადენას, ამის შემდეგ კი თავისუფლების აღკვეთის გამოყენება გარდაუვალი ხდება.

---

[43] მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ., საპატიმრო სასჯელების ალტერნატივა საზღვარგარეთის ქვეყნებში, სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, თბ., 2016, გვ. 679.

[44] ვარძელაშვილი ი., სასჯელის მიზნები, სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 2016, გვ. 112.

[45] შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., ხასია მ., სასჯელაღსრულების სამართალი, თბ., 2014, გვ. 253.

[46] შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, მეორე გამოცემა, თბილისი, ფრაიბურგი, სტრასბურგი, 2016, გვ. 224.

დასკვნის სახით შეიძლება ითვას, რომ სასჯელის მოხდისგან გათავისუფლება, სასჯელის შეცვლა, სასჯელის შემცირება ემსახურება არასრულწლოვანი მსჯავრდებულის რესოციალიზაციას, როგორც სასჯელის ერთ-ერთ მიზანს, ხოლო თავისი არსით კი სისხლის სამართალის მოქმედი ჰუმანიზმის პრინციპსა და სასჯელის აღსრულების მიზანშეწონილობას უკავშირდება.[47] ხელისუფლების წარმომადგენლები ვალდებულნი არიან განახორციელონ ყველა ის აქტივობა, რაც უზრუნველყოფს პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის სრულფასოვან განხხილვას, დაწყებული საქმის შესაბამისი კომპეტენტური ორგანოსთვის წარდგენიდან, დასრულებული დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში მოზარდის დაუყოვნებელი გათავისუფლებითა და შესაბამისი საზედამხედველო ორგანოსათვის მსჯავრდებულის საქმის გადაგზავნით.

[47] ვარძელაშვილი ი., „სასჯელის მიზნები“, სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 2016, გვ. 113.

თავი მეორე

ალტერნატიული სასჯელები არასრულწლოვანთა რესოციალიზაციის პროცესში

1. არასრულწლოვანთა მიმართ არასაპატიმრო სასჯელების გამოყენების მნიშვნელობა

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსმა არასრულწლოვნის განსაკუთრებული ფიზიკური და ფსიქიკური მდგომარეობის გათვალისწინებით ჩამოაყალიბა ახლებური, სპეციფიკური მიდგომა, რომელიც ორიენტირებულია არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებზე, შესაბამისად ყველა შემთხვევაში ხაზგასმულია, რომ, უპირველეს ყოვლისა, მხედველობაში მიიღება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები, ეს მიდგომა ერთ-ერთ მიზნად ისახავს მსუბუქი ზომების გამოყენებით არასრულწლოვნის შემდგომი რესოციალიზაციის სიმარტივეს.[48] მისი გამოსწორებისთვის მისივე ინტერესებიდან გამომდინარე, როგორც წესი უმჯობესია სასამართლოში სასჯელის დანიშვნისას მის მიმართ გამოყენებული იყოს თავისუფლების აღკვეთაზე უფრო მსუბუქი სასჯელი, რათა მოხდეს მკაცრი ზომების თავიდან აცილება. მოსამართლემ უნდა გაითვალისწინოს, თუ რა შედეგი შეიძლება მოახდინოს სასჯელმა არასრულწლოვანზე და შესაბამისად, შეუფარდოს არასრულწლოვნის კეთილდღეობასა და განვითარებაზე ნაკლები გავლენის მქონე სასჯელი.

ბოლო წლებში, ქვეყანაში აშკარად შეიმჩნევა ალტერნატიული სასჯელების გამოყენების სიხშირე, რაც მისასალმებელია, ვფიქრობ, ასეც უნდა გაგრძელდეს, რადგან ალტერნატიული სანქციები უფრო ეკონომიურია, ნაკლებ დანახარჯს მოითხოვენ და მეტად უზრუნველყოფენ არასრულწლოვან მსჯავრდებულთა რესოციალიზაციას, ვიდრე თავისუფლების აღკვეთა. ალტერნატიული სასჯელები არასრულწლოვნისთვის ეფექტურია იმ კუთხითაც, რომ მას ეძლევა გარესამყაროსთან ურთიერთობის შესაძლებლობა, საშუალება, რომ არ მოსწყდეს საკუთარ მეგობრებს, ოჯახს, ეს კი ხელს უწყობს მის სოციალიზაციას.[49]

მოსამართლემ არასრულწლოვნის მიმართ სასჯელის დანიშვნისას მხედველობაში უნდა მიიღოს ისეთი გარემოებები, როგორიცაა - ჩადენილი ქმედების საზოგადოებრივი საშიშროება, ჯეროვნად უნდა შეისწავლოს არასრულწლოვნის ფსიქო-ემოციური ფაქტორები, მისი პიროვნება, ცხოვრების წესი, ხოლო აღნიშნულთა შემდგომ კი ობიექტურად უნდა შეაფასოს ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე, რადგან განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სასჯელის მიზნების

[48] კავთუაშვილი ე., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი - დასჯის თუ აღზრდის სამართალი?, ევროპის უნივერსიტეტის სამეცნიერო- კვლევითი ინსტიტუტის სამეცნიერო რეფერირებადი ჟურნალი, სამართალი და მსოფლიო N4, თბ, 2016, გვ. 203.

[49] ტორიაშვილი ნ., ალტერნატიული სასჯელები, თბ., 2013, გვ. 78.

გათვალისწინება არასრულწლოვანთა მიმართ სასჯელის დანიშვნისას.[50] აღნიშნულთა გათვალისწინებით კი მოსამართლემ უპირატესობა ალტერნატიულ სასჯელებს უნა მიანიჭოს, ხოლო თუ ვერ უზრუნველყოფს ნაკლებად მკაცრი სანქცია სასჯელის მიზნების განხორციელებას მხოლოდ მაშინ იქნება გამართლებული მკაცრი სასჯელის დანიშვნა, რითაც კანონმდებელმა შემოგვთავაზა ისეთი კონცეფცია, რომელიც აწესებს სასჯელის შეფარდების შეზღუდვას მინიმალური ინტერვენციის სასარგებლოდ, შესაბამისად მოსამართლემ სასჯელის შეფარდებისას უნდა უზრუნველყოს ისეთი სახის სასჯელთა მეტად გამოყენება, რომელიც არ არის დაკავშირებული თავისუფლების აღკვეთასთან.[51] საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით არასრულწლოვანს თავისუფლების აღკვეთის გარდა, ალტერნატიულ სასჯელებად შეიძლება დაენიშნოს ისეთი სახის სასჯელები როგორიცაა: ჯარიმა, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა, შინაპატიმრობა და საქმიანობის უფლების ჩამორთმევა.

თუ არსებობს, თუნდაც სულ მცირე ალბათობა იმისა, რომ არასრულწლოვანი შეიძლება თავისუფლების აღკვეთის გარეშეც გამოსწორდეს მის მიმართ ალტერნატიული სასჯელი აუცილებლად უნდა იქნეს გამოყენებული, რადგან ციხემ შეიძლება გამოუსწორებელი დაღი დაასვას არასრულწლოვანს.[52] მეცნიერული კვლევებიით დადგენილ იქნა მკაცრი სასჯელების უარყოფითი შედეგები, კერძოდ: ა) მკაცრი სასჯელი უარყოფითად მოქმედებს ადამიანის ფსიქიკაზე; ბ) ზრდის სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში პატიმართა რიცხვს; გ) ნეგატიურად მოქმედებს ქვეყნის დემოგრაფიულ მდგომარეობაზე.[53] ალტერნატიული სასჯელის შემთხევაში არასრულწლოვანი პატიმრის სტრესთან დაკავშირებული პრობლემებისგან თავისუფლდებიან აგრეთვე მისი ოჯახის წევრებიც.

არასრულწლოვანთა მიმართ სასჯელის დანიშვნის არსებულ პრაქტიკას დღეის მდგომარეობით თუ განვიხილავთ, შევამჩნევთ, რომ აშკარად შეიცვალა მოსამართლის მიერ სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების სიხშირე და არასრულწლოვანთა მიმართ სასამართლოს მიერ სასჯელის სახით გამოყენებულია თავისუფლების აღკვეთაზე უფრო მსუბუქ სასჯელთა სახეები, რაც მიუთითებს იმაზე, რომ სასამართლოსთვის ერთნაირად მნიშვნელოვანია, როგორც დამნაშავეობასთან ბრძოლა, ასევე არასრულწლოვნის რესოციალიზაცია, რაც განპირობებულია სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის ლიბერალიზაციით.[54] შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ სასამართლომ პოზიტიური როლი ითამაშოს კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანი დამნაშავე პირების ხელახალი

---

[50] ივანიძე მ. არასრულწლოვანთა სასჯელისა და აღმზრდელობითი ხასიათის იძულებითი ღონისძიების შეფარდების პრობლემები, თბ., 2011, გვ. 173.

[51] ლეკვეიშვილი მ., სასჯელის მიზნები და სასჯელის შეფარდების სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური ასპექტები, ჟ., „მართლმსაჯულება და კანონი“ №4(43), თბ., 2014, გვ. 26.

[52] შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, მეორე გამოცემა, თბილისი-ფრაიბურგი-სტრასბურგი, 2016, გვ. 159.

[53] შალიკაშვილი მ., კრიმინოლოგია, მეორე გამოცემა, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ., 2011, გვ. 226.

[54] მსხილაძე ლ., სასამართლოს როლი სასჯელის განსაზღვრისას, ჟ. მართლმსაჯულება და კანონი, N1(57), თბ., 2018, გვ. 68.

აღზრდისათვის ხელის შეწყობასა და მათ შემდგომ რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესის გაადვილებაში.

ალტერნატიული სასჯელები მისი არსიდან და მიზნებიდან გამომდინარეობს, ხასიათდებიან ფილოსოფიური ბუნებით. ამ საკითხზე კი არაერთ მეცნიერსა და ფილოსოფოსს გამოუთქვამს მოსაზრება, ცნობილი იტალიელი განმანათლებლის ჩეზარე ბეკარიას აზრით: „სასჯელის მიზანი მხოლოდ იმაში გამოიხატება, რომ წინ აღუდგეს დამნაშავეს, რათა კვლავ არ დააზიანოს საზოგადოება და სხვები ანალოგიურის ჩადენისაგან. ამრიგად, საჭიროა გამოვიყენოთ მხოლოდ ის სასჯელი, რომელიც დანაშაულთან შესაბამისობით ყველაზე ძლიერ და უმეტესად ხანგრძლივ შთაბეჭდილებას მოახდენდა ადამიანთა სულებზე და დამნაშავის სხეულისთვის ნაკლებ სატანჯველი იქნებოდა“.[55] ეს სიტყვები, თავისი დატვირთვით მატარებელია ალტერნატიული სასჯელების გამოყენების საჭიროებისა.

ალტერნატიული სასჯელების ეფექტურობა მდგომარეობს იმაში, რომ მსჯავრდებული არასრულწლოვანი თავისუფლებას არ კარგავს, მას უნარჩუნდება საქმიანობის უფლება, თუნდაც საზოგადოებრივი, არ იწვევს მსჯავრდებულის მოწყვეტას რეალობისგან, არ ხდება მსჯავრდებულის „ნაციხრად“ ეტიკეტირება, რაც რესოციალიზაციის საფუძველია, მათი გამოყენება არასრულწლოვანს სახელმწიფოს მიმართ უჩენს გარკვეულ ნდობას, ამგვარი სასჯელები კი სასარგებლოა არამარტო არასრულწლოვნისთვის, არამედ საზოგადოების სხვა წევრებისთვისაც.[56] თუ ასეთი სასჯელები არასწორად იქნება გამოყენებული ის შეეწინააღმდეგება სასჯელის მიზნებს, მაგალითად, თუ მოსამართლე არასრულწლოვანს დაუნიშნავს ჯარიმის თანხის არაპროპორციულ რაოდენობას ჩადენილ დანაშაულთან მიმართებაში, ეს უსათუოდ გამოიწვევს უსამართლობის განცდას არასრულწლოვან მსჯავრდებულში.

ამრიგად, ლიბერალური სისხლის სამართლის პოლიტიკა, რაც გულისხმობს არასრულწლოვნის რესოციალიზაციის უმთავრეს მიზნად გათვალისწინებას, და შესაბამისი სისხლის სამართლის კანონმდებლობა, არასრულწლოვანთა მიმართ განსხვავებულ მიდგომათა ჩამოყალიბება, ალტერნატიული სასჯელების გამოყენების საფუძველია. უნდა განვითარდეს და გააქტიურდეს ალტერნატიული სანქციების გამოყენების პრაქტიკა, რომელიც გაითვალისწინებს ბავშვის ემოციურ, მენტალურ და ფიზიკურ მოწიფულობას, ასევე კონკრეტული საქმის თავისებურებებს.

2. ჯარიმის დანიშვნის მიზანი

ალტერნატიული სასჯელებიდან ყველაზე მსუბუქი სახის სასჯელს წარმოადგენს ჯარიმა. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 42-ე მუხლის მიხედვით ჯარიმა არის ფულადი გადასახდელი. სასამართლომ არასრულწლოვნისთვის ჯარიმის შეფარდების დროს უნდა გაითვალისწინოს მისი ეკონომიკური

[55] ჩეზარე ბეკარია, დანაშაულისა და სასჯელისათვის, გამომც. საქართველოს „მაცნე“, თბ., 2003, გვ. 69.
[56] ივანიძე მ., ალტერნატიული სასჯელები, სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, თბ., 2016, გვ. 365-366.

მდგომარეობა, მიყენებული ზიანის პროპორციულობა და ბრალეულობის ხარისხი, რაზეც მიუთითებს ამკ-ს 68-ე მუხლიც, რომლის მიხედვითაც ჯარიმა შეიძლება დაენიშნოს, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ არასრულწლოვანს აქვს დამოუკიდებელი შემოსავალი. მოცემულ მდგომარეობათა შესწავლისა და გათვალისწინების მიზნით, მოზარდისთვის ჯარიმის დაკისრების უპირველესი მიზანი უნდა იყოს არასრულწლოვნის რესოციალიზაცია და რეაბილიტაცია, მიუხედავად იმისა, რომ ჯარიმის აღმზრდელობითი ეფექტი ძალიან დაბალია, ამიტომაც სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ არასრულწლოვანზე ფსიქოლოგიური ეფექტიანობის, მისი გამოსწორება-აღზრდის მიზნით, უფრო გამართლებული იქნებოდა თუ მსჯავრდებული მოზარდი ჯარიმას გადაუხდიდა არა სახელმწიფო ორგანოს, არამედ ბავშთა სახლებისათვის შეიძენდა საჭირო ინვენტარს ან დაეხმარებოდა საქველმოქმედო ორგანიზაციებს, რომელთა საქმიანობაც საზოგადოებრივი კეთილდღეობისკენ არის მიმართული, ეს ყოველივე კი მოზარდზე დადებითად აისახება, რადგან საზოგადოებასათან ურთიერთობა და მისდამი ინდივიდუალური მიდგომა მასზე დადებით ეფექტს მოახდენს, თუმცა ამ დროსაც გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ჯარიმით განსაზღვრულმა თანხის ოდენობამ არ უნდა გამოიწვიოს მოზარდში უსამართლობის გრძნობის გაღვივება და მისი ეკონომიკური მდგომარეობის ისე გაუარესება, რომ ჯარიმით მიყენებული ზარალი აინაზღაუროს სხვა დანაშაულის ჩადენით.[57] უმეტესად ახალგაზრდა დამნაშავე ფინანსურად დაუცველია და ზოგჯერ მათ მიერ დანაშაულის ჩადენის ერთ-ერთი მიზეზი სწორედ სიღარიბეა.[58] მით უფრო მწვავედ დგას საკითხი ქართულ რეალობაში, არასრულწლოვნებს ნაკლები საშუალება აქვთ გადაიხადონ ჯარიმა, ამასთანავე, ქვეყანაში არსებული მძიმე ეკონომიკური ფონი, სამუშაოთა ნაკლებობა და ზოგადად არასრულწლოვან დასაქმებულთა დაბალი ანაზღაურება შეიძლება გახდეს იმის საწინდარი, რომ ჯარიმით დაკისრებული თანხა არასრულწლოვანმა აანაზღაუროს არაკანონიერი საქმიანობით ან თუნდაც „მავნე საქმიანობით“, ეს იქნება თამაში „ონლაინ კაზინო“-ში თუ სხვა. რაც შემაფერხებელი იქნება არასრულწლოვნის რესოციალიზაციისთვის. კანონთან კონფლიქტში მყოფი მოზარდის ჭეშმარიტი ინტერესებისთვის კი, თუ არასრულწლოვანს მისი ქონებრივი და ფინანსური მდგომარეობის გამო აღარ ძალუძს ჯარიმის მთლიანი თანხის გადახდა (ვითარების შეცვლის გამო, დაკარგა სამსახური და ა.შ.), კანონმდებლობით შესაძლებელი უნდა იყოს ჯარიმის განაწილება გარკვეული გრაფიკით, რაც წარმოადგენს ჯარიმის გადახდის ე.წ. „პრევენტულ წესს“,[59] რასაც ითვალისწინებს მრავალი ქვეყნის კანონმდებლობა.

არასრულწლოვანი მსჯავრდებულისთვის ჯარიმის შეფარდება, როცა არსებობს ამის საფუძველი, სხვა სასჯელებთან შედარებით ეფექტურია და ხელს უწყობს არასრულწლოვანი მსჯავრდებულის რესოციალიზაციას, ვინაიდან ჯარიმის უპირატესობა ისიცაა, რომ არ იწვევს სოციალურ იზოლაციას, არ არის ოჯახისგან,

---

[57] შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, მეორე გამოცემა, თბილისი, ფრაიბურგი, სტრასბურგი, 2016, გვ. 133.

[58] Cunneen C., White R., Juvenile Justice, Oxford University press, 1995, P. 116.

[59] პრადელი ჟ., შედარებითი სისხლის სამართალი, თბ., 1999, გვ. 478.

საზოგადოებისგან მოწყვეტილი, ამავე დროს მსჯავრდებულის შენახვისთვის საჭირო ხარჯებიც იზოგება სახელმწიფო ბიუჯეტისგან,[60] რაც სასჯელის ეკონომიურობის თვალსაზრისითაც მნიშვნელოვანია.

3. საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის როლი რესოციალიზაციის პროცესში

საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით განსაზღვრულ ალტერნატიული სასჯელებიდან ჯარიმის შემდეგ საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა ყველაზე მნიშვნელოვან სასჯელის სახეს წარმოადგენს. თუ ჯარიმის შეფარდება შეუძლებელია არასრულწლოვნის ეკონომიკური მდგომარეობის გამო, მაშინ მას სასურველია საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა შეეფარდოს. მსჯავრდებულის რესოციალიზაცია დამოკიდებულია სასჯელის სახეზე, მის ხანგრძლივობაზე, მოხდის ადგილისა და პირობების სწორად შერჩევაზე, ამ მხრივ, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა ეფექტური სასჯელია.[61] რაც გულისხმობს ანაზღაურების გარეშე, ბიუჯეტისა და საზოგადოების სასარგებლოდ სხვადასხვა სამუშაოების შესრულებას. საინტერესოა, რამდენად უწყობს ხელს დასახელებული სასჯელი არასრულწლოვნის რესოციალიზაციასა და რეაბილიტაციას.

საერთაშორისო სტანდარტები და რეკომენდაციები მიუთითებენ სახელმწიფოებს, რომ არასრულწლოვანთა დანაშაულზე რეაგირება მოხდეს უპირატესად სოციალური პროგრამების მეშვეობით, არასაპატიმრო და გამოსასწორებელი სადამსჯელო რეჟიმებით და, შესაბამისად, რეაბილიტაციისა და სოციალური ინტეგრაციის აქცენტირებით.[62] საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა გვევლინება, როგორც რეციდივის საწინააღმდეგო და რესოციალიზაციის ხელშემწყობი არასაპატიმრო სასჯელი.

გამოჩენილი მეცნიერის ჟ. პრადელის აზრით: „საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა ყველაზე ნოვატორული სასჯელია, რომელიც შექმნა კანონმდებელმა XX საუკუნის ბოლო ათწლეულში, პრინციპი შემდეგია: მსჯავრდებული ვალდებულია გარკვეული საათების განმავლობაში უსასყიდლოდ იმუშაოს, ამ სასჯელს ზუსტად განსაზღვრული მნიშვნელობა აქვს: დამნაშავის ამგვარი საქმიანობა საზოგადოებას აუნაზღაურებს მიყენებულ ზიანს, იმავდროულად უზრუნველყოფს დამნაშავის რეინტეგრაციას საზოგადოებაში“.[63]

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 71-ე მუხლით განსაზღვრულია საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის გამოყენება, რომლის მესამე ნაწილის შესაბამისად არასრულწლოვანს სასჯელი ისე უნდა დაენიშნოს, რომ მისმა აღსრულებამ ხელი არ შეუშალოს ანაზღაურებადი სამუშაოს შესრულებას ან

---

[60] დვალიძე ი., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., 2013, გვ. 42-43.

[61] იგივე, გვ. 48.

[62] ხერხეულიძე ი., საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა - არასაპატიმრო სახის სასჯელთა შორის არასრულწლოვან დამნაშავეთა რესოციალიზაციის ერთ-ერთი საუკეთესო აგენტი, მართლმსაჯულება და კანონი, N2(29), 2011, გვ. 126.

[63] პრადელი ჟ., შედარებითი სისხლის სამართალი, 1999, გვ. 436.

სწავლის პროცესს. აღსანიშნავია, რომ ამით კანონმდებელმა წინა პლანზე წამოსწია არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობა, კერძოდ, მისი პიროვნული განვითარება და განათლების მიღების უფლება. რაც მიუთითებს ქართული კანონმდებლობის პროგრესსა და ჰუმანურობაზე. თუმცა, აღნიშნული სასჯელი უფრო ეფექტური იქნებოდა მისი რესოციალიზაცია-სოციალიზაციის კუთხით, მსჯავრდებულის „უსასყიდლო“ შრომას რომ არ გულისხმობდეს, დაკისრებული შრომა სათანადოდ უნდა იყოს აღიარებული, „აღიარება არ უნდა გამოიხატებოდეს მხოლოდ ფინანსურ მხარეში“, რაც გულისხმობს, რომ გადამწყვეტი არ არის ანაზღაურების ოდენობა, ის ვერ იქნება გათანაბრებული არამსჯავრდებულთა შრომის ანაზღაურებასთან, მთავარია რომ მსჯავრდებულის ანაზღაურება იყოს სიმბოლური და იგი არ ატარებდეს უსასყიდლო, მონური შრომის სახეს.[64] კარგი იქნებოდა, თუ არასრულწლოვანი მსჯავრდებული საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით შეძლებდა გარკვეული თანხის გამომუშავებას, რომელიც, თუნდაც საქველმოქმედო მიზნებისთვის ან დანაშაულის მსხვერპლთა დახმარებისთვის იქნებოდა გამოყენებული, ამით, არასრულწლოვანი მჯსავრდებული დაინახავს და გაიაზრებს, გაითავისებს საკუთარ სარგებლიანობას და მის ფუნქციას საზოგადოების სხვა წევრებთან მიმართებით, რაც ხელს შეუწყობს მის რესოციალიზაცია-სოციალიზაციასა და რეაბილიტაციას, იმის გათვალისწინებით, რომ დასახელებული სასჯელის აღსრულება საზოგადოებისგან განცალკევების გარეშე მიმდინარეობს.[65] არასრულწლოვანმა სასჯელის (მათ შორის, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის) აღსრულების პროცესში მაქსიმალურად უნდა გააცნობიეროს მისი დანაშაულებრივი ქმედების სოციალური არსი. მესამე მუხლით დარეგულირებულია, რომ შრომის აღსრულება უნდა ხდებოდეს სწავლისა და მუშაობისგან თავისუფალ დროს, რათა არასრულწლოვანს ხელი არ შეეშალოს მისი მომავლისათვის უფრო პრიორიტეტული საკითხების დაგეგმვასა და შესრულებაში.[66]

საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის აღსრულების ხელშემშლელ პირობად მიჩნეულია შრომისადმი მსჯავრდებულის დამოკიდებულება, პროფესიული უნარ-ჩვევების ნაკლებობა და კრიმინალური მენტალობა.

საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის აღსრულების ერთ-ერთ პრობლემად მიიჩნევა, შესასრულებელი სამუშაოს ხასიათი, ვინაიდან მჯავრდებული არასრულწლოვანია. ამიტომ, სასურველია, არასრულწლოვანი მსჯავრდებული ისეთ ადგილზე გამწესდეს სადაც იგი საზოგადოების წევრად ჩამოყალიბებისათვის საჭირო გამოცდილებასა და უნარებს შეიძენს. გამოდის, რომ კანონმდებელი ამ ფაქტორებს სასურველად მიიჩნევს და არა სავალდებულოდ, ეს კი პირდაპირ ეწინააღმდეგება სასჯელის უმთავრეს მიზანს, როდესაც არასრულწლოვნები ასრულებენ დასახელებულ სასჯელს, უნდა იყოს გათვალისწინებული

[64] ცქიტიშვილი თ., ალტერნატიული სასჯელები, სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, თბ., 2016, გვ. 548.

[65] შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, მეორე გამოცემა, თბილისი-ფრაიბურგი-სტრასბურგი, 2016, გვ. 145-146.

[66] იქვე, გვერდი 147.

კონსტრუქციული და საინტერესო საქმიანობა, როგორიცაა ისეთი უნარების დაუფლება, რომლებიც აგრძნობინებს, რომ ამის გაკეთებით მას სარგებლობა მოაქვს საზოგადოებისათვის, უფრო შედეგიანი იქნება სასჯელის აღსრულება თუ სწავლების ელემენტებიც იქნება ჩართული.[67]

გაეროს მინიმალური სტანდარტული წესების თანახმად, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის დანიშვნისას მიზანშეწონილია საზოგადოების წევრების ჩართვა, რათა დამნაშავის მხრიდან უზრუნველყოფილი იყოს სამუშაოს შესრულების შესაძლებლობები. საზოგადოების მართლმსაჯულების განხორციელებაში ჩაბმით, შეიძლება განისაზღვროს არასრულწლოვნის მომავალი, კერძოდ, სასჯელის მოხდისას მას შეიძლება გამოეკვეთოს ინტერესი შეისწავლოს ის საქმე, რომელიც სასჯელის აღსრულებითაა გათვალისწინებული და მომავალში გააგრძელოს კიდევაც საქმიანობა იმ ადგილას, რაც არასრულწლოვნის მშრომელ პიროვნებად და საზოგადოების ღირსეულ წევრად ჩამოყალიბებისთვის წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება.[68]

საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის მთლიანი არსი იმაში მდგომარეობს, რომ დადგენილმა შრომამ არასრულწლოვანზე ნეგატიური გავლენის მაგივრად აღმზრდელობითი ხასიათი უნდა მიიღოს და მას დამაცირებელი, მასტიგმატიზებელი ეფექტი დაუკარგოს, ამის მისაღწევად კი აუცილებელია მსჯავრდებულის სურვილის გათვალისწინება, დაუშვებელია ისეთი სამუშაოს დაკისრება, რაც არასრულწლოვანს არ სურს. გარკვეული კატეგორიის არასრულწლოვნებისთვის მენტალობიდან გამომდინარე რთულია ამ სასჯელის მოხდა, რადგან მათ ეთაკილებათ ზოგადად მუშაობა ან ისეთ ადგილას მუშაობა, რაც მათი „შესაფერისი არ არის, ამან კი შეიძლება არასრულწლოვანს ფსიქოლოგიური სტრესი, სირცხვილის შეგრძნება მოუტანოს, გაუჩინოს აგრესია, პროტესტისა და უსამართლობის გრძნობა, ეს სასჯელი მათთვის შეიძლება იქცეს ე.წ. „შემარცხვენელ სასჯელად“, განსაკუთრებით ეს იმოქმედებს იმ არასრულწლოვნებზე, რომელთაც მჭიდრო კავშირი აქვთ საზოგადოებასთან და ზრუნავენ საკუთარ სოციალურ სტატუსზე“,[69] ამგვარი შრომა მათ რესოციალიზაციას ხელს ვერ შეუწყობს და დესოციალიზებულმა მოზარდმა კი საბოლოოდ შეიძლება ჩაიდინოს ახალი დანაშაული.

საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა გამოირჩევა მაღალი მარეაბილიტირებელი ეფექტითაც, მსჯავრდებული რჩება საზოგადოებაში და ეძლევა შანსი საკუთარი შრომით გამოისყიდოს მის მიერ დანაშაულებრივი ქმედებით მიყენებული ზიანი, ამასთანავე სახელმწიფოსთვის ეს სასჯელი არის ხარჯთეფექტურიც და ამავე დროს ეხმარება მსჯავრდებულს შეიძინოს და გამოიმუშაოს დამატებითი უნარები, მიიღოს კვალიფიკაცია[70], რაც მას სასჯელის მოხდის შემდეგ თავისუფალ დროს გამოადგება, რათა მოიწყოს ცხოვრება

[67] მახარობლიძე თ., არასრულწლოვანთა კანონმდებლობის ანალიზი და სასამართლო პრაქტიკა, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ. 2017, გვ. 62.
[68] იქვე, გვერდი 63.
[69] იქვე, გვერდი 65.
[70] არსოშვილი გ., დამნაშავის რესოციალიზაცია, თბ., 2009, გვ. 4.

კეთილსინდისიერი საქმიანობით. აღნიშნული კი იქნება საუკეთესო მაგალითი სასჯელის მიზნის, რესოციალიზაციის წარმატებით განხორციელების თვალსაზრისით.

საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული სასჯელი გავლენას იქონიებს არასრუ-ლწლოვანზე, როგორც ფსიქოლოგიურად ასევე მის სოციალურ მდგომარეობაზეც, რადგან არასრულწლოვანი ეჩვევა შრომას, რაც ეხმარება სამუშაოს ადვილად მოძიებაში, რითაც ახერხებს საკუთარი თავის რეაბილიტაციას. შესაბამისად, არასრულწლოვანი მსჯავრდებულისთვის შეფარდებული სასჯელის ეს სახე უფრო მეტად მიმართულია არა წარსულისკენ, არამედ მომავლისკენ.

4. შინაპატიმრობა და არასრულწლოვნის რესოციალიზაცია

საქართველოში 2016 წლიდან დაინერგა ალტერნატიული სანქციის ახალი ფორმა „შინაპატიმრობა“ არასრულწლოვან დამნაშავეთათვის, რომელიც შემდგომში გავრცელდა მსჯავრდებულთა სხვა ჯგუფებზეც. შინაპატიმრობა, როგორც არასრულწლოვნის სასჯელის ერთ-ერთი სახე ნოვაციაა ქართულ კანონმდებლობაში, რაც საუკეთესო ალტერნატივაა თვისუფლების აღკვეთისა. ისევე, როგორც საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის დანიშვნისას, შინაპატიმრობის გამოყენებისას, არასრულწლოვანი არ იმყოფება ციხეში და აქვს ურთიერთობა ოჯახის წევრებთან, საზოგადოებასთან, თუმცა რაღაც კუთხით შინაპატიმრობა თვისუფლების აღკვეთის ელემენტებს შეიცავს, რადგან მსჯავრდებულს სახლში დღის განსაზღვრულ მონაკვეთში უწევს ერთ ადგილზე ყოფნის ვალდებულება. ესეიგი, მართლმსაჯულება ამ სასჯელის შეფარდებით კი არ გამოკეტავს პენიტენციურ დაწესებულებაში არასრულწლოვანს, არამედ ენდობა ისე, რომ მისი თავისუფლების აღკვეთა სახლის პირობებში განხორციელდეს.[71] თუმცა საინტერესოა რამდენად მიზანშეწონილია შინაპატიმრობის დანიშვნა არასრულწლო-ვნისთვის. თუ რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის განხორციელება ვერ ხერხდება ამ სასჯელით, მაშინ მხოლოდ იმის თქმა, რომ ის უფრო ჰუმანურია ვიდრე თავისუფლების აღკვეთა და სახელმწიფოს ის უფრო იაფი უჯდება, საკმაოდ სუსტი არგუმენტია.

მართალია, შინაპატიმრობის დროს ოჯახს მსჯავრდებულის რესოციალიზაციისთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება, მაგრამ მოსამართლემ ყველა შემთხვევაში მაინც უნდა გაანალიზოს თუ რამდენად მიზანშეწონილია არასრულწლოვნის ოჯახში გაჩერება, რადგან იმ შემთხვევაში თუ მოზარდზე ოჯახი უარყოფით ზეგავლენას ახდენს, ხშირია დანაშაულის გამო მასზე ძალადობა მშობლების მიერ, არ იჩენენ მის მიმართ მზრუნველობას, ასეთ დროს ამ სახის სასჯელის დანიშვნა მიზანშეწონილი არ არის, რადგან ოჯახში არსებულ ატმოსფეროს დიდი გავლენა აქვს ახალგაზრდის ცხოვრებაზე, მის გამოსწორებაზე. სახელმწიფო ამ სასჯელით ოჯახთან ერთად იღებს პასუხისმგებლობას ბავშვის

[71] მახარობლიძე თ., არასრულწლოვანთა კანონმდებლობის ანალიზი და სასამართლო პრაქტიკა, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ. 2017, გვ. 54.

აღზრდაზე, რაც საწინდარი უნდა იყოს არასრულწლოვნის გამოსწორებისა და საზოგადოების სრულფასოვან წევრად დაბრუნებისა.[72]

შინაპატიმრობაში არ უნდა ვიგულისხმოთ ის, რომ სასჯელდადებული პირი 24 საათის განმავლობაში სახლის პირობებში იყოს, უნდა გამოირიცხოს ის ფრომა, რომელიც გულისხმობს დამნაშავის მუდმივად ყოფნას მის საცხოვრებელ ადგილას, მისი დატოვების უფლების გარეშე, რათა მარტო ცხოვრების შემთხვევაში თავიდან იქნას აცილებული იზოლაციის ნეგატიური ეფექტი და ამვდროულად, დაცული იყოს მესამე პირთა უფლებები, ვისთან ერთადაც მსჯავრდებული ცხოვრობს.[73] აბსოლუტური შინაპატიმრობის გამოყენება არასრულწლოვნების მიმართ სასჯელის მიზნებიდან გამომდინარე აკრძალულია. ამიტომ, მოსამართლემ გამომდინარე არასრულწლოვნის ყოველდღიური ცხოვრებიდან, სასჯელის შეფარდებისას უნდა განუსაზღვროს ის საათები, რომლის განმავლობაშიც უნდა იყოს მსჯავრდებული სახლში, ხოლო დანარჩენ დროს კი არასრულწლოვანს უნდა ჰქონდეს იმის თავისუფლება, რომ იაროს სპორტზე, სკოლაში, ჰქონდეს ურთიერთობა სოციუმთან და მაქსიმალურად შეეწყოს ხელი, რომ არ გაიმეოროს ის შეცდომა, რამაც მისი მსჯავრდება გამოიწვია.

იმისათვის, რომ შინაპატიმრობის შედეგად მიღწეულ იქნას პირის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის მიზანი, საჭიროა ელექტრონული „ბორკილების“ მატარებელთა სხვადასხვა სოციალურ ღონისძიებაში ჩართვა, დასაქმება, სოციალური ტრენინგის კურსები და სხვ. ასევე აუცილებელია ამ დროს ფსიქოლოგის ჩართვაც.[74] ამიტომ, სასამართლომ არასრულწლოვანს მისი გამოსწორებისთვის ამკ-ს 75-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად და არასრულწლოვნის საუკეთსო ინტერესების გათვალისწინებით შეიძლება დაავალოს გარკვეული მოვალეობები, კერძოდ, არ შეიცვალოს საცხოვრებელი ადგილი, არ მივიდეს კრიმინალურად დატვირთულ ადგილებზე, არ დაამყაროს ურთიერთობა იმასთან, ვინც შეიძლება ჩააბას ანტისაზოგადოებრივ საქმიანობაში და სხვ.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით დასახელებული სასჯელის შეფარდება შეიძლება ექვსი თვიდან ერთ წლამდე ვადით, რაც ვფიქრობ გადასახედია ელექტრონული მონიტორინგით აღსრულებისას, რადგან ხანგრძლივი გამოყენება როგორც სრულწლოვანში, ისე არასრულწლოვანში ფსიქოლოგიური გადახრის ან სხვა მძიმე შედეგის გამომწვევია. ფსიქოლოგებმა დაადგინეს, რომ ელექტრონული ბორკილის მატარებელ სრულწლოვან, ფსიქიკურად მდგრად დამნაშავესაც კი ექვსი თვის შემდეგ ფსიქიკური გადახრები აღენიშნება, ამის გამო, ელექტრონული მონიტორინგის გამოყენებისას მნიშვნელოვანია, რომ სასჯელი

---

[72] ბეგიაშვილი მ., შინაპატიმრობა და მისი აღსრულება, „თსუ“-ს 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი სისხლის სამართლის ჟურნალი №1, თბ., 2018, გვ. 54.

[73] ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია No. R (2014), 4 წევრი სახელმწიფოს მიმართ ელექტრონული მონიტორინგის შესახებ, პუნქტი 21.

[74] მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ., საპატიმრო სასჯელების ალტერნატივა საზღვარგარეთის ქვეყნებში, სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, თბ., 2016, გვ. 711.

მოკლე ვადით განისაზღვროს.[75] სასჯელის მიზანი არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია უნდა იყოს და არა მისი ფსიქიკური ჯანმრთელობის გაუარესება.

იურიდიულ ლიტერატურიაში შინაპატიმრობის მოწინააღმდეგეთა აზრით, ელექტრონული „ბორკილით“ სასჯელის აღსრულებისას ინფორმაცია იმის შესახებ, რომ პირი ნასამართლევია ადვილად ხილვადია, რითაც არასრულწლოვნის მგრძნობიარე პერსონალური ინფორმაცია გარშემომყოფთათვის ნათელი ხდება, „ამან კი შეიძლება გამოიწვიოს სოციუმიდან, კლასელებისგან, თანატოლებისგან მისი გარიყვა და დაჩაგვრა, ის ამის გამო შეიძლება მოერიდოს სოციალურ კონტაქტებს, ჩაიკეტოს საკუთარ თავში, მოერიდოს სკოლაში სიარულს, როგორც უკვე აღინიშნა, ხდება ამ პირის სტიგმატიზაცია, მარგინალიზაცია, საზოგადოება მას არქმევს „სამართალდამრღვევს, მან შეიძლება ამ სახელის მოშორება მთელი ცხოვრების მანზილზეც ვერ მოახერხოს და იცხოვროს ამ სტიგმით, ეს კი უარყოფით გავლენას იქონიებს არასრულწლოვნის პიროვნების ჩამოყალიბებაზე“.[76] ამ საფრთხის ქვეშ კი განსაკუთრებით ზაფხულის პერიოდში დგას, როდესაც არასრულწლოვანი ურთიერთობს თანატოლებთან, თამაშობს ფეხბურთს ან დადის საცურაოდ აუზზე.

შინაპატიმრობის დადებით მხარედ მიიჩნევა ის, რომ სასჯელის ამ სახის აღსრულებისას არასრულწლოვანი სწავლას ან მუშაობას აგრძელებს და მატერიალურ სიკეთესა და თავისი მომავალი ნაყოფიერი ცხოვრებისათვის ცოდნის ბაზისს ქმნის, რითაც თავიდან იქნება აცილებული „კრიმინალური დასნებოვნება.[77]

საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 69-ე მუხლის მეოთხე ნაწილის მიხედვით არასრულწლოვანს სასჯელი ისე უნდა დაენიშნოს, რომ მისმა აღსრულებამ ხელი არ შეუშალოს ანაზღაურებადი სამუშაოს შესრულებას. საკითხავია ეს ყოველივე რამდენად მიიღწევა შინაპატიმრობის ელექტრონული ზედამხედველობით აღსრულებისას, ელექტრონული სამაჯური, რომელიც შინაპატიმრობის აღსრულების საშუალებაა არის ხილვადი და მისი მოხსნა სასჯელის აღსრულებისგან თავისუფალ დროსაც კი არ შეიძლება, რის გამოც საკამაოდ მაღალია იმის ალბათობა, რომ არასრულწლოვანი გახდება დისკრიმინაციის მსხვერპლი შრომით ურთიერთობებშიც და დამსაქმებელი მოერიდება მსჯავრდებულის დასაქმებას. მაგალითად, აშშ-ში შინაპატიმრობის შეფარდებამდე დასაქმებულ არასრულწლოვნებსაც კი ათავისუფლებენ სამსახურიდან, სწორედ იმიტომ, რომ ელექტრონული ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებიან და ბუნებრივია სამსახურის დაწყება ამ პერიოდში საკმაოდ რთული, ფაქტობრივად შეუძლებელია, საქართველოს პირობებში კი მსჯავრდებული არასრულწლოვანი დასაქმებას ვერ შეძლებს, რადგან ქვეყანა წლებია უმუშევრობას ებრძვის, ამ დროს კი საჭიროა მთავრობამ შექმნას ისეთი პროგრამები, რომლებიც

[75] მახარობლიძე თ., არასრულწლოვანთა კანონმდებლობის ანალიზი და სასამართლო პრაქტიკა, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ. 2017, გვ. 56.

[76] ხუროშვილი მ., შინაპატიმრობა, როგორც არასრულწლოვნის სასჯელის ერთ-ერთი სახე, „თსუ“-ს 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი სისხლის სამართლის ჟურნალი, N1, თბ., 2018, გვ. 158.

[77] მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ., სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები N1, ჟ. №1, თბ. 2017, გვ. 62.

შინაპატიმრობა მისჯილ არასრულწლოვანს მისცემს საშუალებას იმუშაოს, წინააღმდეგ შემთხვევაში კანონის ეს დათქმა ფაქტობრივად მკვდარია.[78] დიდი საფრთხეა ამ დროს არასრულწლოვანმა საზოგადოების მხრიდან გარიყულად იგრძნოს თავი, მოხდეს მისი სტიგმატიზაცია, რა დროსაც ირღვევა კონსტიტუციის მე-12 მუხლით გარანტირებული განვითარების უფლებაც, ასევე შიძლება შეილახოს მისი ღირსება, გამოიწვიოს მასში ფრუსტრაცია და მიიყვანოს ახალი დანაშაულის ჩადენამდე, ეს ყოველივე კი ვერ უზრუნველყოფს სასჯელის მიზნების რეალიზაციას.

გერმანულ ლიტერატურაში, სპეციალისტთა აზრით, ადამიანის უფლებები ელექტრონული სამაჯურის გამოყენებით „ფეხქვეშ ითელება“, ამით მას ეპყრობიან, როგორც „ძაღლს, რომელსაც ჯოხს უღერებენ“.[79] ვფიქრობ, ელექტრონული მონიტორინგის გამოყენებით შინაპატიმრობის აღსრულება მეტად მკაცრია არასრულწლოვნის შემთხვევაში, თან იმ ფონზე , როდესაც კანონმდებლობით მხოლოდ ნაკლებად მძიმე დანაშაულისთვის შეფარდებაა გათვალისწინებული, მნიშვნელოვანია ამ სასჯელის წარმატებულად განხორციელებისათვის მიზნობრივი ჯგუფის განსაზღვრა, ელსამაჯურის გამოყენების ყველაზე დიდი საფრთხე მისი არსწორი ადრესატის მიმართ და ხანგრძლივი ვადით გამოყენებაა, იურიდიულ ლიტერატურაში სწორად მიუთითებენ, რომ შინაპატიმრობის ელექტრონული ზედამხედველობით აღსრულება Ultima Ratio, უკანასკნელი საშუალება უნდა იყოს და მხოლოდ მაშინ უნდა გამოიყენებოდეს, როდესაც თავისუფლების აღკვეთის სხვა ალტერნატიული სასჯელებით ან პირობითი მსჯავრით შეცვლა შეუძლებელია, წინააღმდეგ შემთხვევაში ადგილი ექნება სახელმწიფო კონტროლის დაუსაბუთებელ გაფართოებას (Net Widening).[80] ამარიგად, მიზანშეწონილი იქნებოდა თუ კანონმდებელი მძიმე კატეგორიის დანაშაულისთვისაც გაითვალისწინებდა არასრულწლოვნისთვის სასჯელის ამ სახის დანიშვნას, ხოლო ნაკლებად მძიმე დანაშაულისთვის კი მოსამართლემ უმჯობესია რაც შეიძლება მოკლე ვადით განუსაზღვროს ელექტრონული „ბორკილების“ ტარება ან გამოიყენოს მეორე ფორმა - კერძოდ, კანონმდებლობით განსაზღვრულია, რომ იმ შემთხვევაში თუ ფიზიკურად არ არის ტექნოლოგიის გამოყენების საშუალება, პრობაციის სამსახური ვალდებულია არასრულწლოვნის საცხოვრებელ ადგილზე გაუფრთხილებელი ვიზიტით, გარკვეული პერიოდულობით, თვეში ექვსჯერ მაინც, გადაამოწმოს მსჯავრდებულის სახლში ყოფნა. არასრულწლოვნის მიმართ ასეთი ფორმით აღსრულება არ უნდა იყოს შეზღუდული „პირობების“ არ ქონის გამო. ამ დროს როგორც ირკვევა მსჯავრდებულს არ აქვს დამაგრებული „ელბორკილი“ და ზემოთ ჩამოთვლილი ელსამაჯურების უარყოფითი ზეგავლენის შესამცირებლად კარგი იქნებოდა თუ ზოგიერთ შემთხვევაში არასრულწლოვანზე ზედამხედველობას პრობაციის სამსახური, პრობაციის ოფიცერი აიღებდა საკუთარ თავზე.

---

[78] მახარობლიძე თ., შინაპატიმრობა, როგორც საპატიმრო სასჯელის ახალი ალტერნატივა იუვენალურ იუსტიციაში, გურამ ნაჭყებია - 75 საიუბილეო კრებული, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2016, გვ. 284.

[79] ვარძელაშვილი ი., არასრულწლოვანთა კანონმდებლობის ანალიზი და სასამართლო პრაქტიკა, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ. 2017, გვ გვ. 146.

[80] მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ.. სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები, ჟ. №1, თბ. 2017,გვ. 66.

საგულისხმოა, მეცნიერთა მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ქართველი ერის სამართლის წარმატება, მეტადრე სისხლის სამართლის წარმოებას, ისევე როგორც სასჯელთა სისტემასა და სიმკაცრეს დაეტყობა ხოლმე, რაც უფრო კულტურული და ცივილიზებულია ესა თუ ის ხალხი, მით უფრო განვითარებულია მისი სამართლებრივი ინსტიტუტები, მით უფრო ჰუმანური და ლმობიერია სასჯელი.[81]

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ შინაპატიმრობა სამართლებრივ სივრცეში ხშირი კრიტიკის ობიექტი გამხდარა, ერთმნიშვნელოვნად შეიძლება იმის თქმა, რომ თავისუფლების აღკვეთასთან შედარებით შინაპატიმრობა მეტად ლიბერალურია, თუმცა, მისმა არასწორმა გამოყენებამ შეიძლება ვერ უზრუნველყოს სასჯელის მიზნების განხორციელება. ნაშრომიდანაც იკვეთება, რომ ხშირად ვერ ხერხდება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესთა დაცვა, ამიტომ მოსამართლეს აკისრია ვალდებულება ყოველი არასრულწლოვნის მიმართ გაითვალისწინოს გარკვეული გარემოებები, შეაფასოს რამდენად მიზანშეწონილი და ეფექტური იქნება შინაპატიმრობის დანიშვნა არასრულწლოვნის სასჯელის მიზნების განხორციელებისთვის და სწორად განუსაზღვროს საათები.

5. გამოყენებულ სასჯელთა სტატისტიკა.82

წინამდებარე ნაშრომით ვადგენთ, რომ არასრულწლოვანთა სამართლებრივი პასუხისგება მტკივნეული და საფრთხილო საქმეა. ნებისმიერი სახელმწიფოს ინტერესს უნდა წარმოადგენდეს ქვეყანაში არასრულწლოვან პატიმართა რიცხვის შემცირება. როგორც აღვნიშნეთ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების შემოღებით, სახელმწიფომ ლიბერალური კურსი აირჩია, საინტერესოა ამ მხრივ სასამართლოს გადაწყვეტილებათა სტატისტიკა. არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულის ქვეშ იგულისხმება 14-დან 17 წლამდე მოზარდების მიერ დანაშაულის ჩადენა.

სასჯელის ღონისძიებანი:	2015 წელი	2016 წელი	2017 წელი	2018 წელი	2019 წელი (**იანვ.-აპრ.**)
მთელი ქვეყნის მასშტაბით სულ მსჯავრდებული პირი	15 047	15 622	14 282	15 785	4819

[81] ივანე ჯავახიშვილი, ტომი VII, რედაქტორი დოლიძე ი., თბ., 1984, გვ. 7.

[82] წყარო: მონაცემები დამუშავებულია - www.geostat.ge/ka/modules/categories/132/siskhlis-samartlis-statistika

არასრულწლოვან მსჯავრდებულთა სრული რაოდენობა (პროცენტული მაჩვენებელი საერთო რაოდენობასთან შედარებით)	287 (1,9%)	149 (0,9%)	199 (1,4%)	208 (1,3%)	81 (1,7%)
თავისუფლების აღკვეთა	86 (30%)	47 (31,5%)	45 (22,6%)	48 (23,1%)	14 (17,2%)
პირობითი მსჯავრი	169 (58,9%)	82 (55%)	99 (49,7%)	122 (58,6%)	46 (56,7%)
საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა	2 (0,7%)	7 (4,7%)	12 (6%)	17 (8,2%)	4 (4,9%)
ჯარიმა	30 (10,4%)	8 (5,4%)	7 (3,5%)	5 (2,4%)	1 (1,2%)
შინაპატიმრობა	----------	7 (4,7%)	36 (18,2%)	17 (8,2%)	16 (19,7%)

როგორც სტატისტიკური მონაცემებით ვარკვევთ არასრულწლოვნების მიმართ გამოყენებულ სასჯელთა შორის პროცენტულად სჭარბობს თავისუფლების აღკვეთა. სტატისტიკის მიხედვით საქართველოში 2015-2016 წლებში ყოველ მესამეს სასჯელის სახით შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა, ხოლო მომდევნო წლებში კი დაახლოებით ყოველი მეხუთეს მიმართ გამოიყენებოდა აღნიშნული სასჯელი, რაც მისასალმებელია, თუმცა არასაკმარისი, რადგან ევროპის განვითარებულ ქვეყნებში თავისუფლების აღკვეთა დაახლოებით, ყოველი მეათე არასრულწლოვნის მიმართ გამოიყენება, მოზარდების მიმართ თვისუფლების აღკვეთა უნდა გამოიყენებოდეს როგორც უკიდურესი ზომა და არა ისე, როგორც სამწუხაროდ დღეს პრაქტიკაშია დამკვიდრებული.

სტატისტიკიდან გამომდინარე ვარკვევთ, რომ ბოლო წლებში ალტერნატიულ სასჯელთა გამოყენებას პრაქტიკაში დიდი ყურადღება ეთმობა, ტენდენცია არასაპატიმრო სასჯელების გამოყენების მართლაც მატებისკენაა მიმართული საქართველოში. ძირითადად ალტერნატიული სასჯელების გამოყენება დამოკიდებულია აღსრულების შესაძლებლობზე, როგორც სჩანს სახელმწიფომ ამ კუთხით მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია.

თავი მესამე

თავისუფლება აღკვეთილ არასრულწლოვანთა რესოციალიზაცია და რეაბილიტაცია პენიტენციურ სისტემაში

1. რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის პროცესი სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში და ხელშემწყობი ფაქტორები

თავისუფლების აღკვეთის შემთხვევაში რესოციალიზაციის პროცესს ახასიათებს გარკვეული თავისებურებანი. სასჯელაღსრულების დაწესებულებაში არსებული პირობები ძლიერ ზემოქმედებას ახდენს არასრულწლოვან მსჯავრდებულზე, გამომდინარე იქიდან, რომ ისინი რადიკალურად განსხვავდებიან რიგითი მოქალაქის ცხოვრების პირობებისგან.[83]

თავისუფლების აღკვეთა, პიროვნული სივრცის შეზღუდვასთან, ადამიანის სოციალური როლის, მისი ფსიქოლოგიური და ემოციური ფონის მნიშვნელოვან ცვლილებებთანაა დაკავშირებული. ციხის გარემო პატიმრისათვის თავისუფალი არჩევანის დაკარგვაა, ყოველდღიური სტიგმა, მუდმივი ნიღაბი იმის შიშით, რომ არ დაიჩაგროს. მან უნდა დაიცვას თავსმოხვეული მკაცრი წესები, გადარჩეს. ასეთ პირობებში შეინარჩუნო მომავლის შენების იმედი, გქონდეს ცხოვრების გაგრძელების მოტივაცია, უაღრესად რთულია და მოითხოვს დიდ ძალისხმევას, შინაგან საყრდენს, ოჯახის, საზოგადოებრივი გარემოს მხარდაჭერას, იმ ნაბიჯების განხორციელების შესაძლებლობას, რომლებიც პენიტენციური სტრესის პირობებშიც კი თავისუფლების შენებისკენ იქნება მიმართული. რა არის საჭირო პატიმრის რესოციალიზაციისა და საზოგადოებაში რეინტეგრაციისათვის? ამ ტერმინების შინაარსი, ზოგადად, ნათელია, თუმცა ხშირ შემთხვევაში, ჩვენს აღქმაშიც კი, მათი არსი ბუნდოვანია, რადგან ამ დეკლარირებული ქმედებების განხორციელება ჩვენს ქვეყანაში ფრაგმენტულია, უმეტეს შემთხვევაში, ფორმალური და არასისტემატური.[84]

საპატიმროში ადამიანებს მომავალზე ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ, რადგან უარყოფითად აღიქვამენ როგორც საკუთარ თავს, ისე სამყაროსაც. ამიტომაც ხშირად არ იციან, თუ რას გააკეთებენ სასჯელაღსრულების დაწესებულების დატოვების შემდეგ. რესოციალიზაცია უნდა დაიწყოს საპატიმროდანვე, სადაც მიუხედავად მათი სტატუსისა, თავი საზოგადოების სრულფასოვან წევრებად უნდა იგრძნონ. ამისათვის ისინი უნდა ჩაერთონ რაიმე აქტივობებში. სოციალური მუშაკები, ფსიქოლოგები, სამღვდელო პირები, სასჯელაღსრულების თანამშრომლები თუ საზოგადო მოღვაწეები მუდმივად უნდა ზრუნავდნენ პატიმრების ცნობიერების ამაღლებაზე. თუ პატიმრებს გააჩნიათ პროფესიული თუ რაიმე სხვა სახის

---

[83] ჭეიშვილი ნ., რესოციალიზაციის პოლიტიკა საქართველოში, სამოქ. ჩართულობის ცენტრი, 2014, გვ. 6.

[84] კანჯარაძე ა., ლორთქიფანიძე ნ., აბულაძე თ., სტატია „გზა საზოგადოებისაკენ - თავისუფლების შენება“. 2019. (სტატია იხილეთ - https://www.penalreform.org/blog/გზა-საზოგადოებისაკენ-თა/ - (21.05.2019)).

განათლების სურვილი, ამაში მათ ხელი უნდა ეწყობოდეთ. ამ შემთხვევაში ციხის შემდგომი რესოციალიზაცია და რეაბილიტაციაც გაცილებით გაიოლდება.[85]

პენიტენციური სისტემა თითოეულ არასრულწლოვან თავისუფლებააღკვეთილ პირზე სხვადასხვაგვარად მოქმედებს, რაც დამოკიდებულია მათ სულიერ ჯანმრთელობაზე, სირთულეების გამკლავების უნარსა და სხვა მნიშვნელოვან გარემოებებზე. არასრულწლოვანი მსჯავრდებულები, მათი ასაკიდან და სხვა ფაქტორებიდან გამომდინარე, განიცდიან დამოუკიდებლობისა და სოციალური მხარდაჭერის დეფიციტს, მიზანმიმართული საქმიანობის ნაკლებობა კი მათში დაღლილობის შეგრძნებას იწვევს, რისი შედეგიც შეიძლება იყოს დეგრადაციის, იზოლაციისა და უუფლებობის განცდა, რამაც საბოლოოდ შესაძლებელია გააუარესოს მისი ფსიქოლოგიური და ქცევითი პრობლემები და ხელი შეუწყოს ახალი სირთულეების პროვოცირებასა და წარმოქმნას, მაგალითად, როგორიცაა დეპრესია, საკუთარი თავის მიმართ პატივისცემის დაკარგვა. ხოლო აღნიშნული განცდების ქვეშ მყოფ არასრულწლოვნებს შესაძლოა განუვითარდეთ დამოუკიდებლობისა და კონტროლის უკმარისობა, რადგან როგორც კი გადააბიჯებენ პენიტენციური დაწესებულების ზღურბლს, ისინი ერთგვარად კარგავენ ინდივიდუალობას. არასრულწლოვან მსჯავრდებულებს უწევთ დაემორჩილონ ისეთ წესებს, რომლებიც ეხება მათი ცხოვრების ყველა ასპექტს, რა დროსაც ფაქტობრივად კარგავენ გადაწყვეტილების მიღების უფლებას, მაგალითად, მათ მიუთითებენ სად უნდა დაიძინონ, სად მიიღონ საკვები, როდის ივარჯიშონ და ა.შ. საბოლოოდ, ასეთი სახის უფლებებისა და ინდივიდუალობის „დაკარგვამ“ შესაძლოა მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონიოს არასრულწლოვნის ღირსებასა და სულიერ მდგომარეობაზე. სწორედ ამიტომ, ხშირია მათში დეპრესია და უიმედობის განცდა.[86] მნიშვნელოვანია პირადი ნივთების ქონის აუცილებლობა, რადგან პირადი ნივთები წარმოადგენს პირადი ცხოვრების უფლების ერთ-ერთ ძირითად ელემენტს და აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა მოზარდის კეთილდღეობისთვის.

მაგალითად, გერმანიის პენიტენციური სისტემა ეფუძნება რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის პრინციპებს. რეაბილიტაციის მნიშვნელობა კანონმდებლობით არის განსაზღვრული. გერმანიის 1977 წელს შექმნილი „ციხის კოდექსის“ თანახმად, თავისუფლების აღკვეთის ერთადერთი მიზანია, გათავისუფლების შემდეგ ყოფილმა პატიმარმა შეძლოს დანაშაულისგან თავისუფალი და სოციალური პასუხისმგებლობით სავსე ცხოვრებით ცხოვრება. ამისათვის კი საჭიროა, ცხოვრება ციხეში მაქსიმალურად გავდეს ცხოვრებას საზოგადოებაში (რასაც ზოგჯერ ნორმალიზაციის პრინციპს უწოდებენ) და ორგანიზებული იყოს იმგვარად, რომ ხელს უწყობდეს პატიმართა საზოგადოებაში ინტეგრაციას.[87] პენიტენციალურ სისტემაში მოხვედრილი პირის მიმართ დასჯა აღარ უნდა იყოს მიზანი, მთავარი მიზანი ამ პირის რეაბილიტაცია, რესოციალიზაცია და უკან საზოგადოებაში

[85] ფსიქოლოგ გიორგი დონაძის სტატია - http://www.ambioni.ge/patimrebis-resocializacia (24.05.2019)

[86] შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, მეორე გამოცემა, თბილისი-ფრაიბურგი-სტრასბურგი, 2016, გვ. 208-209.

[87] ღონღაძე ნ., არბაითერ-სამარიტერ-ბუნდის (ASB) კვლევა, ყოფილ პატიმართა და პრობაციონერთა რეაბილიტაცია: საერთაშორისო გამოცდილების შესწავლა, თბ., 2017, გვ. 11.

დაბრუნებაა. დასჯა მთავრდება იქ, სადაც საგამოძიებო ორგანოები, პროკურატურა და სასამართლო განაჩენს გამოიტანს.

თუმცა, რესოციალიზაციის პროცესი მეტად პრობლემურია არასრულწლოვნის მიერ სასჯელის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოხდისას. დიდი მნიშვნელობა ენიჭება სასჯელის მოხდის პროცესს არასრულწლოვანთა რესოციალიზაციისათვის, ამისთვის სასჯელაღსრულების დაწესებულებულებათა რეჟიმები ისე უნდა იყოს რეგლამენტირებული, რომ მათ სასჯელის მიზნის მიღწევა რეალურად უზრუნველყონ.[88] ყოველი სასჯელაღსრულების დაწესებულება, რომელშიც ბავშვები არიან მოთავსებულნი, უნდა მუშაობდეს ისეთი რეჟიმით, რომელიც ორიენტირებული იქნება საზოგადოებაში ბავშვის რეინტეგრაციაზე.

არასრულწლოვანი მსჯავრდებულის სასჯელის მოხდის ადგილას მოხვედრისას, მთავარი კითხვა არის ის, თუ რა მოხდება შემდგომ, როდესაც იგი სასჯელს მოიხდის. ახალგაზრდობაში ჩადენილი დანაშაული დაუჯდება იმის ფასად, რომ მთელი შემდგომი ცხოვრება ამ სტიგმით, ეტიკეტით იცხოვროს და ვეღარ დაუბრუნდეს ნორმალურ ცხოვრებას, თუ იმ პერიოდში, რომელსაც იგი გაატარებს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, შესაძლებელია დასრულდეს მისი, როგორც დამნაშავის ცხოვრება და ის დაბრუნდება საზოგადოებრივ ცხოვრებაში, როგორც სრულფასოვანი წევრი, აღნიშნულ კითხვებზე პასუხის გაცემა შეუძლიათ, ამა თუ იმ ქვეყანაში არსებულ სასჯელის აღსრულების ფორმებსა და მექანიზმებს. „როგორი განვითარებული და არასრულწლოვანთა საჭიროებებს მორგებულიც არ უნდა იყოს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის სხვა სფეროები, თუ სასჯელაღსრულების სისტემა ხასიათდება ხარვეზებით, პასუხი აღნიშნულ კითხვებზე, შესაბამისად ნეგატიური იქნება“.[89]

ამრიგად, სასჯელაღსრულების სისტემა მასში არსებული გარემო პირობებით არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია. დღეისათვის არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესის გათვალისწინება და ბავშვის ინტერესებსა და კეთილდღეობაზე მორგებული სისტემის შემქნა, რაშიც დიდი როლი უჭირავს ბავშვზე ორიენტირებულ გარემოს.[90] ბავშვზე ორიენტირებული გარემოს არსებობა მნიშვნელოვანია მთელი სისტემის მასშტაბით, მათ შორის დაკითხვის ოთახებსა და სასამართლო დარბაზებშიც. ამგვარი გარემოს შექმნა არ არის დაკავშირებულ დიდ რესურსთან და შესაძლებელია გადაწყდეს არსებული ინფრასტრუქტურის ადაპტირების გზით.

მოზარდზე ორიენტირებულ გარემოში ასევე იგულისხმება, რომ არასრულწლოვანი მსჯავრდებულები მოთავსდნენ სრულწლოვანისგან განცალკევებით, ამის მიზეზი კი გარკვევით არის განსაზღვრული ბავშვის უფლებათა კომიტეტის მიერ: „არსებობს უამრავი მტკიცებულება, რომ ბავშვების

---

[88] ვარძელაშვილი ი., სასჯელის მიზნები, სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 2016, გვ. 96.

[89] მაია (ზოია) ხასია, არასრულწლოვანთა სასჯელის მოხდის საერთაშორისო სტანდარტების ზოგადი მიმოხილვა, ჟ., სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები, N1, თბ., 2017, გვ. 129.

[90] ბავშვის უფლებების შესახებ კონვენცია (1990), მუხლი 39; თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ გაეროს წესები (1990), წესი 31-37.

მოთავსება სრულწლოვანთა საპატიმროებში ან ციხეებში წარმოადგენს ელემენტარული უსაფრთხოების, კეთილდღეობის და მომავალში დანაშაულის ჩადენისაგან თავის შეკავებისა და რეინტეგრაციის უნარის შელახვას".[91] ამ საკითხთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა დაადგინა ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში გუვეჩი თურქეთის წინააღმდეგ, დარღვევა დაკავშირებული იყო არასრულწლოვანი პირის სრულწლოვან პატიმრებთან ერთად განთავსებაში, რომლითაც ირღვეოდა თურქეთის კანონმდებლობაც და ის საერთაშორისო ხელშეკრულებებიც, რომელთა მონაწილეც თურქეთია, სასამართლომ აღნიშნა, რომ კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა გამოწვეული იყო იმით, რომ განმცხადებელს საპატიმროში ყოფნის პერიოდში განუვითარდა ფსიქიკური პროვლემები.[92] ასევე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე ნარტი თურქეთის წინააღმდეგ ეხება მოზარდების განცალკევებით მოთავსების მნიშვნელობას სრულწლოვნებისგან, სადაც მიუთითებს, რომ არასრულწლოვნები არ უნდა იყვნენ დაპატიმრებულნი სრულწლოვან პირებთან ერთად.[93]

სწორედ ამიტომ, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დაწესებულებებიდან ერთ-ერთი არასრულწლოვანთა N11 სარეაბილიტაციო დაწესებულებაა, აღნიშნულით, საქართველოს საკანონმდებლო სივრცეში დაფიქსირდა არასრულწლოვან მსჯავრდებულთა იზოლირებული, სტატუსის მქონე სარეაბილიტაციო დაწესებულების არსებობა, რაც უზრუნველყოფს არასრულწლოვან მსჯავრდებულთა განცალკევებას სრულწლოვანი მსჯავრდებულებისაგან, რომელიც შესაბამისობაშია გაეროსა და ევროპულ სტანდარტებთან.

ანალოგიური მიდგომაა გათვალისწინებული საერთაშორისო სტანდარტებითაც, კერძოდ, „თავისუფლების აღკვეთა უნდა ხორციელდებოდეს იმ პირობებსა და გარემოებებში, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანის უფლებათა დაცვას. არასრულწლოვნის ინტერესებიდან გამომდინარე, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში გარანტირებული უნდა იყოს ეფექტური ღონისძიებები და პროგრამები, რომელიც ხელს შეუწყობს მათ ჯანმრთელობასა და თავმოყვარეობას, პასუხისმგებლობის გრძნობის განვითარებას და ისეთი დამოკიდებულებებისა და უნარ-ჩვევების ფორმირებას, რაც დაეხმარება მათ, მათი, როგორც საზოგადოების წევრის პოტენციალის განვითარებას".[94] როგორც ვხედავთ, აქცენტი გაკეთებულია პროგრამების აუცილებლობაზე, რომლებიც დაეხმარება არასრულწლოვანს საზოგადოების სრულუფლებიან წევრად ჩამოყალიბებაში.

1.1. ინდივიდუალური სამოქმედო გეგმა

[91] ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი N10 (2007წ.), პუნქტი 85.
[92] გუვეჩი თურქეთის წინააღმდეგ (Guvec v. Turkey), No 70337/01, 20 იანვარი, 2009.
[93] ნარტი თურქეთის წინააღმდეგ (Nart v. Turkey), No 20817/04, 6 მაისი, 2008.
[94] გაეროს წესები თავისუფლება აღკვეთილი არასრულწლოვნების დასაცავად („ჰავანის წესები"), თავი მეორე, წესების მოქმედების სფერო და გამოყენება, წესი 12.

როგორც უკვე აღვნიშნეთ მსჯავრდებულის რესოციალიზაცია არის მსჯავრდებულისათვის საზოგადოების, სხვა ადამიანების, ზნეობის ნორმებისა და ადამიანთა თანაცხოვრების დამკვიდრებული წესებისადმი პატივისცემისა და პასუხისმგებლობის გრძნობის ჩამოყალიბება, დაბრუნება. ძირითადად მსჯავრდებულის რესოციალიზაცია ხორციელდება სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმის მიხედვით, რომელიც შიძლება მოიცავდეს შემდეგ აქტივობებს: ა) სასჯელის მოხდა დადგენილი წესის შესაბამისად; ბ) სარეაბილიტაციო პროგრამებს; გ) მსჯავრდებულთა დასაქმებას; დ) ზოგადი და პროფესიული განათლების მიღებას; ე) გარე სამყაროსთან ურთიერთობას; ვ) სპორტულ, კულტურულ, შემეცნებით და რელიგიურ ღონისძიებებში მონაწილეობის მიღებას. არასრულწლოვანი და ახალგაზრდა მსჯავრდებულები საზოგადოების ის ნაწილია, რომელიც ყველაზე მეტად განიცდის საზოგადოებასთან ურთიერთობების დეფიციტს. აუცილებლობას წარმოადგენს მსჯავრდებულების რესოციალიზაციის პროცესის ხელშეწყობა სხვადასხვა მიმართულებით ღონისძიებების/აქტივობების განხორციელებით.

ჰუმანიზმის, დემოკრატიულობის, კანონის წინაშე თანასწორობისა და სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპებზე დაყრდნობით." სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის N33 ბრძანების საფუძველზე, დამტკიცებულია სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვის ინსტრუქცია. სოციალური მუშაკის, ფსიქოლოგის, რეჟიმის ოფიცრის, ექიმისა და სხვა საჭიროებიდან გამომდინარე, სხვა პროფილის სპეციალისტებისგან შემდგარი მულტიდისციპლინური გუნდი თითოეულ მსჯავრდებულს სასჯელის მოხდის ინდივიდუალურ გეგმას უდგენს, რომელიც მათ პიროვნულ საჭიროებებზეა მორგებული, რისკების გათვალისწინებით. აღნიშნული საშუალებას მოგვცემს, მეტი ყურადღება დაეთმოს რესოციალიზაცია-რეაბილიტაციასა და დანაშაულის რეციდივის პრევენციას, რაც სრულად შეცვლის აქამდე არსებულ, პოსტ-საბჭოთა სივრცისათვის დამახასიათებელ მიდგომებს, რომლის მიხედვით, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება მხოლოდ სასჯელის მოხდის ადგილად აღიქმებოდა.[95]

თავისუფლების აღკვეთის ადმინისტრაციამ პრიორიტეტი უნდა მიანიჭოს არასრულწლოვნებთან ინდივიდუალური მიდგომების გამოყენებას, მოზარდთან უნდა მოხდეს გასაუბრება მიყვანის მომენტშივე და უნდა მომზადდეს ფსიქოლოგიური და სოციალური ანგარიში, რომელსაც, სამედიცინო ანგარიშთან ერთად, უნდა დაეყრდნოს დაწესებულება, რათა განისაზღვროს ბავშვისათვის ყველაზე შესაფერისი პროგრამა. გასაუბრება მიზნად ისახავს მოთავსების, მოვლისა და პროგრამების დაგეგმვას მოზარდის საჭიროებების გათვალისწინებით.[96]

მსჯავრდებულის რესოციალიზაციის საშუალებები გამოიყენება დანიშნული სასჯელის სახის, ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის, მსჯავრდებულის პიროვნების, მისი ფსიქოლოგიური მდგომარეობისა და ქცევის გათვალისწინებით.

---

[95] სისხლის სამართლის რეფორმის სტრატეგია, სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის უწყებათა-შორისი საკოორდინაციო საბჭო, 2016 წელი, გვ. 31.

[96] გაეროს წესები თავისუფლებააღკვეთილი არასრულწლოვნების დასაცავად („ჰავანის წესები"), თვის მეორე, წესების მოქმედების სფერო და გამოყენება, წესი 27.

მნიშვნელოვანია ინდივიდუალური მიდგომის კონცეფციის ფარგლებში რისკების და საჭიროებების შეფასების, ასევე არასრულწლოვან მსჯავრდებულთა სასჯელის მოხდის და რეაბილიტაციის ინდივიდუალური გეგმების შემუშავების მექანიზმების შემდგომი დახვეწა და მათი შეფასებისათვის შესაბამისი მექანიზმის შემუშავება.[97]

როგორც აღვნიშნეთ ინდივიდუალური სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულია კონკრეტული აქტივობები, რომლებიც გაწერილია სარეაბილიტაციო დაწესებულებაში მყოფი პასუხისმგებელი თანამშრომლების მითითებებით და მათ განსახორციელებლად განისაზღვრება დროც. აქტივობებით გათვალისწინებულია სოციალური მუშაკის, ფსიქოლოგის, ექიმისა და მასწავლებლის არასრულწლოვან მსჯავრდებულთან როგორც ინდივიდუალურად, ასევე ჯგუფურად მუშაობა, რომლითაც გათვალისწინებულია შეხვედრები ფსიქოლოგთან, მასწავლებელთან, მონაწილეობა ფსიქო-სოციალური თერაპიის კურსებში, სხვადასხვა საგანმანათლებლო და სპორტული აქტივობებში.[98]

1.2. განათლების ფაქტორი

საერთაშორისო სტანდარტებით განსაზღვრულია, რომ ციხის ადმინისტრაციამ არასრულწლოვან მსჯავრდებულებს სხვა მომსახურებების გარდა, აგრეთვე უნდა გაუწიოს სოციალური, ფსიქოლოგიური და საგანმანათლებლო მომსახურება, რელიგიური მზრუნველობა და სხვა ისეთი მსგავსი გაჯანსაღების პროგრამები, რომლებიც საზოგადოებაში ზოგადად ბავშვთათვის არსებობს, არასრულწლოვანი, რომელიც ექვემდებარება სავალდებულო განათლებას, დაუბრკოლებლად უნდა მიუწვდებოდეს ხელი ასეთ განათლებაზე. გათვალისწინებული უნდა იყოს პროფესიული სწავლებაც, სასარგებლო ხელობის სწავლებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეთ იმ არასრულწლოვან პატიმრებს, რომლებიც საამისოდ დიდ მონდომებასა და უნარს ამჟღავნებენ. ციხის მართვის ორგანოებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ წერა-კითხვის უცოდინარ არასრულწლოვნებს და მათთვის განათლების მიღება სავალდებულო ხასიათს უნდა ატარებდეს.[99] ამრიგად, განათლება კვალიფიციურმა მასწავლებლებმა ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემაში ინტეგრირებული პროგრამების საშუალებით უნდა უზრუნველყონ, იმ მიზნით, რომ მომავალში ამ პატიმრება დაუბრკოლებლად შეძლონ სწავლის გაგრძელება.

მსჯავრდებულთა რეაბილიტაცია და რესოციალიზაცია არის სასჯელის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა და განათლების მიღება წარმოადგენს ერთ-ერთ მიმართულებას ამ გზაზე. ყველა სასკოლო ასაკის არასრულწლოვანს აქვს განათლების მიღების უფლება მისი საჭიროებებისა და შესაძლებლობების მიხედვით. მიიჩნევა, რომ განათლების დაბალი დონე კრიმინალური ქცევის ერთ-

[97] თომას ჰამერბერგი, „საქართველო გარდამავალ პერიოდში, ანგარიში ადამიანის უფლებების შესახებ“ („Report on the Human Rights Dimension: Background, Steps Taken and Remaining Challenges“), გვ. 19-20.
[98] შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., ხასია მ., სასჯელაღსრულების სამართალი, თბ., 2014, გვ. 363.
[99] ევროპული ციხის წესები, მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია REC (2006)2, 11 იანვარი, 2006 წელი, წესები - 21, 35, 71, 77.

ერთი განმსაზღვრელი ფაქტორია, ამიტომაც სტანდარტები, რომლებსაც უნდა ეფუძნებოდეს განათლების პროცესი, უნდა იყოს მრავალმხრივი, როგორიცაა არასრულწლოვანი პატიმრისთვის ძირითადი ფასეულობების სწავლება, ბავშვის კულტურული თვითმყოფადობის განვითარება და პატივისცემის გამოხატვა იმ ქვეყნის სოციალური ფასეულობების შესაბამისად, რომელშიც მოზარდი ცხოვრობს. ციხის ადმინისტრაცია მაქსიმალურად უნდა ეცადოს ახალგაზრდა პატიმრების ტალანტების, სულიერი და ფიზიკური შესაძლებლობების გამოვლენას, რისთვისაც ხელი უნდა შეუწყოს არასრულწლოვნის პიროვენების განვითარებას, მის პიროვნებად ჩამოყალიბებას. ამ გზაზე კი მნიშვნელოვანია საგანმანათლებლო პროცესში ახალგაზრდების აქტიურად და ეფექტიანად ჩართვა, პოზიტიური ემოციური მხარდაჭერის აღმოჩენა მათთვის და არასწორი ფსიქოლოგიური მოპყრობის თავიდან აცილება.[100]

ციხის ადმინისტრაციამ ყველა შესაძლო გზით უნდა აღმოფხვრას დაწესებულებაში კრიმინალური სუბკულტურის ჩამოყალიბება, რადგან ბენეფიციართათვის სერვისების მიწოდების პროცესში კრიმინალური სუბკულტურა არის ერთ-ერთი ხელის შემშლელი ფაქტორი. ერთ-ერთი მიზეზი, თუ რატომაც ვერ ხორციელდება სხვადასხვა სახის სერვისებში ბენეფიციართათა ჩართვა, არის სწორედ კრიმინალური სუბკულტურა. კრიმინალურ სუბკულტურაში არსებული წესების თანახმად, ბენეფიციართა ჩართვა საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო პროგრამებში ცუდ ტონად ითვლება პატიმართა გარკვეულ ჯგუფებს შორის, რის გამოც აღნიშნული ფაქტორი შესაძლოა ახდენდეს გავლენას ბენეფიციართა მოტივაციაზე. აუცილებელია ციხის პერსონალმა არასრულწლოვანის მოტივაციის ვარდნა შეისწავლოს, რადგან კრიმინალური სუბკულტურისადმი მიდრეკილება არასრულწლოვნობის პერიოდში საკმაოდ მაღალია. ადეკვატური განათლების მიცემა კი დაეხმარება მოზარდს სწორი ღირებულებების ჩმოყალიბებაში.

განათლების განმტკიცებისთვის საჭიროა არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში ფუნქციონირებდეს ბიბლიოთეკა, რომელიც აღჭურვილი იქნება როგორც საგანმანათლებლო, რელიგიური წიგნებით, ასევე, მოზარდთა შემთხვევაში, შესაფერისი გასართობი წიგნებით, კომიქსებითა და ჟურნალებით, რაც მთავარია სწავლება უზრუნველყოფილი უნდა იყოს საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობით მსჯავრდებულთათვის გასაგებ ენაზე.[101] საბოლოოდ კი უნდა ჩატარდეს კომპლექსური ღონისძიებები სოციალურ-პედაგოგიური ზომების, რათა შეძლებისდაგვარად აღმოიფხვრას პატიმართა განათლების დეფიციტი.

---

[100] მაია (ზოია) ხასია, არასრულწლოვანთა სასჯელის მოხდის საერთაშორისო სტანდარტების ზოგადი მიმოხილვა, ჟ., სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები, N1, თბ., 2017, გვ. 133.

[101] შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., ხასია მ., სასჯელაღსრულების სამართალი, თბ., 2014, გვ. 360.

1.3. შრომის, ჯანმრთელობისა და სპორტულ აქტივობათა მნიშვნელობა

თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ადმინისტრაცია გარდა განათლების შესაძლებლობებისა, პატიმრებს ეხმარება სოციალური კომპეტენციის განვითარებაში. ეს მოიცავს დასვენებისა და სპორტულ აქტივობებს, ტრენინგსა და კონსულტაციას სამუშაოს დაწყების, განსახლებისა და სხვა საკითხებში. მსგავსმა აქტივობებმა პატიმრები უნდა მოამზადოს გათავისუფლების შემდეგ უმტკივნეულო რესოციალიზაციისთვის.

თავისუფლების აღკვეთის პირობები ინდივიდუალურ დონეზე სადამსჯელო ხასიათს არ უნდა ატარებდეს, საზოგადოებისგან განცალკევება ხომ უკვე წარმოადგენს სასჯელს. შესაბამისად, თავისუფლების აღკვეთის მიზანი არასრულწლოვან მსჯავრდებულისთვის, გათავისუფლების შემდეგ საზოგადოებაში უფრო დამოუკიდებელი და პროდუქტიული ცხოვრებით ცხოვრებაა. ამ მიზნის მისაღწევად კი თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში გატარებული დრო უნდა ემსახურებოდეს იმ ფუნდამენტური უნარების ათვისებას, რომლებიც ყოფილ პატიმარს საზოგადოებაში დაბრუნებისას დასჭირდება. მოზარდის რეაბილიტაციის პროცესში თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ადმინისტრაცია მთლიანად უნდა იყოს ჩართული.

საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 84-ე მუხლის მეოთხე ნაწილი მნიშვნელობას ანიჭებს სარეაბილიტაციო დაწესებულებაში ისეთი პირობების შექმნას, რომლებიც ხელს შეუწყობს მსჯავრდებულთა პროფესიული განათლების დონის ამაღლებას. ამგვარი სწავლება მოზარდისთვის ნებაყოფლობითი უნდა იყოს. გარდა ამისა, კანონმდებლობა შესაძლებლობას აძლევს არასრულწლოვან მსჯავრდებულებს შეასრულონ ანაზღაურებადი სამუშაო პენიტენციური დაწესებულების პირობებში, თუმცა იქვე აღნიშნულია, რომ დაუშვებელია არასრულწლოვანი მსჯავრდებულის სამეურნეო მომსახურეობაში დასაქმება.[102] პროფესიული სწავლების დანერგვისა და განხორციელების დროს უპირატესობა უნდა მიენიჭოს იმ პროფესიების დამუშავებას, როგორც თეორიულად ასევე პრაქტიკულად, რომელთა შესწავლა დაწესებულების პირობებშია შესაძლებელი და რომელთა მიმართაც არსებობს მოთხოვნა დასაქმების ბაზარზე. ეს ყოველივე კი დაეხმარება არასრულწლოვან მსჯავრდებულს პროფესიული კვალიფიკაციის მიღებაში, სასჯელის მოხდის შემდეგ გათავისუფლებისას სამუშაოს მოძიებასა და დასაქმებაში.[103] ამრიგად, ყოველ არასრულწლოვან მსჯავრდებულს, რომელიც დაწესებულებაში მუშაობს, უნდა ჰქონდეს განხორციელებული საქმიანობის ადეკვატური ანაზღაურება, ასევე მის მიერ ხელით დამზადებული ნაწარმის გაყიდვის შესაძლებლობაც, ეს კი, ცხადია, გარკვეულ საფუძველს ქმნის მათი შემდგომი ცხოვრებისთვის, უჩენს მათ იმედს, რომ მათაც რაღაც შეუძლია, მათ აქვთ შესაძლებლობა თავი მოიწონონ ნათესავებთან, ახლობლებთან. როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში სამუშაოს მეთოდები და ორგანიზება მაქსიმალურად უნდა უახლოვდებოდეს და ასახავდეს საზოგადოებაში

[102] საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 85-ე მუხლი.
[103] შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., ხასია მ., სასჯელაღსრულების სამართალი, თბ., 2014, გვ. 361.

განსახორციელებელ ანალოგიურ სამუშაოს იმგვარად, რომ მოამზადოს არასრულწლოვანი საზოგადოებაში დაბრუნებისა და ცხოვრების პირობებისთვის.

საერთაშორისო სტანდარტებით დეკლარირებულია, რომ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში არსებობდეს სათანადო სივრცე, დანადგარები და აღჭურვილობა ფიზიკური ატივობების განხორციელებისათვის, ყველა მოზარდს უნდა მიეცეს დამატებითი დრო სხვადასხვა ყოველდღიური გასართობი, შემეცნებითი აქტივობისათვის, რომელთა ნაწილი არასრულწლოვნის სურვილისამებრ უნდა დაეთმოს ხელოვნებისა და ხალხური რეწვის უნარების განვითარებას. გარდა იმისა, რომ მოზარდს უნდა ჰქონდეს დრო და შესაბამისი აღჭურვილობა სრულყოფილი ფიზიკური ვარჯიშისათვის, საერთაშორისო სტანდარტები განსაზღვრავს ფიზიკური შესაძლებლობების გათვალისწინებისა და სამკურნალო ვარჯიშების ხელმისაწვდომობის აუცილებლობას, კერძოდ, პენიტენციურმა დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს ყველა არასრულწლოვნის ფიზიკური შესაძლებლობა, მიიღოს მონაწილეობა ფიზიკური მომზადების შეთავაზებულ პროგრამებში. ხოლო არასრულწლოვანს, რომელსაც ესაჭიროება სამკურნალო ფიზიკური ვარჯიში და თერაპია, სამედიცინო ზედამხედველობის ფარგლებში უნდა შესთავაზონ შესაბამისი ფიზიკური აღზრდის კურსები.[104] რომლებიც მოიცავს გამაჯანსაღებელ ფიზიკურ და გონებრივ ვარჯიშებს.

ყოველდღიური აქტივობები თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მიმართული უნდა იყოს იქითკენ, რომ ხელი შეუწყოს არასრულწლოვნის რეინტეგრაციის გაუმჯობესებას. ამის მისაღწევად ციხის ადმინისტრაციამ მოზარდ მსჯავრდებულს უნდა შესთავაზოს აზრობრივი ღონისძიებები და ჩართულობა, რაც გათვალისწინებული უნდა იყოს წინასწარ შემუშავებულ სამოქმედო გეგმაში. წესებისადმი ადამიანური მიდგომა კი მოზარდის ფიზიკური და გონებრივი ჯანმრთელობის, საკუთარი თავისადმი პატივისცემისა და პასუხისმგებლობის გრძნობის განვითარების საწინდარია. ციხის მიერ
შეთავაზებულ სხვადასხვა აქტივობებსა და რეკრეაციაში, მოზარდი მონაწილეობას უნდა იღებდეს საკუთარი ნებით, აქტიური მონაწილეობა კი დაგეგმილ ღონისძიებათა წარმატების აუცილებელი პირობაა, რაც მხარდაჭერილ უნდა იქნას წახალისებისა და მიღწევების სრულყოფილი სისტემით, რომელმაც უნდა მოიცვას სასწავლო და პროფტექნიკურ ტრენინგებთან ერთად მუშაობაც და დასვენებაც.[105]

პატიმართა რეაბილიტაციისა და შემდგომი რესოციალიზაციისათვის უპირველეს საჭიროებად მათი ჯანმრთელობის საკითხია მიჩნეული. ეს არის ზოგადი ჯანმრთელობის დაცვა და უზრუნველყოფა, საგანგებო დიეტის დაცვის საჭიროება ზოგიერთი მსჯავრდებულისთვის, მათი გეგმიური და სიმპტომატური მკურნალობა, ფიზიკური აქტივობის უზრუნველყოფა და სხვ. პენიტენციურ სისტემაში სამედიცინო მომსახურება უნდა დაეფუძნოს შესაბამის, წინასწარ შემუშავებულ სტანდარტებს, რომელთა ჩამოყალიბებისას გაითვალისწინება დაწესებულების თვისებური გარემო, არასრულწლოვან პატიმართ ამჟამინდელი და წინა,

[104] გაეროს წესები თავისუფლებააღკვეთილი არასრულწლოვნების დასაცავად („ჰავანის წესები“), წესი 47.

[105] შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., ხასია მ., სასჯელაღსრულების სამართალი, თბ., 2014, გვ. 372-373.

თავისუფლების აღკვეთამდე არსებული ჯანმრთელობის მდგომარეობა და საჭიროებები. სამედიცინო მომსახურება, რომელიც მიეწოდება არასრულწლოვნებს უნდა ემსახურებოდეს მიზანს, გამოავლინოს და განკურნოს ნებისმიერი ფიზიკური თუ ფსიქიკური დაავადება, ნარკომანია თუ სხვა გადახრა, რომელსაც შეუძლი შეაფერხოს არასრულწლოვნის ინდივიდუალური გეგმით გათვალისწინებულ პროგრამებში და მით უფრო საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვა.[106] ჯანმრთელი მოქალაქის დაბრუნება ერთ-ერთი ასპექტია მისი შემდგომი რეაბილიტაციისათვის და, შესაბამისად, აღნიშნული განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს სახელმწიფო სტრუქტურების მხრიდან.

1.4. სარეაბილიტაციო დაწესებულებაში მყოფი პერსონალის მნიშვნელობა

საერთაშორისო სტანდარტებში ხაზგასმულია, რომ ნებისმიერი ფორმით თავისუფლებააღკვეთილ ადამიანს უნდა მოეპყრან მისი უფლებების სრული პატივისცემით, აკრძალული უნდა იყოს ყოველგვარი დისკრიმინაციული მიდგომა. პენიტენციურ სისტემაში პირობები არ უნდა იყოს ღირსების შემლახავი და ციხეში ცხოვრება შემლებისდაგვარად უნდა უახლოვდებოდეს საზოგადოებაში ცხოვრების პოზიტიურ ასპექტებს.

ისმის კითხვა თუ რა აუცილებელი ფაქტორები უნდა გაითვილისწინონ სახელმწიფო სტრუქტურებმა, სასჯელაღსრულების დაწესებულებების თანამშრომლებმა, იმ ადამიანებმა, რომლებსაც უხდებათ მუშაობა პატიმრებთან?! ციხის პერსონალს ნელსონ მანდელა მიმართავდა შემდეგი სიტყვებით: „ციხეებს დიდი როლი ეკისრებათ ჩვენს ქვეყანაში დანაშაულის შემცირებაში, თუმცა, მიზნის მიღწევა ნაწილობრივ დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ მოექცევით პატიმრებს თქვენ. პროფესიონალიზმისა და ადამიანის უფლებების დაცვა აღნიშნულ საქმეში უმთავრეს როლს თამაშობს“.[107] ასევე, ვფიქრობ, რომ არასრულწლოვნის უფლებების განხორციელება ხელს შეუწყობს მსჯავრდებულის რესოციალიზაციის პროცესს. მართალია რესოციალიზაციის მიზანი მხოლოდ აღნიშნულით არ მიიღწევა, მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ კანონით დადგენილი უფლებების დაცვა რესოციალიზაცის პროცესის დასაწყისია, რაშიც დიდ როლს თამაშობს სოციალური მუშაკის, ფსიქოლოგის და საერთოდ არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში მომუშავე პირთა მაღალკვალიფიციურობა და პროფესიონალიზმი.

პერსონალი უნდა შედგებოდეს კვალიფიციური კადრებისაგან და უნდა შეიცავდეს ისეთ სპეციალისტებს, როგორებიც არიან პედაგოგები, პროფესიული ინსტრუქტორები, მრჩევლები, სოციალური მუშაკები, ექთნები, ფსიქიატრები და ფსიქოლოგები. სწორედ ამიტომ მათი მომზადება უმნიშვნელოვანესია და სასჯელის მიზნის მიღწევაში მათი როლი ნიშანდობლივი. გასაკვირი არცაა, რომ ყველა საერთაშორისო სტანდარტი, რომელიც პენიტენციური სისტემის საქმიანობის,

[106] მაია (ზოია) ხასია, არასრულწლოვანთა სასჯელის მოხდის საერთაშორისო სტანდარტების ზოგადი მიმოხილვა, ჟ., სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები, N1, თბ., 2017, გვ. 136-137.
[107] მანდელა ნ., მიმართვა სამხრეთ აფრიკის ციხის პერსონალისადმი, 1998 წელი.

თავისუფლებააღკვეთილ მოზართა რესოციალიზაციის ეფექტურობის ამაღლებისკენაა მიმართული, ადგილს უთმობს დაწესებულების პერსონალის ხარისხსა და მათ მომზადებას, ასევე, მათ კატეგორიასაც, რადგან პერსონალის შერჩევისას ყურადღება უნდა დაეთმოთ ისეთ მნიშვნელოვან გარემოებებს, როგორიცაა ჰუმანურობა, მოზარდებთან მუშაობის უნარი, პროფესიული უნარები და სხვ.[108]

საბოლოოდ კი შეიძლება ითქვას, რომ არასრულწლოვანთა სასჯელის აღსრულება თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში ფაქიზ მიდგომას მოითხოვს. თუ მათ მიმართ დაშვებული იქნება შეცდომები სასჯელის აღსრულების დროს, ყველაფერი წყალში ჩაიყრება და სასჯელის მიზნებიც განუხორციელებელი დარჩება.[109] თითოეულ ზემოთჩამოთვლილ საკითხს განსკუთრებული ყურადღება სჭირდება, რადგან პრობლემების ეს კომპლექსი ამ ადამიანების მთელ ცხოვრებას ეხება, მის წარმართვას განაპირობებს ახლანდელსა თუ შემდგომს, თავისუფლების პირობებში.

2. სარეაბილიტაციო პროგრამები და მათი მნიშვნელობა N11 სარეაბილიტაციო დაწესებულებაში

2.1. სხვადასხვა სარეაბილიტაციო ღონისძიებათა დახასიათება

არასრულწლოვანი მსჯავრდებულის უფლება, კანონმდებლობით დადგენილი წესის თანახმად ისარგებლოს სარეაბილიტაცო პროგრამებით, პირდაპირ გათვალისწინებულია პატიმრობის კოდექსის მე-14 მუხლით. N11 დაწესებულებაში სარეაბილიტაციო პროგრამების ორგანიზებას უზრუნველყოფს ამ დაწესებულების შესაბამისი უფლებამოსილი პირი. მნიშვნელოვანია, რომ სარეაბილიტაციო დაწესებულების დღის განრიგი ითვალისწინებდეს დროს, როდესაც სარეაბილიტაციო პროგრამებში მსჯავრდებულთა მონაწილეობა არის განსაზღვრული, სარეაბილიტაციო პროგრამებში მონაწილეობა გათვალისწინებული იქნება მსჯავრდებულის გამოსწორების ხარისხის შეფასებისას და მის მიმართ წახალისების ფორმის გამოყენებისას, რასაც ახორციელებენ პენიტენციური დაწესებულებების შესაბამისი უფლებამოსილი პირები სოციალური მუშაკების დახმარებით.

სასჯელის მიზნებიდან დამნაშავის რესოციალიზაცია უმთავრესი და მისაღწევად ურთულესი მიზანია, რის მიღწევაშიც განსაკუთრებული როლი ეკისრება სასჯელაღსრულების სისტემის სოციალურ სამსახურს, რომელმაც კომპლექსური და ქმედითი სარეაბილიტაციო ღონისძიებათა გატარებით, უნდა უზრუნველყოს არასრულწლოვანი მსჯავრდებულის სრული ტრანსფორმაცია და ხელი შეუწყოს მის საზოგადოების სრულფასოვან წევრად დაბრუნებას.[110] პროგრამებით გათვალისწინებული ღონისძიებების, წვრთნების, სწავლების, ტრენინგების

[108] მაია (ზოია) ხასია, არასრულწლოვანთა სასჯელის მოხდის საერთაშორისო სტანდარტების ზოგადი მიმოხილვა, ჟ., სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები, N1, თბ., 2017, გვ. 138.
[109] ვარძელაშვილი ი., სასჯელის მიზნები, სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 2016, გვ. 213.
[110] არსოშვილი გ., დამნაშავის რესოციალიზაცია, თბ., 2009, გვ. 6.

უზრუნველყოფა მოზარდი მსჯავრდებულებისათვის იქნება კრიმინალური ცხოვრების ალტერნატივის შეთავაზება სახელმწიფოს მხრიდან საზოგადოებასთან ინტეგრაციის პროცესში. პროგრამა ხელს შეუწყობს ახალგაზრდა პატიმრებს გახდნენ მეტად თავდაჯერებულნი საკუთარ შესაძლებლობებში, გააცნობიერონ და დაძლიონ უარყოფითი ჩვევები და არასრულფასოვნების კომპლექსი, შეისწავლონ, აითვისონ პროფესიული, სპორტული, ინტელექტუალური, კომუნიკაციური უნარ-ჩვევები, დაეუფლონ სპორტულ სახეობებს, მისდიონ ცხოვრების ჯანსაღ წესს, მიიღონ ცოდნა და გამოცდილება, რაც მნიშვნელოვნად დაეხმარება მათ ჯანსაღი ცხოვრებისეული მიზნების ჩამოყალიბებაში.

პროფესიული სწავლება - აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პენიტენციურ დაწესებულებებში ხშირად განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემოთავაზებული კურსები მხოლოდ თეორიულ სწავლებას ეფუძნება და არ მოიცავს პრაქტიკულ ნაწილს. მაშინ, როდესაც ბენეფიციართა ნაწილისთვის მოდულურ სწავლებასთან შედარებით უპირატესია პრაქტიკაზე დაფუძნებული მოკლევადიან (6 თვეზე ნაკლები) პროგრამებში ჩართვა. ამიტომ, მნიშვნელოვანია, რომ პროფესიული განათლების მიმწოდებელმა სწავლების პარალელურად მოახდინოს პრაქტიკული აღჭურვილობის ბაზის შექმნა და აღნიშნულის საშუალებით კურსის მიწოდება.

რეაბილიტაციის პროცესი, უპირველესად, უნდა დაემყაროს პატიმრისადმი ღირსეულ მოპყრობას. ამ საფუძველზე უნდა აიგოს ურთიერთობა დანაშაულისათვის მსჯავრდებულ პირთან და აქედან უნდა დაიწყოს მის მიერ საკუთარი დანაშაულის გაცნობიერება. თუმცა, სინანული მოგვიანებით მოდის, რასაც პიროვნულ ძალისხმევასთან ერთად ფსიქოლოგის, სასჯელაღსრულების დაწესებულების სოციალური სამსახურის, ოჯახის დახმარება სჭირდება. მხოლოდ საკუთარ თავთან დარჩენილი პატიმარი თავს, ძირითადად, მსხვერპლად მიიჩნევს და ეს ერთგვარი „დამცავი“ რწმენა, რასაც, დიდწილად, პენიტენციური სტრესი ავითარებს, დანაშულის ჩამდენ პირებში ბლოკავს სინანულის გრძნობას. ადამიანის, როგორც პიროვნების აღქმა, მის მიმართ სათანადო მოპყრობა პატიმრობის პირობებში ქმნის შიდა გარემოსთან, გარე სამყაროსთან ურთიერთობის მეტ შესაძლებლობასა და რეაბილიტაციის პერსპექტივას.[111]

არასრულწლოვან მსჯავრდებულთან გატარებული სარეაბილიტაციო პროგრამების მიზნებია: ა) მსჯავრდებულის შეგნებაში კანონის, სხვა ადამიანების, შრომის, ადამიანთა თანაცხოვრების დამკვიდრებული წესებისა და ნორმებისადმი პატივისცემის გრძნობის ჩამოყალიბება; ბ) სარეაბილიტაციო დაწესებულებაში მსჯავრდებულთა შორის ნორმალური ფსიქოლოგიური ატმოსფეროს შექმნა; გ) მსჯავრდებულთა განათლებისა და პროფესიული დონის ამაღლება; დ) მჯავრდებულთა მომზადება გათავისუფლებისათვის; ე) სხვადასხვა დამოკიდებულების მქონე პირთა რეაბილიტაცია.[112] ძირითადად სარეაბილიტაციო

[111] კანჯარაძე ა., ლორთქიფანიძე ნ., აბულაძე თ., სტატია „გზა საზოგადოებისაკენ - თავისუფლების შენება“. 2019. (სტატია იხილეთ - https://www.penalreform.org/blog/გზა-საზოგადოებისაკენ-თა/ - (21.05.2019)).

[112] საქართველოს კანონი, პატიმრობის კოდექსის 117-ე მუხლი.

პროგრამები იყოფა შემდეგ სახეებად: 1) მოკლევადიანი ფსიქოსოციალური ტრენინგები, როგორებიცაა მსჯავრდებულთა უფლებები, სტიგმა და დისკრიმინაცია. 2) საბაზისო კლინიკური და სოციალური უნარების განვითარების პროგრამები, ასეთებია პენიტენციური სტრესის დაძლევის პროგრამა, ბრაზის მართვის პროგრამა, ცხოვრების ჯანსაღი წესი და სხვ. 3) საგანმანათლებლო პროგრამები - საბაზისო (წერა-კითხვა და არითმეტიკა), ზოგადი და უმაღლესი განათლება. 4) პროფესიული (სახელობო) პროგრამები. 5) დანაშაულთან დაკავშირებული პროგრამები - ნაბიჯი ცვლილებებისკენ (დანაშაულის გაცნობიერების პროგრამა), პოზიტიური აზროვნების უნარ-ჩვევების განვითარება, სოციალური უნარების განვითარების პროგრამა და სხვ. როგორც ვხედავთ სარეაბილიტაციო პროგრამები მრავალფეროვანია და მოიცავს როგორც გარკვეულ სოციალური უნარების განვითარებას თუ განათლების დონის გაზრდას, ისე ფსიქოლოგიურ ან ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ პროგრამებს (მაგ. ნარკოტიკულ ნივთიერებებზე დამოკიდებულება, ალკოჰოლის ჭარბი მოხმარება), ასეთი პრობლემების მოსაგვარებლად არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში შემუშავებულ უნდა იქნას ნარკოტიკების აკრძალვისა და ალოკოჰოლური დამოკიდებულებების მქონე მსჯავრდებულთა რეაბილიტაციის პროგრამები, რომლებიც უნდა განახორციელოს კვალიფიციურმა პერსონალმა.[113]

აუცილებელია ყოველ არასრულწლოვან მსჯავრდებულს უფლება ჰქონდეს დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვნილებები რელიგიასა და სულიერ ცხოვრებასთან დაკავშირებით განურჩევლად მისი რელიგიური მრწამსისა, კერძოდ, არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში უზრუნველყოფილნი უნდა იყვნენ დაესწრონ იმ შეხვედრებსა და მსახურებას, რომელიც გათვალისწინებულია რელიგიის მიერ. მათ აქვთ უფლება იქონიონ რელიგიური ხასიათის წიგნები და საგნები, რათა მისდიონ საკუთარ აღმსარებლობას. რელიგია მნიშვნელოვან როლს თამაშობს სარეაბილიტაციო დაწესებულების გარემოში ისეთი მნიშვნელოვანი მიზნების განხორციელებაში, როგორებიცაა - აუცილებელი რელიგიური წესების გაცნობა, რომელთა დაცვა სავალდებულოა და რომლებიც გაუადვილებს არასრულწლოვნებს რესოციალიზაციას, მათ ცხოვრების შესახებ კითხვებზე პასუხის გაცემას. რელიგიურ თემებზე სასაუბროდ, მსჯელობისათვის მოაზროვნე პატიმრების სალოცავად ერთად თავმოყრისას, არასრულწლოვანს უჩნდება გარკვეულ წრესთან ერთიანობის შეგრძნება, რაც მის კულტურაზე დადებითად მოქმედებს.[114] კვლევებით დადგენილია, რომ „რელიგიური ხასიათის რჩევადარიგებანი პენიტენციურ სისტემაში ამცირებს ძალადობას და მას თითქმის არა აქვს რეციდივი. მრჩეველების და დამრიგებლების გამოყენებით რელიგიური აქტიურობა, ხშირად შეიძლება იყოს დამტებითი შესაძლებლობა, რათა დააკავშიროს

[113] შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., ხასია მ., სასჯელაღსრულების სამართალი, თბ., 2014, გვ. 359.

[114] შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, მეორე გამოცემა, თბილისი, ფრაიბურგი, სტრასბურგი, 2016, გვ. 222.

სარეაბილიტაციო დაწესებულებაში არსებული ატმოსფერო გარე საზოგადოებას და გააუმჯობესოს რეინტეგრაციისადმი მიმართული ძალისხმევა“.[115]

2.2. არსებული პროგრამები N11 სარეაბილიტაციო დაწესებულებაში

N11 სარეაბილიტაციო დაწესებულებაში არსებული პროგრამების მიზანს წარმოადგენს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მყოფი მოზარდებისა და ახალგაზრდების რესოციალიზაციის ხელშეწყობა, მათი დაინტერესება სწავლისა და შრომითი საქმიანობისადმი, აღნიშნული კატეგორიის ახალგაზრდების ინტელექტუალური, შემოქმედებითი და სპორტული უნარ-ჩვევების გამოვლენა-განვითარება, გარე სამყაროსადმი სწორი ორიენტაციის შემუშავება, მავნე ჩვევების გაცნობიერება და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის ამაღლება.

მისასალმებელია, რომ საქართველოში თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთა მოთავსების ადგილს სარეაბილიტაციო დაწესებულება ეწოდება, რითაც ხაზგასმულია რეაბილიტაციის მნიშვნელობა მოზარდის სწორი სოციალიზაციისათვის. ადეკვატური ინფრასტუქტურის არსებობა წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს შესაბამისი სერვისების ორგანიზების კუთხით პენიტენციურ დაწესებულებებში. N11 არასრულწლოვანთა სპეციალურ დაწესებულებაში 2016 წელს აშენდა ახალი თანამედროვე სტანდარტების სკოლის შენობა, სადაც განთავსდა ინდივიდუალური შეხვედრებისთვის ოთახები, თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი საკლასო ოთახები, განახლებული ბიბლიოთეკა. დღეისთვის N11 არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში საცხოვრებელი კორპუსის გარდა, განთავსებულია სასწავლო კორპუსი, ორი სპორტული მოედანი, დახურული ვერანდა, ეკლესია, ხანგრძლივი პაემნის შენობა და სხვა ინფრასტრუქტურა. არასრულწლოვან მსჯავრდებულებს აქვთ განათლების მიღების შესაძლებლობა, შესაბამისად, დაწესებულებაში ფუნქციონირებს სკოლა, რომლის დასრულების შემდეგ არასრულწლოვან მსჯავრდებულებს საჯარო სკოლის ატესტატი ეძლევათ. გარდა ამისა, არასრულწლოვან მსჯავრდებულებს ეროვნულ გამოცდებში მონაწილეობის შესაძლებლობა ეძლევათ. მოზარდის რეაბილიტაცია-რესოციალიზაციისა და დანაშაულის პრევენციის მიზნით, დაწესებულებაში დანერგილია ძირითადი და დამხმარე პროგრამები, არასრულწლოვნებს შესაძლებლობა აქვთ დაეუფლონ სხვადასხვა პროფესიას, ისწავლონ ხელობა, გაიარონ საგანმანათლებლო, პროფტექნიკური კურსები, რომლის დასრულების შემდეგ სერტიფიკატს იღებენ. დაწესებულებაში ხელმისაწვდომია სპორტული წრეები და ბიბლიოთეკა, იმართება კულტურული ღონისძიებები და ინტელექტუალური კონკურსები, რაშიც მოზარდები აქტიურად არიან ჩართულნი, დაწესებულებაში ასევე ხშირად ხორციელდება არასრულწლოვან მსჯავრდებულთა სასჯელის მოხდის

[115] ციხის პერსონალის გადამზადების სახელმძღვანელო, იუსტიციის სამინისტრო, თბ., 2005, გვ. 112-113.

ინდივიდუალური დაგეგმვა, რაც მულტიდისციპლინურ მიდგომას, რისკისა და საჭიროებების შესწავლას ითვალისწინებს.[116]

არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში ძირითადად განხორციელდა და კვლავაც მიმდინარეობს შემდეგი სახის პროგრამები: კომპიუტერული პროგრამების შესასწავლი, მართვის მოწმობის თეორიული კურსები შესაბამისი ასაკის გათვალისწინებით, ქართული და ინგლისური ენის სწავლება, გიტარის სწავლება, ხეზე კვეთა, ხის მხატვრული დამუშავების, გიდი (ტურიზმი), ასევე ტარდება ფსიქო-სოციალური სარეაბილიტაციო პროგრამით გათვალისწინებული ისეთი ტრენინგები, როგორიცაა არტ-თერაპია, სტრესისმენეჯმენტი, ბრაზის მართვა, გათავისუფლებისათვის მზადება, მუსიკა-თერაპია, სასარგებლო უნარების განვითარება და სხვ. რაც შეეხება კულტურულ ღონისძიებებს აღნიშნულ დაწესებულებაში ხშირად ტარდება კინოვიქტორინა, ასევე, მხიარული ვიქტორინა რა? სად? როდის?, ინტელექტუალური თამაში „ეტალონი“, მკითველთა კლუბი, პოეზიისა და მუსიკის საღამოები, შეხვედრები გამოჩენილ პოტებთან, მწერლებთან, საზოგადო მოღვაწეებთან. 2016 წელს სარეაბილიტაციო დაწესებულებაში დაიდგა სპექტაკლი „ვიდრე უფლისწული თავს მოიკლავს“, გაიმართა პრეზენტაცია თემაზე „ქართველი იუნკერები“. ჩატარდა ბავშვთა დაცვისა და დედა ენის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, გაიმართა პრეზენტაცია თემაზე „26 მაისი დამოუკიდებლობის აღდგენის დღე“.[117]

ამასთან ერთად წარმატებით ფუნქციონირებს საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ შემოთავაზებული არასრულწლოვან მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის ხელშეწყობის პროგრამა, რომლის მიხედვითაც არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში პროგრამების მიზანია მოზარდის სპორტში აქტიური ჩართვა, მისთვის სახელობო სწავლების უზრუნველყოფა, მაგალითად, ხეზე კვეთისათვის საჭირო აღჭურილობის (საბურღის, დაზგების, ხერხების, გამწოვის) მიწოდება. არაფორმალური განათლების მიმართულებით ტრენინგ-სემინარების, სწავლების უზრუნველყოფა, ინტელექტუალური, შემეცნებითი და კულტურული ღონისძიებების, შეხვედრებისა და სხვა აქტივობების განხორციელება, საზოგადოების წევრებთან, საზოგადო მოღვაწეებთან, სპორტსმენებთან და სხვა ცნობილ ადამიანებთან შეხვედრების ორგანიზება.

ზემოთაღნიშნულის უზრუნველსაყოფად, ქვეპროგრამის ფარგლებში არასრულწლოვანი მსჯავრდებულები სწავლობენ მაგიდის ჩოგბურთს, ჭადრაკს, შაშს, კალათბურთს, ფეხბურთს, რაგბს, ფრენბურთს, მკლავჭიდს, ძიუდოს. მათ უტარდებათ რეგურალური წვრთნები, რასაც პროფესიონალი მწვრთნელები უზრუნველყოფენ. პროგრამების ფარგლებში ხდება მსჯავრდებულთათვის სპორტული სახეობების მიხედვით ტრენინგების და ასაკობრივად შესაბამისი ფიზიკური დატვირთვის ვარჯიშების ორგანიზება, განათლების უზრუნველყოფა ცხოვრების ჯანსაღი წესის შესახებ. არასრულწოვნები შეისწავლიან სახეობების

[116] საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს 2017 წლის ანგარიში, გვ. 83-84.

[117] საქართველოს სახალხო დამცველის ყოველწლიური ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის შესახებ, 2015 წელი, გვ. 75-76. და 2016 წლის ანგარიში, გვ. 112-114.

საბაზისო პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს და თამაშის წესებს. კალათბურთის, რაგბის, ფეხბურთის, ფრენბურთის, როგორც გუნდური თამაშის ღირებულებების გათავისება ხელს შეუწყობს მსჯავრდებულებში ხასიათის ცვლილებებს. ეტაპობრივად იმართება საშეჯიბრო პრინციპით გუნდებს შორის თამაში, სადაც მარტივი წესებით და გართობის ელემენტებით ხდება თამაშების ორგანიზება. იმართება ამხანაგური თამაშები ასაკობრივი ჯგუფის სხვადასხვა სპორტული კლუბების მოზარდებთან. პროგრამების ფარგლებში მსჯავრდებულთა სხვადასხვა დაწესებულებაში ეწყობა სპორტული ტურნირები სპორტის სხვადასხვა სახეობებში. სპორტში აქტიურად ჩართვის მიზნით, ქვეპროგრამა ითვალისწინებს მსჯავრდებულთათვის საჭირო სპორტული ინვენტარითა და აღჭურვილობით უზრუნველყოფას, როგორებიცაა სხვადასხვა სახის სპორტული ინვენტარი, სპორტული ფეხსაცმელი, კალათბურთისა და ფეხბურთის ბურთები, კრივის ტყავის ტომარები და მასზე სავარჯიშო ტყავის ხელთათმანები, მაისურები, სავარჯიშო მოწყობილობები (ტრენაჟორები), პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების, წვრთნების, სწავლების, ტრენინგების განხორციელების უზრუნველყოფა მსჯავრდებულებისათვის იქნება კრიმინალური ცხოვრების ერთ-ერთი ალტერნატივა საზოგადოებასთან ინტეგრაციის პროცესში. სარეაბილიტაციო პროგრამები ხელს შეუწყობს ახალგაზრდა პატიმრებს გახდნენ მეტად თავდაჯერებულები საკუთარ შესაძლებლობებში, გააცნობიერონ და დაძლიონ უარყოფითი ჩვევები და არასრულფასოვნების კომპლექსი, შეისწავლონ პროფესიული უნარ-ჩვევები, დაეუფლონ სპორტულ სახეობებს, მისდიონ ცხოვრების ჯანსაღ წესს, რაც მნიშვნელოვნად დაეხმარება მათ ცხოვრებისეული მიზნების ჩამოყალიბებაში. განხორციელებული ღონისძიებებით მიღებული ცოდნა და გამოცდილება იქნება კრიმინალური ცხოვრების ერთგვარი ალტერნატივა.[118] სარეაბილიტაციო ღონისძიებების მიზანი ამ შემთხვევაში არასრულწლოვანი სამართალდამრღვევის გამოსწორება და მისი მორალური სახის შეცვლაა.

[118] წყარო: http://msy.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=1027&info_id=10609 (15.06.2019)

თავი მეოთხე

განგრძობადი რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესის მნიშვნელობა არასრულწლოვანთა სასჯელის მიზნის მიღწევაში

1. სასჯელის მოხდის შემდგომი ზრუნვა

არასრულწლოვანი მსჯავრდებულის რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია ხანგრძლივი პროცესია, რომელიც სასჯელის მოხდის შემდეგაც უნდა გაგრძელდეს. იურიდიულ ლიტერატურაში მითითებულია, რომ რესოციალიზაცია არ იქნება მიღწეული, თუ ის დასრულდება მსჯავრდებულის გათავისუფლების დროს.[119] რესოციალიზაცია, სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთისას, იყოფა პენიტენციურ და პოსტ პენიტენციურ ეტაპებად, თუ სასჯელაღსრულებით სისტემაში რესოციალიზაცია გულისხმობს დამანაშავის მიერ დანაშაულებრივი ქმედებების განხორციელებაზე უარის თქმას, არასრულწლოვნის აღზრდასა და მისი თავისუფლებისთვის მომზადებას, პოსტ პენიტენციურ ეტაპზე, არასრულწლოვნის გათავისუფლების შემდეგ რესოციალიზაცია სხვა კუთხით მიმდინარეობს და გვევლინება „ადაპტირების სახით".[120] შესაძლოა ეს იყოს ადაპტირება საზოგადოებასთან, განსხვავებული ცხოვრების რეჟიმთან, თავისუფლებასთან და ა.შ.

პოსტ პენიტენციურ ეტაპზე ყოფილი მსჯავრდებულისთვის სახელმწიფოს მიერ რესოციალიზაციაში ხელის შეწყობა გამოვლინდება მისთვის შესაბამისი განათლების მიცემაში, სამსახურის შოვნაში, საცხოვრებლით უზრუნველყოფაში (თუ არსებობს ამის საჭიროება). წინააღმდეგ შემთხვევაში, არასრულწლოვანი დარჩება მარტო და მოხდება მისი ნორმალური სოციალური გარემოდან იზოლირება, ამ დროს კი შესაძლებელია მან კვლავ ჩაიდინოს დანაშაული.[121]

ძირითადად რეციდივი ხდება იმიტომ, რომ საზოგადოებაში დაბრუნებულთა დიდი ნაწილი სრულიად არ იყო მზად ახალი კანონმორჩილი ცხოვრების დასაწყებად. საქმე იმაშია, რომ ყოფილი მსჯავრდებული დგება უამრავი გამოწვევის წინაშე. „კრიმინოგენული საჭიროებების ანალიზის შედეგად შეიძლება დადგინდეს შემდეგი მიზეზები: 1) ოჯახური კავშირების შესუსტება – მტკიცე ოჯახის კავშირი რეალურად ამცირებს რეციდივიზმის საშიშროებას. ოჯახს შესწევს მორალური და სულიერი მხარდაჭერის უნარი. 2) სამუშაოს არ ქონა – სტაბილური სამსახურის პოვნა ამცირებს რეციდივიზმიის ხარისხს. ასეთ შემთხვევებში, ყოფილი მსჯავრდებული ანგრევს სტიგმას, ახდენს ასოციაციას კანონმორჩილ მოქალაქეებთან და ერთვება პროდუქტიულ ცხოვრების წესში. 3) ასაკი – კრიმინოლოგიურად დამტკიცებულია შემდეგი: ასაკის ზრდასთან ერთად, დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის სურვილი ქვეითდება. 4) პრო-კრიმინალური კავშირები/კანონდამრღვევები

---

[119] ვარძელაშვილი ი., სასჯელის მიზნები, სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 2016, გვ. 115.

[120] Трубников В. МЛ., Понятие социальной адаптации освобожденных от наказания, Правоведение, №1 1984. С. 9.

[121] ჭიშვილი ნ., რესოციალიზაციის პოლიტიკა საქართველოში, სამოქალაქო ჩართულობის ცენტრი, თბ., 2014, გვ. 35.

– ასოციაცია ამ უკანასკნელი ტიპის ჯგუფთან ზრდის რეციდივიზმის საშიშროებას იმიტაციით და ფორსირებით“.[122]

ადამიანები ხშირად ციხის კედლებს გარეთაც ჩაკეტილ ცხოვრებას ეწევიან. აუცილებელია დაწესებულების დატოვების შემდგომ ძლიერი სოციალური მხარდაჭერის ქსელის არსებობა. ადამიანს გათავისუფლების შემდეგ საკუთარი თავის, ოჯახის შენახვის საშუალება უნდა ჰქონდეს. უნდა შეეგუოს გარე სამყაროს ისე, რომ კანონთან კონფლიქტში აღარ მოვიდეს. განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულისთვის პირს, ციხეში მრავალი წლის გატარება უწევს და რეალურად, სულ სხვა გარემოში თავისუფლდება. გარესამყაროსთან ადაპტაციისა და განმეორებითი დანაშაულის პრევენციის მიზნით, საჭიროა სხვადასხვა სახის პროგრამა.

ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროგრამა ნიშნავს - სამმართველოს მიერ განსახორციელებელ ღონისძიებათა ერთობლიობას, რომლის მიზანია განმეორებითი დანაშაულის პრევენცია პროგრამაში ჩართულ ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და პროსოციალური ღირებულებების აღდგენა, ჩამოყალიბების გზით.[123]

ყოფილი პატიმრებისთვის განკუთვნილი პროგრამა სამი რგოლისგან შედგება, სადაც პირველი არის ფსიქიკური და ფიზიკური ჯანმრთელობის პრობლემების მოგვარება, მეორე – პროფესიული გადამზადება, და მესამე – დასაქმების ხელშეწყობა. პროგრამაში ჩართვა ნებაყოფლობითია. ბენეფიციარებს ფსიქოლოგიურ დახმარებას ცენტრის ფსიქოლოგები უწევენ, პროფესიულ გადამზადებაზე კი პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად განათლების სამინისტროს შესაბამისი ცენტრები ზრუნავენ. პროგრამები ადასტურებენ, რომ გათავისუფლებული არასრულწლოვანი პატიმრები საჭიროებენ დამაკავშირებელ „ხიდს“ პატიმრობაში ცხოვრებასა და გათავისუფლების შემდგომ ცხოვრებას შორის. ამ პროგრამების საშუალებით გათავისუფლებულ არასრულწლოვნებს აქვთ შესაძლებლობა გააძლიერონ პენიტენციურ სისტემაში მიღებული უნარ-ჩვევები.[124]

ხაზგასასმელია ისიც, რომ, ყოფილი პატიმრის პირადი თუ ოჯახური საჭიროებიდან გამომდინარე, პროცესში ერთვება ფსიქოლოგი, რომელიც ბენეფიციარს უწევს ფსიქოლოგიურ კონსულტაციას და, საჭიროების შემთხვევაში, ამუშავებს და ახორციელებს სხვადასხვა სარეაბილიტაციო პროგრამას, რომლებიც პატიმრებს ეხმარება სტრესის დაძლევაში და ახალი უნარების შეძენაში, როგორიცაა: კომუნიკაციის, ემოციის მართვისა და კონფლიქტის მართვის უნარი. პროგრამა ასევე ეხმიანება ყოფილ პატიმართა რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის პრობლემას და ამზადებს მათ საზოგადოებაში სრულფასოვნად დასაბრუნებლად.[125] განვითარებულ ქვეყნებში ყოფილი პატიმრების ფსიქო-სოციალურ რეაბილიტაციას

---

[122] ღლონტი ა., ალავიძე გ., ვადიანი თავისუფლების აღკვეთის კრიტიკული ანალიზი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, აკადემიური მაცნე, ჟ., სამართალი N4, თბ., 2015, გვ. 262.

[123] საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – დანაშაულის პრევენციის ცენტრის ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროგრამა და მისი განხორციელების წესი, მე-3 მუხლის პირველი ნაწილი.

[124] ციხის პერსონალის გადამზადების სახელმძღვანელო, იუსტიციის სამინისტრო, თბ., 2005, გვ. 108.

[125] http://prevention.gov.ge/page/1329/geo (21.06.2019)

განსაკუთრებული როლი აკისრია დანაშაულებრივი ქცევის შეცვლისა და მეორადი დანაშაულის პრევენციის თვალსაზრისით.

სასჯელის მოხდის შემდეგ წარმატებული რესოციალიზაცია მიიღწევა მსჯავრდებულის დასაქმებით, რაც დანაშაულის რეციდივს შეამცირებს. სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს არასრულწლოვან ყოფილ პატიმარს, რომელმაც პენიტენციურ დაწესებულებაში არსებული თუნდაც პროფესიული განათლების მიღებისას, აქვს გარკვეული ცოდნა და გამოცდილება, რათა დასაქმდეს შესაბამის სამსახურში. ამ მხრივ სახელმწიფოსთან ერთად კერძო ბიზნესიც აქტიურად უნდა იყოს ჩართული, ხოლო დასაქმების შემთხვევაში კი დამსაქმებელთა დამოკიდებულებაც დადებითი უნდა იყოს მათ მიმართ. რამდენადაც რთული არ უნდა იყოს საპატიმროში თუნდაც მოკლე პერიოდის გატარება,ერთი რამ, რასაც ადამიანი იქ ვერ გრძნობს სხვა პატიმრების მხრიდან, კანონის დარღვევის გამო განსჯა და გაკიცხვაა. ყველაფერი იცვლება ახალ გარემოში, საპატიმროს გარეთ, ახალ სამუშაო ადგილზე, მათ უმეტესობას აქვს მოლოდინი, რომ შეცდომის გამო ნაკლები ნდობით და ნაკლები პატივისცემით მოექცევიან. ნდობა და პატივისცემა სწორედ ის დამოკიდებულებაა, რის დეფიციტსაც ნასამართლევი ადამიანები განიცდიან და მათი მოპოვების შემთხვევაში, მაქსიმალურად ცდილობენ, ხელმძღვანელებსა და კოლეგებს არ გაუცრუონ იმედი. ღირსეული სამუშაო გარემოს და დამოკიდებულების შემთხვევაში დიდია შანსი, რომ ისინი წარმატებულ, მოტივირებულ თანამშრომლებად ჩამოყალიბდებიან და მაქსიმალურ სარგებელს მოუტანენ ორგანიზაციასა და მის კოლექტივს.[126]

დანაშაულის პრევენციის ცენტრის მიერ შემუშავებულ ერთ-ერთ მნიშვნელოვან პროგრამას წარმოადგენს ტატუს მოცილების პროექტი არასრულწლოვნებისთვის. თავისუფლების აღკვეთისას თვითგამოხატვის ერთადერთ საშუალებას სვირი წარმოადგენს. ყველა ტატუს თვისი მნიშვნელობა აქვს, ყველა ნიშანს თავისი ისტორია, წარწერები, აბრევიატურები, ნიშნები და ნახატები - პატიმრის სხეულზე ამოსვირინგებულ გამოსახულებაში მთელი ცხოვრება იკითხება. არასრულწლოვანი პატიმრები ტატუს საკანში საკუთარი ხელით, კუსტარული გზით იკეთებენ. ცხიდიან გამოსულებისთვის კი ეს ტატუები უკვე დაღია, რომელიც ყოველდღიურ ცხოვრებაში პრობლემებს უქმნის. ამიტომაც, არასრულწლოვანი ყოფილი პატიმრებისთვის სვირინგების მოცილების უფასო სერვისის დანერგვის ინიციატივით იუსტიციის სამინისტრო 2013 წელს გამოვიდა.[127] პროგრამის მიზანი კი არასრულწლოვანი მსჯავრდებულების რესოციალიზაცია-რეაბილიტაციაში ხელშეწყობა და მათი "დამღისგან" გათავისუფლებაა. ეს არის საკმაოდ მნიშვნელოვანი და უნიკალური პროექტი, რომელიც რამდენიმე წელია, ხორციელდება, ამ სვირინგებს არ აქვს დეკორატიული დანიშნულება. მათ გარკვეული შინაარსობრივი დატვირთვა აქვთ. კრიმინალურ სუბკულტურებში გარკვეული სვირინგები არსებობს, რომელსაც თავისი მნიშვნელობა აქვს და რაღაცას

[126] „რა უნდა ვიცოდეთ და გავითვალისწინოთ კანონთან კონფლიქტში მყოფი პირების დასაქმებისას", დამხმარე სახელმძღვანელო კომპანიებისთვის, პროექტი „ტრენინგებისა და დასაქმების ხელშეწყობის ინიცირება მართლმსაჯულების სექტორში", არასამთავრობო ორგანიზაცია „სიდა", თბ., 2019, გვ. 12.
[127] http://prevention.gov.ge/page/4684 (22.06.2019)

აღნიშნავს, სწორედ ასეთ სვირინგებზეა საუბარი. თუ მსჯავრდებული შეიცვლის შეხედულებებს და ციხის შემდეგ გადაწყვეტს სხვაგვარ ცხოვრებას, სწორედ მათთვის არის ეს პროგრამა, რომ ამის შესაძლებლობა ჰქონდეთ. ასეთი სვირინგი არის ერთგვარი დამღა, რომელიც ადამიანის კრიმინალურ წარსულს ადასტურებს. სვირინგის მოცილების პროგრამას კი ძირითადად არასრულწლოვნების მიმართ იყენებენ. პროგრამა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ არასრულწლოვანი მსჯავრდებულებისთვის, რომლებიც გააცნობიერებენ, რომ ეს სვირინგი მათ შემდგომ, სწორ გზაზე დადგომისა და ცხოვრების გაგრძელების ახალი შანსის გამოყენებაში ხელს შეუშლით. ეს არის იმისთვის, რომ არ მოხდეს მათი იდენტიფიცირება და კრიმინალურ წარსულთან დაკავშირება. სახელმწიფოს მხრიდან მსგავსი ნაბიჯი მისასალმებელია, თუ ქვეყანა ებრძვის კრიმინალურ მენტალიტეტს და ეს სუბკულტურა, შეიძლება ითქვას, რომ კვლავ არის საკმაოდ პრობლემური. თუ არის სურვილი მაჯავრდებულებში, რომ მათ მოიშორონ (ასეთი შინაარსის ტატუები) სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს მათ. იუსტიციის სამინისტროს ცნობით, სვირინგის მოშორების პროგრამით 2013 წლიდან 123-მა მსჯავრდებულმა ისარგებლა, რომელთაგან 65 არის არასრულწლოვანი. პროგრამაში ჩართვა კი ნებაყოფლობითია.[128]

ამრიგად, სასჯელის მოხდის შემდგომ არასრულწლოვანთა მხარდაჭერას ორი მიზანი აქვს, რომ ყოფილი პატიმრები რესოციალიზდნენ ისე, რომ არასოდეს აღარ შებრუნდნენ ციხეში და მეორე ძალიან მნიშვნელოვანი მიზანი არის, რომ საზოგადოება იყოს დაცული განმეორებითი დანაშაულისგან. როდესაც ყოფილი პატიმარი ხდება საზოგადოების წევრი ისე, როგორც თავიდან და მას ხელს უწყობს სახელმწიფო შანსი არის რომ ყოფილი პატიმარი აღარასოდეს აღარ გაიხედავს ციხისკენ და ეს არის მთავარი მიზანი. რეაბილიტირებული ყოფილი პატიმარი ნიშნავს საზოგადოების დაცვას განმეორებითი დანაშაულისგან და ქვეყნისათვის სრულფასოვანი მოქალაქის დაბრუნებას!

2. საზოგადოების როლი რესოციალიზაცია-რეაბილიტაციასა და რეციდივის თავიდან აცილებაში

დანაშაულის მიმართ ტრადიციული, კონსერვატიული მიდგომა უპირველეს მიზნად ისახავს საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვას, კანონთან კონფლიქტში მყოფი პირის იზოლირებას, ლიბერალური მიდგომა კი გულისხმობს, რომ ჩადენილ დანაშაულზე პასუხისმგებლობა ეკისრება საზოგადოებას, რომელმაც ვერ უზრუნველყო დანაშაულის ხელშემწყობი ფაქტორების შემცირება (როგორებიცაა: სიღარიბე, უმუშევრობა და სხვ). ლიბერალური მიდგომის მიხედვით, რეაბილიტაციის პროცესი გულისხმობს არა სამართალდამრღვევის გამოსწორებას, არამედ მისი სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობას.

სოციალური რეინტეგრაცია ვერ მოხდება მხოლოდ კანონმდებლობისა და ინსტიტუციების საფუძველზე, რადგან ითვლება, რომ პატიმართა რეინტეგრაცია არა

[128] https://netgazeti.ge/news/363547/ (23.06.2019)

მხოლოდ ხელისუფლების, არამედ საზოგადოების ამოცანაცაა. სამართალდამრღვევის საზოგადოებაში დაბრუნებასა და ცხოვრების წარმატებით თავიდან დაწყებაში გადამწყვეტი როლი მის ოჯახს, ახლობლების წრესა და საზოგადოებას ეკისრება. კვლევები ცხადყოფს, რომ საზოგადოების მტკიცე მხარდაჭერა, ოჯახთან ერთად, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია წარმატებული რეაბილიტაციის მისაღწევად.[129] თუმცა საზოგადოებაში არსებობს სტიგმა და სახელმწიფომ მისი დაძლევის ეფექტური გზები უნდა გამონახოს, რათა არ მოხდეს ამ ადამიანების გარიყვა და დანაშაულის ხელახალი ჩადენა. მდგომარეობის გამოსწორება, პირველ რიგში, დამნაშავის საზრუნავია, მაგრამ საზოგადოებასაც ეკისრება პასუხისმგებლობა, იმისთვის, რომ დამნაშავემ საკუთარი პასუხისმგებლობების შესრულება შეძლოს, საჭიროა საზოგადოების ბიძგი და მხარდაჭერა. სახელმწიფოსა და საზოგადოების როლთან მიმართებაში, სწორი საზოგადოებრივი აზრის ფორმირება არასრულწლოვან მსჯავრდებულთა რეაბილიტაციის პროცესში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გარემოებაა, აზრის ფორმირება იმის შესახებ, რომ ყოფილი მსჯავრდებული ჯერ კიდევ არ ნიშნავს კრიმინალს, ხოლო თუ მას საზოგადოება ნორმალურად მიიღებს, მათი უმრავლესობა არ გადაიქცევა დამნაშავედ და ხანმოკლე პერიოდში ჩამოყალიბდებიან საზოგადოების ღირსეულ წევრებად.[130]

დამნაშავე როცა მოიხდის სასჯელს, მას უჩნდება ლეგიტიმური განცდა, რომ სასჯელის მოხდით გამოისყიდა კიდევაც დანაშაული, რომელიც ჩაიდინა. რეალურად კი, ეს ასე არ არის, რაც ძალიან სამწუხაროა. გათავისუფლებული მსჯავრდებული კვლავ აგრძელებს სასჯელის მოხდას, ვინაიდან კანონმორჩილი საზოგადოება არ აძლევს მას საშუალებას დაუბრუნდეს საკუთარ კონტინგენტს. ყოფილი პატიმრის სტატუსი რატომღაც არასდროს არ ქრება, როგორც არ უნდა ეცადოს პოზიტიური საქციელით დამოკიდებულების შეცვლა, ის ქცევა მაინც ყველას ფსიქიკაში ილექება და ეს არის საკმაოდ ნეგატიური შედეგის მომტანი. საზოგადოებისგან გარიყული, სტერეოტიპული დამოკიდებულება, ნაცხარი, სტიგმა, უნდობლობა ციხეში იჯდა, ყოფილი მსჯავრდებული, მარგინალიზებული, ნასამართლობის სტატუსი, ამით იგი კარგავს სტატუსის მოპოვების შესაძლებლობას და აგრეთვე შესაძლებლობას, მიაღწიოს ქართული საზოგადოებისთვის მიღებულ საყოფაცხოვრებო პირობებს.[131] დამნაშავედ ეტიკეტირებულ და იარლიყ მიწებებულ არასრულწლოვან მსჯავრდებულს უჭირს საზოგადოებაში დაბრუნება და რესოციალიზაცია. საზოგადოების მიერ დამნაშავედ სტიგმატიზებული ადამიანის მიერ განმეორებითი დანაშაულის ჩადენა უფრო ხშირია, ვიდრე არასტიგმატიზირებულის.[132]

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ყოფილი მსჯავრდებულების რესოციალიზაციაში საზოგადოებას მნიშვნელოვანი როლი ეკისრება, რადგან პატიმრებისა და ყოფილი

---

[129] ღონღაძე ნ., არბაითერ-სამარიტერ-ბუნდის (ASB) კვლევა, ყოფილ პატიმართა და პრობაციონერთა რეაბილიტაცია: საერთაშორისო გამოცდილების შესწავლა, თბ., 2017, გვ. 8.

[130] არსოშვილი გ., დამნაშავის რესოციალიზაცია, თბ., 2009, გვ., 181-182.

[131] ღლონტი ა., ალავიძე გ., ვადიანი თავისუფლების აღკვეთის კრიტიკული ანალიზი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, აკადემიური მაცნე, ჟ., სამართალი N4, თბ., 2015, გვ. 260

[132] შალიკაშვილი მ., კრიმინოლოგია, მეორე გამოცემა, თბ., 2011, გვ. 47-49.

პატიმრების მიმართ არსებული სტიგმა უნდა შეიცვალოს და აღმოიფხვრას. ამისათვის კი წარმატებული ყოფილი მსჯავრდებულები ფართო საზოგადოებას უნდა წარედგინოს. ყოფილ მსჯავრდებულებსა და საზოგადოების თითოეულ წევრს უნდა ესმოდეს, რომ საზოგადოებასა თუ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მათი განსხვავებული სტატუსების მიუხედავად, ისინი თანასწორნი არიან. ამისათვის კი ისევ და ისევ საჭიროა, საზოგადოების ცნობიერება გაიზარდოს. რაც შეეხება სახელმწიფოს, მან მაქსიმალურად უნდა წაახალისოს პატიმრები, რომელთაც სასჯელაღსრულების დაწესებულებაში არსებული სიტუაცია და რესურსიც საკუთარი ზრდისათვის გამოიყენეს, გათავისუფლების შემდგომ კი "ცხოვრების სტილის შესაცვლელად" მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგეს. რამდენად მნიშვნელოვანია, თავად პატიმრები მოექცნენ პასუხისმგებლობით საზოგადოებაში დაბრუნებას, რომ არ ჰქონდეთ მუდმივი "მსხვერპლის სტატუსი"? რაც შეეხება "მსხვერპლის სტატუსს", საზოგადოება მათ "მოძალადისა" და "კეთროვნის" როლში უფრო აღიქვამს, ვიდრე – მსხვერპლის. რაც ხშირად პატიმრის სტატუსის განზოგადებით და იმ ცრურწმენებითაა გამოწვეული, რომლის მიხედვითაც "ყოფილი პატიმრისგან თუ პატიმრისგან ყოველთვის ცუდს უნდა მოელოდე". რთულია იმის მტკიცება, თითქოს ქცევისა და აზროვნების სტილი ადვილად იცვლება, თუმცა ამის თუნდაც ძალზედ მცირეოდენი შანსის შემთხვევაშიც, ამგვარი დამოკიდებულების შედეგად, საზოგადოება "კარგავს" ყოფილ მსჯავრდებულს. ის ფიქრობს, რომ მაინც არავინ დაიჯერებს, რომ გამოსწორდა. საზოგადოებაში არსებული სტიგმა, შიში და უნდობლობა იწვევს ყოფილი პატიმრის გარიყვას, ის ვერ იმკვიდრებს თავს ნორმალური ქცევით და უბრუნდება დევიაციურს. ასეთი შეკრული წრის შედეგად კი ასოციალური ქცევა კვლავ და კვლავ, დაუსრულებლად გრძელდება. ამას ემატება დასაქმების პრობლემა, რომელიც ყოფილი მსჯავრდებულის რესოციალიზაციისათვის ძალიან მნიშვნელოვანია.[133]

ვიმედოვნებ, რომ ყოფილ პატიმართა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესში რაც შეიძლება მეტი ადამიანი იქნება ჩართული, რაც ჩვენი ტრავმირებული საზოგადოების თანმიმდევრული გამოჯანმრთელების საწინდარი იქნება. კარგი იქნებოდა, თუკი ჩამოყალიბდებოდა რაიმე ფონდი ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის დასახმარებლად, სადაც ნებისმიერ ადამიანს შეეძლებოდა თანხის ჩარიცხვა. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ არასრულწლოვან ყოფილ მსჯავრდებულებთა რესოციალიზაციას ხელი უნდა შეუწყოს არა მარტო სახელმწიფომ, არამედ საზოგადოებამაც, რადგან ყოფილი დამნაშავის რესოციალიზაციით და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობით, ისევ საზოგადოება რჩება მოგებული.

[133] ფსიქოლოგ გიორგი დონაძის სტატია - http://www.ambioni.ge/patimrebis-resocializacia (24.05.2019)

დასკვნა

წინამდებარე ნაშრომში განვიხილეთ არასრულწლოვან მსჯავრდებულთა სასჯელის მიზნის - რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის მნიშვნელობა. სასჯელი უზრუნველყოფს არა მხოლოდ ბავშვთა კეთილდღეობისა და ჭეშმარიტი ინტერესების დაცვას, არამედ ემსახურება საზოგადოების გრძელვადიან ინტერესებს, მათ შორის საზოგადოებრივი უსაფრთხოების განმტკიცებას, განმეორებითი დანაშაულის თავიდან აცილებას, ასევე საზოგადოებაში დადებითი ღირებულებების მქონე და კანონმორჩილი ახალგაზრდა წევრების დაბრუნებას. კანონთან კონფლიქტში მყოფ პირთა რეაბილიტაცია და რესოციალიზაცია სასჯელის, მათ შორის თავისუფლების აღკვეთის უმთავრესი მიზანია.

კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის მიმართ გამოყენებული ნებისმიერი ზომა უნდა იყოს ჩადენილი ქმედების თანაზომიერი, აგრეთვე არასრულწლოვნის პიროვნების, ასაკის, მისი საგანმანათლებლო, სოციალური და სხვა საჭიროებების შესაბამისი.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში სამართლიანობის აღდგენა სასჯელის მიზნად არ არის გათვალისწინებული, ვინაიდან არასრულწლოვნის დასჯა ემსახურება არა სამართლიანობის აღდგენას, არამედ თვით არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციას. სასჯელის შეფარდების პროცესში მეტად მნიშვნელოვანია სამართლებრივი პრინციპების დაცვა.

ასევე, ნაშრომიდან ვარკვევთ ნასამართლობის დაუყოვნებლივ გაქარწყლება უფრო მეტად დაეხმარება მოზარდს რეაბილიტაცია/რესოციალიზაციას და მის მიერ დანაშაულის განმეორების რისკს მნიშვნელოვნად ამცირებს. ლოგიკური და ჰუმანურია, არასრულწლოვანების ასაკში ჩადენილი დანაშაული არ უნდა იქნეს აღქმული ისე მძიმედ, როგორც სრულწლოვანის მიერ ჩადენილი. ასეთი ჰუმანური მიდგომა სრულიად გამართლებულია, ემსახურება რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის მიზანს და შესაბამისად, საზოგადოების უსაფრთხოების ინტერესებს და სრულად შეესაბამება საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებს.

ნაშრომში წარმოდგენილი სტატისტიკის მიხედვით ვატყობთ, რომ საქართველოს სისხლის სამართლის სისტემა, ერთი მხრივ, იზიარებს დანაშაულისადმი ლიბერალურ მიდგომას, მეორე მხრივ კი, ინარჩუნებს ტრადიციული მიდგომის პრაქტიკას. ზოგადი, მაგრამ მნიშვნელოვანი რეკომენდაციაა, მოხდეს მოცემული მიდგომის კონცეპტუალური გააზრება და დაიწყოს უფრო თანმიმდევრული პოლიტიკის ჩამოყალიბებაზე ზრუნვა

ვინაიდან დამნაშავე ჩაერთვება საზოგადოებისთვის სასარგებლო სამუშაოების შესრულებაში მას პრაქტიკულად არ ექნება დრო და ენერგია, რათა დაგეგმოს ან ჩაიდინოს ხელახალი დანაშაული. გარდა ამისა, იგი არ მოექცევა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში არსებული საზოგადოების მავნე ზეგავლენის ქვეშ – დიფერენცირებულ ასოციაციას არ ექნება ადგილი. ასევე, დამნაშავეს შეექმნება წარმოდგენა იმ ნეგატიურ სოციალურ შედეგებზე, რომლებიც მოყვება მის თავისუფლების აღკვეთას. ბოლოს, აღნიშნული ზომების ერთობლიობა კარდინალურად შეამცირებს დანაშაულის რეციდივის შანსებს.

თავისუფლების აღკვეტის, როგორც უკიდურესი ზომის, მინიმალური ჩარევისა და ინდივიდუალიზაციის პრინციპები უნდა იყოს გამოყენებული სასჯელის შეფარდების დროს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სასამართლოს მიერ არასრულწლოვნის მიმართ შესაბამისი ღონისძიებისა თუ სასჯელის განსაზღვრისას არასრულწლოვნის სრულფასოვანი შეფასებისა და შესაბამისი რეკომენდაციების გამოყენების უზრუნველყოფა.

პრობაციის სამსახურის მხრიდან პირობით ვადამდე გათავისუფლებული პირის რისკებისა და ინდივიდუალური სასჯელის გეგმის განხორციელების პერიოდული შეფასება რესოციალიზაციის პროცესის უშუალო და ძირითადი კომპონენტია. სახელმწიფოს მხრიდან მსგავსი მხარდაჭერის უზრუნველყოფის გარეშე, პირობით ვადამდე გათავისუფლებულ მსჯავრდებულთა მიერ დადგენილი პირობების დარღვევის ალბათობა მაღალი იქნება, რაც ავტომატურად გაზრდის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში შებრუნებულ მსჯავრდებულთა რიცხვს და უარყოფითად აისახება როგორც უშუალოდ მსჯავრდებულზე, ასევე ციხის გადატვირთულობის განმუხტვის პოლიტიკაზე.

ნაშრომში ჩამოთვლილი საკითხები, მეტ-ნაკლებად, ციხის სამსახურების, შესაბამისი სამინისტროების, მუნიციპალიტეტების კოორდინირებული საქმიანობით უნდა დარეგულირდეს. ამასთან, განსაკუთრებული როლი საზოგადოების მიერ საკითხის სწორად აღქმას ენიჭება; ამ ადამიანებს მიმტევებელი, მათი პრობლემების მგრძნობიარედ მიმღები გარემო სჭირდებათ, რომ აშენონ მომავალი, მიუხედავად ყველაფრისა, აშენონ თავისუფლება პატიმრობის პირობებშიც. ამისათვის კი მეტი ინფორმირებულობაა საჭირო, გარე სამყარომ უნდა დაინახოს ციხე „შიგნიდან“ და მიიღოს პატიმრები საზოგადოების იმ წევრებად, რომელთაც საგანგებო ყურადღება და დახმარება სჭირდებათ, დაეხმაროს მათ შემდეგი სამი, ცხოვრებისეულად აუცილებელი საკითხის – გაძლიერება, უსამართლობასთან ბრძოლა, ცხოვრების გარდაქმნა – სრულად მოგვარებაში თუ არა, სწორი მიმართულების შერჩევაში, გზის გაკვალვაში მაინც.

ამიტომაც მნიშვნელოვანია, ინსტიტუციური მხარდაჭერის ჰოლისტური მიდგომა - რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის პროცესისათვის მნიშვნელოვანია სხვადასხვა ინსტიტუტების შეთანხმებული მოქმედება - პენიტენციური დაწესებულები; პრობაციის ეროვნული სააგენტო; დანაშაულის პრევენციის ცენტრი; სოციალური მომსახურების სააგენტო; ადგილობრივი თვითმმართველობა; არასამთავრობო ორგანიზაციები.

ნაშრომის მიხედვით ხაზგასმულია, რომ საზოგადოების პასუხისმგებლობა არ მთავრდება პატიმრის ციხიდან გათავისუფლების შემდეგ. არანაკლებ მნიშვნელოვანი პროცესი სწორედ გათავისუფლების მერე იწყება. ამ მიზნით მნიშვნელოვანია მსჯავრდებულების გათავისუ-ფლებისათვის მომზადება. მსჯავრდებულებს უნდა მიეცეთ შესაძლებლობა, მონაწილეობდნენ სხვადასხვა სახის პროგრამებში, რომლებიც დაეხმარება საზოგადოებაში ინტეგრაციის პროცესი გაიარონ უმტკივნეულოდ. ამ მიზნით უნდა გამოვიყენოთ ყველა შესაძლებლობა – რელიგია, ტრენინგი, სოციალური დაცვა, დასაქმება, ფიზიკური განვითარება,

ხშირ შემთხვევაში არასრულწლოვანთა დანაშაული არა მათი თავისუფალი ნების, არამედ იმ შეზღუდული შესაძლებლობების შედეგია რომელიც მათი განვითარებისთვის არსებობს საზოგადოებაში, ეს შესაძლებლობები კი უფრო მეტად იზღუდება როდესაც მათ სისხლის სამართლის სისტემასთან უხდებათ შეხება. ასეთ ბავშვებს განსაკუთრებით ჭირდებათ მხარდაჭერა საზოგადოებაში რეინტეგრაციისთვის.

ბიბლიოგრაფია

სამეცნიერო ლიტერატურა:

1. ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, თბილისი, 2016.
2. ავტორთა კოლექტივი, არასრულწლოვანთა კანონმდებლობის ანალიზი და სასამართლო პრაქტიკა, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი. 2017.
3. არსოშვილი გ., დამნაშავის რესოციალიზაცია, სსიპ - სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი, თბილისი, 2009.
4. ევროპის უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სამეცნიერო რეფერირებადი ჟურნალი, სამართალი და მსოფლიო N9, თბილისი, 2018.
5. მინაშვილი ი., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის კომენტარი, გამომცემლობა - „იურისტების სამყარო“, თბილისი, 2017.
6. ნოზაძე ლ., იუვენალური იუსტიციის განვითარების ისტორიულ-სამართლებრივი ასპექტები, მაია ივანიძე - 50, საიუბილეო კრებული, თბ., 2017.
7. ტურავა მ., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მ-9 გამოცემა, თბ., 2013.
8. ლეკვეიშვილი მ., “სასჯელის მიზნები და არასრულწლოვანთა სასჯელის დანიშვნის სპეციფიკა“, სტატიათა კრებული, გამომცემლობა „მერიდიანი“. თბილისი, 2011.
9. ტყეშელიაძე გ., სასჯელის მიზნების საკანონმდებლო განსაზღვრების შესახებ, სერგო ჯორბენაძე - 70, საიუბილეო კრებული, თბილის, 1996.
10. ვარძელაშვილი ი., „სასჯელის მიზნები“, სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 2016.
11. შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., ხასია მ., სასჯელაღსრულების სამართალი, თბ., 2014.
12. შვაბე ი., გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, თბილისი, 2011.
13. შალიკაშვილი მ., ძალადობის კრიმინოლოგია, თბილისი, 2012.
14. ფაფიაშვილი ლ., „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ზოგიერთი საკითხი“ „საერთაშორისო სამართლის ჟურნალი“ N 1, თბილისი, 2008.
15. პრადელი ჟ., შედარებითი სისხლის სამართალი, თბილისი, 1999.
16. დვალიძე ი., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2013.
17. თუმანიშვილი გ., სასჯელთა ადეკვატურობის საკითხი დანაშაულთან მიმართებაში, ჟ. „სამართალი“, N 1-2, თბილისი, 2003.
18. შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, მეორე გამოცემა, თბილისი, ფრაიბურგი, სტრასბურგი, 2016.
19. კაკაჩია მ., კლდიაშვილი ლ., „არასრულწლოვან დამნაშავეთა რეაბილიტაცია საქართვე-ლოში“. თბილისი, 2004.
20. ღლონტი ა., ალავიძე გ., ვადიანი თავისუფლების აღკვეთის კრიტიკული ანალიზი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, აკადემიური მაცნე, ჟ., სამართალი N4, თბილისი, 2015.

21. სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, ავტორთა კოლექტივი, რედ. გ. ნაჭყებია, თბილისი, 2016.
22. ტორიაშვილი ნ., ალტერნატიული სასჯელები, თბილისი, 2013.
23. ივანიძე მ. არასრულწლოვანთა სასჯელისა და აღმზრდელობითი ხასიათის იძულებითი ღონისძიების შეფარდების პრობლემები, თბილისი, 2011.
24. ლეკვეიშვილი მ., სასჯელის მიზნები და სასჯელის შეფარდების სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური ასპექტები, ჟ., „მართლმსაჯულება და კანონი“ №4(43), თბ., 2014.
25. მსხილაძე ლ., სასამართლოს როლი სასჯელის განსაზღვრისას, ჟ. მართლმსაჯულება და კანონი, N1(57), თბ., 2018.
26. ხერხეულიძე ი., საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა - არასაპატიმრო სახის სასჯელთა შორის არასრულწლოვან დამნაშავეთა რესოციალიზაციის ერთ-ერთი საუკეთესო აგენტი, მართლმსაჯულება და კანონი, N2(29), 2011.
27. მახარობლიძე თ., შინაპატიმრობა, როგორც საპატიმრო სასჯელის ახალი ალტერნატივა იუვენალურ იუსტიციაში, გურამ ნაჭყებია - 75 საიუბილეო კრებული, გამომც. „მერიდიანი“, თბილისი, 2016.
28. ივანე ჯავახიშვილი, ტომი VII, რედაქტორი დოლიძე ი., თბ., 1984.
29. გაბარაევი ი., ადვოკატის თვალით დანახული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები, ჟ., №1, თბ., 2017.
30. ჭეიშვილი ნ., რესოციალიზაციის პოლიტიკა საქართველოში, სამოქალაქო ჩართულობის ცენტრი, თბილისი, 2014.
31. ღონღაძე ნ., არბაითერ-სამარიტერ-ბუნდის (ASB) კვლევა, ყოფილ პატიმართა და პრობაციონერთა რეაბილიტაცია: საერთაშორისო გამოცდილების შესწავლა, თბ., 2017.
32. ციხის პერსონალის გადამზადების სახელმძღვანელო, იუსტიციის სამინისტრო, თბ., 2005.
33. ჰამილტონი ქ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკანონმდებლო რეფორმის სახელმძღვანელო მითითებები, 2011.
34. თომას ჰამერბერგი, „საქართველო გარდამავალ პერიოდში, ანგარიში ადამიანის უფლებების შესახებ“ („Report on the Human Rights Dimension: Background, Steps Taken and Remaining Challenges“).

უცხოენოვანი ლიტერატურა:

35. Cunneen C., White R., Juvenile Justice, Oxford University press, 1995.
36. Huizinga, D., Who goes to prison? Paper presented at the Annual Conference on Criminal Justice Research and Evaluation, Washington, DC. 2000.
37. Denice C. Gottfredson and William H.Barton, “Deinstitutionalization of Juvenile Offenders”, Criminology, 31 (1993).
38. Карпец И.И., индивидуализациянаказания, Москва, 1961.
39. М. Рыбак, Ресоциализация осужденных к лишению свободы, Саратов, 2002.
40. Таганцев И.С., Русское уголовное право, Лекции, часть общая, Т. I, М., 1994.

41. Трубников В. МЛ., Понятие социальной адаптации освобожденных от наказания, Правоведение, №1 1984.
42. Аушев А.Б., История ювенальной юстиции. Опыт и перспективы ювенальной юстиции в России, Евразииски юридически журнал № 10 (17) 2009.

ნორმატიული მასალა:

1. საქართველოს კონსტიტუცია.
2. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი.
3. საქართველოს პატიმრობის კოდექსი.
4. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი.
5. გაეროს წესები თავისუფლება აღკვეთილი არასრულწლოვნების დასაცავად („ჰავანის წესები“).
6. არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ გაეროს მინიმალური წესები (1985).

სასამართლო გადაწყვეტილებები:

1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს, სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განაჩენი, საქმე N1/ბ-165-16, 2016 წლის 23 მარტი.
2. ბათუმის საქალაქო სასამართლოს განაჩენი, საქმე N1/209-16, 2016 წლის 17 მაისი.
3. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის N3/1/512 გადაწყვეტილება საქმეზე „დანიის მოქალაქე ჰეიკე ქრონქვისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.
4. ევრ. სასამ. საქმე - KAFKARIS v. CYPRUS, ECHR, (Application no. 21906/04), 12 February 2008.
5. გუვეჩი თურქეთის წინააღმდეგ (Guvec v. Turkey), No 70337/01, 20 იანვარი, 2009.
6. ნარტი თურქეთის წინააღმდეგ (Nart v. Turkey), No 20817/04, 6 მაისი, 2008.
7. Gulcu v. Turkey, განაცხადი N17526/10. 2016 წლის 19 იანვარი.

ელექტრონული წყაროები:

1. ფსიქოლოგ გიორგი დონაძის სტატია - http://www.ambioni.ge/patimrebis-resocializacia
2. https://www.penalreform.org/blog/გზა-საზოგადოებისაკენ-თა/
3. Society For a Better Society, საუნივერსიტეტო სწავლების კურსი, (ხელმისაწვდომია - http://socium.ge/downloads/socshesavali/socializacia.pdf)
4. https://ka.seamonkeyworship.com/1140-resocialization.html
5. https://netgazeti.ge/news/363547/
6. http://prevention.gov.ge/page/1329/geo
7. სტატისტიკისთვის: www.geostat.ge/ka/modules/categories/132/siskhlis-samartlis-statistika